

სისხლის სამართალი
ზოგადი და კერძო ნაწილები
სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანაცვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2024, №7-9

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2024, №7-9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2024, №7-9

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2024, №7-9

გადაწყვეტილებების შერჩევა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
რუსულან ჭანტურიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დებარტამენტის მხარდაჭერით

საქიჯბელი

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

1. სასჯელის დანიშვნა

ძირითად სასჯელად დანიშნული ჯარიმის ოდენობის გაზრდა და
ძირითად სასჯელთან ერთად დამატებითი სასჯელის განსაზღვრა 5

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის მე-4
ნაწილი ცალსახად და უპირობოდ გამორიცხავს საპენსიო ასაკის
პირისათვის სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო
შრომის დანიშვნას 11

მსჯავრდებულის მიმართ არ არსებობდა,
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5
ნაწილით დადგენილი წესით, დანიშნული სასჯელის ნაწილის
პირობითად ჩათვლის კანონისმიერი საფუძველი 24; 38

საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი
სასჯელის დანიშვნის იმპერატიული წესის გამოსაყენებლად
აუცილებელია სისხლის სამართლის საქმის მასალებში
წარმოდგენილი იყოს გამოყენებული დანის ციფ იარაღთა
კატეგორიისადმი კუთვნილების შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა 46

საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით
გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის
განსაზღვრული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა,
კანონშესაბამოა და ეწინააღმდეგება როგორც
საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესს,
ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ
მყარად დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას 61

საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლით გათვალისწინებული
დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის მე-11¹
მუხლზე მითითება თავისთავად არ განაპირობებს
საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით
გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესის
გამოყენების აუცილებლობას 77

2. პირობითი მსჯავრი

საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის
დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილი არ იყო
მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელი
პირობითად ჩაეთვალა 84

პერძო ნაწილი

1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ
განზრახ მკვლელობის მცდელობა 90
2. ეკონომიკური დანაშაული
ქმედების გადაკვალიფიცირება ყაჩაღობიდან
დანაშაულის შეუტყობინებლობაზე 102
3. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ
ის გარემოება, რომ მსჯავრდებულებს გააჩნდათ კონკრეტული
ცეცხლსასროლი იარაღების მართლზომიერად ფლობის უფლება,
თუმცა – სხვა მისამართზე, არ ქმნის სხვა მოცემულობას, რომელიც
შეუძლებელს გახდიდა მათი ქმედების დაკვალიფიცირებას სისხლის
სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად 120

სისხლის სამართლის პროცესი

პერძო ნაწილი

1. კასაცია
საკასაციო განაჩენი
განაჩენში ცვლილების შეტანა 129
2. ექსტრადიცია 163; 172; 179

**სისხლის სამართალი
ზოგადი ნაწილი**

1. სასჯელის დანიშვნა

**ქირითად სასჯელად დანიშნული ჯარიმის ოდენობის
გაზრდა და ქირითად სასჯელთან ერთად დამატებითი
სასჯელის განსაზღვრა**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№222აპ-24 2 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თადუმაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორ მიხეილ კუპრაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 22 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. გ. გ-ი (პირადი ნომერი: ...) ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სხვის ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, როდესაც ეს ნივთი მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფებოდა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია), გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

2018 წლის 20 მარტს, შპს „მ-ა“ და გ. გ-ის შორის შპს „მ...“ თ-ს ფილიალში გაფორმდა ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, შპს „მ...“ გ. გ-სგან მინდობილობის საფუძველზე შეიძინა გ. ა-ის საკუთრებაში არსებული „მერსედეს ბენცის“ მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით – ... აღნიშნული ავტომობილი, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა ლიზინგის მიმღებს – გ. გ-ის ფლობის, სარგებლობისა და მომავალში მისი გამოსყიდვის უფლებით. ამავდროულად ხელშეკრულების საფუძველზე, ლიზინგის თანხად განისაზღვრა

8580 ლარი, თვეში 4,05%-ის დარიცხვით, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2022 წლის 20 მარტამდე. ლიზინგის თანხა უნდა დაფარულიყო ყოველთვიური 408,2 ლარის გადახდით, თუმცა გ. გ-მა სრულად არ გადაიხადა აღნიშნული თანხა და ლიზინგის საგანი – „მერსედეს ბენცის“ მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომრით – „...“, დაშლის შემდგომ ნაწილ-ნაწილ გაასხვისა. შპს „ფ....“ 2021 წლის 17 ივნისს შპს „მ...გან“ შეიძინა პრობლემური აქტივების პაკეტი, რომელშიც შედიოდა გ. გ-ს საქმე. შესაბამისად, გ. გ-ს ქმედების შედეგად შპს „ფ....“ მიაღდა 8099 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 19 სექტემბრის განაჩენით გ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარი.

2.2. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 19 სექტემბრის განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მიხეილ კუპრაშვილმა, რომელმაც მოითხოვა მსჯავრდებულისთვის დანიშნული სასჯელის დამძიმება.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 22 იანვრის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 19 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელი.

3.2. 2024 წლის 26 იანვარს, სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, მიხეილ კუპრაშვილმა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ – მსჯავრდებულისთვის დანიშნული სასჯელის დამძიმება.

3.3. 2024 წლის 5 თებერვალს, მსჯავრდებულ გ. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ბ-მ პროკურორის საკასაციო საჩივარზე წარმოადგინა შესაგებელი და ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

4. კასატორის არგუმენტები:

4.1. კასატორის განმარტებით, გ. გ-სთვის დანიშნული სასჯელი არის ზედმეტად მსუბუქი, არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას, მის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას და ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარე გასაჩივრებულ განაჩენს სადავოდ არ ხდის გ. გ-ს მსჯავრდების კუთხით, ამ მხრივ საკასაციო საჩივარი არც დაცვის მხარეს წარმოუდგენია. ბრალდების მხარისთვის სადავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს გ. გ-სთვის დანიშნული სასჯელი, რომელიც მისი აზრით, ზედმეტად მსუბუქია და ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს და შეაფასებს, რამდენად კანონიერი და სამართლიანია გ. გ-სათვის დანიშნული სასჯელი.

5.2. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის არგუმენტები და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

5.3. საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც მსჯავრი დაედო გ. გ-ის, სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

5.4. გ. გ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის კანონიერების და სამართლიანობის შეფასებამდე, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, ყურადღება გაამახვილოს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილ სასჯელის მიზნებზე, კერძოდ, სასჯელის მიზანია: 1) სამართლიანობის აღდგენა, 2) ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და 3) დამნაშავის რესოციალიზაცია. გარდა ამისა, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულზე და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

5.5. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ უპირველეს ყოვლისა, სასჯელი – ეს არის მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის სახელმწიფოს პასუხი. დანიშნული სასჯელი, პირველ რიგში, უნდა იყოს ჩადენილი ქმედების თანაზომიერი, რომელმაც მომავალში მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკები, ამასთან, დაზარალებულს და საზოგადოებას არ უნდა გაუჩინოს უსამართლობის ანდა დაუცველობის განცდა და საზოგადოებაში უნდა ჰქონდეს შემეკავებელი ეფექტი, დანაშაულის ჩადენის პოტენციური მსურველებისთვის. სწორედ ამიტომ, სასამართლომ სასჯელის სამართლიანობა უნდა შეაფასოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით, ვინაიდან სხვა-

დასხვაა თითოეული ჩადენილი ქმედება და მისი ჩამდენი პირი.

5.6. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ: „ზოგადი პრევენციის მიზნის უგულებელყოფა არ შეიძლება, მეტიც, მას ნამდვილად აქვს საზოგადოებაში მაგალითის დატვირთვა და პოზიტიური როლი კრიმინალური ქმედების შემცირებისა და საზოგადოების მშვიდი, ჰარმონიული განვითარებისათვის. თუმცა სახელმწიფოს იძულების ღონისძიების გამოყენებისას უნდა ჰქონდეს ზოგადი პრევენციის ზემოაღნიშნული პოზიტიური შედეგების გამოწვევის პასიური მოლოდინი, სახელმწიფომ არ შეიძლება პირი დასაჯოს მხოლოდ იმის გამო, რომ სხვამ არ ჩაიდინოს იგივე ქმედება. არ შეიძლება პირის დასჯის მიზანი იყოს მხოლოდ და მხოლოდ სხვა პირების „დაშინება“, გაფრთხილება და ამ გზით სხვების მიერ იმავე დანაშაულის ჩადენის რისკების მინიმალ化ება. მხოლოდ ზოგადი პრევენცია ვერ იქნება საკმარისი და თვითკმარი პირის მიმართ ნებისმიერი სასჯელის გამოყენებისთვის, რადგან ასეთი მიდგომით ადამიანი გადაიქცევა სახელმწიფოს ხელში საზოგადოების „დაშინების იარაღად“, იძულების ღონისძიების გამოყენების მუქარის შიშველ ობიექტად, რაც გამორიცხულია და დაუშვებელი სამართლებრივ სახელმწიფოში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52).

5.7. შესაბამისად, სწორედ ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დანიშნული სასჯელი უნდა იყოს პერსონალური და პროპორციული მსჯავრდებულის პიროვნებასა და ჩადენილი დანაშაულის ხასიათთან, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

5.8. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. გ-სთვის სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახე – ჯარიმა, იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულმა საწყის ეტაპზევე აღიარა დანაშაული და უდავოდ მიიჩნია მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გამოვლენილა, ჩადენილი დანაშაულის ხერხთან, ხასიათთან, საზოგადოებრივ საშიშროებასთან მიმართებით და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, აკმაყოფილებს სამართლიანობის და კანონიერების მოთხოვნებს, თუმცა გამოყენებული სასჯელის ზომა – 2000 ლარი დანაშაულის შედეგად გამოწვეულ ზიანთან მიმართებით, მიუხედავად მისი მისწრაფებისა ანაზღაუროს მიყენებული ზიანი, არაპროპორციულია და ვერ აკმაყოფილებს სამართლიანობის მოთხოვნებს, არ

შეესაბამება სასჯელის ზოგადი და კერძო პრევენციის მიზნებს, რის გამოც, გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება და გ. გ-ის საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით, რაც ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი საზოგადოებრივი საშიშროებისა და გ. გ-ს პიროვნების გათვალისწინებით, ასევე საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სრულად შეესაბამება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს (სასჯელის მიზნებს). სასჯელის ზომასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ დაკისრებული სასჯელისგან დამოუკიდებლად, დაზარალებულს უფლება აქვს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაც მნიშვნელოვანი საპროცესო გარანტიაა.

5.9. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილი თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას დამატებით სასჯელად სავალდებულოდ ითვალისწინებს, რაც იმპერატიული ხასიათისაა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს გ. გ-სთვის აღნიშნული დამატებითი სასჯელი დანიშნული არ აქვს. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი სასჯელის დამძიმების მოთხოვნით არის წარმოდგენილი და პროკურორის ასეთი პოზიცია ეკავა ქვედა ინსტანციის სასამართლოებში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. გ-ის, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, უნდა ჩამოერთვას სამენარმოო და მატერიალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლება.

5.10. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს. მთავარია, არა დამნაშავის მკაცრად დასჯა, არამედ ის, რომ დანაშაულის შემთხვევა არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე და ეს რეაგირება იყოს დამნაშავის პიროვნების, მის მიერ ჩადენილი ქმედების, მის მიმართ არსებული შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მაქსიმალური სიზუსტით შეფასების ადეკვატური.

5.11. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, თუ მან აანაზღაურა დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი და დაზარალებული ამ კანონის აღ-

სრულებისას თანხმობას განაცხადებს, რომ აღნიშნულ პირზე გავრცელდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული ამნისტია. ამავე კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ამ კანონით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ რეალურ სასჯელზე, პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადაზე, აგრეთვე სხვა სასჯელზე, გარდა ჯარიმისა და ქონების ჩამორთმევისა.

5.12. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამნისტიის კანონით გათვალისწინებული შეღავათი ვერ გავრცელდება ჯარიმის სახით განსაზღვრული ძირითადი სასჯელის მიმართ. რაც შეეხება გ. გ-ს მიმართ დამატებითი სასჯელის სახით დანიშნულ საქმიანობის უფლების ჩამორთმევას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იურიდიული შედეგის დადგომა დაკავშირებულია რამდენიმე პირობის ერთდროულად არსებობასთან, რაც, მოცემულ შემთხვევაში, გამოკვეთილი არ არის. კერძოდ, საქმის მასალებით მართალია დასტურდება, რომ გ. გ-ი ნასამართლევი არაა, თუმცა დაზარალებულისთვის ზიანის აუნაზღაურებლობის და მისი თანხმობის არარსებობის გამო, გ. გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დანიშნულ დამატებით სასჯელზე ვერ იქნება გამოყენებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სიღნაღის რაიონული პროკურორატურის პროკურორ მიხეილ კუპრაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 22 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

3. გ. გ-ი ცნობილი იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა 4000 ლარი;

4. გ. გ-ის საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე, დამატებით სასჯელად 1 წლით ჩამოერთვას სამენარმეო და მატერიალურ პა-

სუხისმგებლობასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლება;

5. გ. გ-ის დამატებითი სასჯელის ვადა აეთვალოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან;

6. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები: ელექტრონული დისკები შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

7. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ გ. გ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია;

8. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი.

9. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის
მე-4 ნაწილი ცალსახად და უპირობოდ გამოირიცხავს
საპენდიო ასაკის პირისათვის სასჯელის სახით
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნას**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№201აპ-24

8 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადემაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სილნალის რაიონული პროკურორის პროკურორ მიხეილ კუპრაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 17 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით: ა. უ-ს, – დაბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ა. უ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის 11 აგვისტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტ-

ტროს სიღნაღის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მ. ქ-ს მიერ გამოიცა №... შემაკავებელი ორდერი 30 დღით, რომლის თანახმადაც ა. უ-ს ოჯახის წევრის, კერძოდ, შვილის მეუღლის – ნ. დ-ს მიმართ განესაზღვრა შემდეგი ვალდებულება: აეკრძალა ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, მათ შორის, ტელეფონის, სოციალური ქსელის და სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით. მიუხედავად ამისა, 2022 წლის 13 აგვისტოდან 17 აგვისტოს ჩათვლით, ს. ი-სი, ა. უ-სი ყოველ დღე, პირადად ამყარებდა კომუნიკაციას ნ. დ-თან, რითაც დაარღვია შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებები.

3. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 9 ნოემბრის განაჩენით:

3.1. ა. უ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

3.2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ა. უ-ს მიმართ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 10 თებერვლის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი.

3.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა – სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 10 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა – 3 დღით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. უ-ის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა – 3 დღით და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 200 საათი;

3.4. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ა. უ-ს სასჯელის ვადად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2022 წლის 17 აგვისტოდან 2022 წლის 19 აგვისტოს ჩათვლით (3 დღე) და გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შემდგომი მოხდისგან;

3.5. საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება და კონტროლი დაევალა პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

3.6. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში, მსჯავრდებულ ა. უ-ს დაევალა დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ პრობაციის ბიუროს.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სიღნაღის რაიონული პროკურორატურის პროკურორმა მიხეილ კუპრაშვილმა, რომელმაც ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის დამძიმების

კუთხით, კერძოდ, ა. უ-სათვის საქართველოს სსკ-ის 11',381'-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მკაცრი სასჯელის განსაზღვრა;

4.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინა მსჯავრდებულ ა. უ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ა. ტ-მ და მოითხოვა სილნალის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 9 ნოემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 17 იანვრის განაჩენით უცვლელად დარჩა სილნალის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 9 ნოემბრის განაჩენი.

6. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა სილნალის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მიხეილ კუპრაშვილმა, რომელიც ითხოვს მსჯავრდებულისათვის კანონიერი და სამართლიანი სასჯელის დანიშვნას.

6.1. ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოდგინა მსჯავრდებულ ა. უ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ა. ტ-მ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 17 იანვრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

7. 2024 წლის 5 ივლისს საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოვიდა სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს კ.... პრობაციის ბიუროს პრობაციის ოფიცრის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის გ. მ-ს წერილი, რომლის თანახმად, სილნალის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 9 ნოემბრის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის სახე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 200 საათი ა. უ-ს მოხდელი აქვს სრულად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრით ბრალდების მხარე ითხოვს ა. უ-სათვის კანონიერი სასჯელის დანიშვნას.

3. ბრალდების მხარის საკასაციო მოთხოვნისა და დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის არარსებობის პირობებში, დავის საგანს არ წარმო-

ადგენს ა. უ-ს მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხილი დანაშაულის (საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით) ჩადენა, შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნულ ნაწილში (მსჯავრდების ნაწილში) თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის კანონიერება.

4. საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას ა. უ-სის მსჯავრდების ნაწილში და მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები (მათ შორის: დაზარალებულ ნ. დ-ს, მოწმეების: ნ. ს-ის, ლ-ის, მ. ქ-ს, გ. ჯ-ის, გ. უ-ის, თ. მ-ის ჩვენებები, №... შემაკავებელი ორდერი და მისი ოქმი და სხვა მტკიცებულებები), რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს ა. უ-ს მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედების ჩადენას.

5. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას მსჯავრდებულის მიმართ მკაცრი სასჯელის შეფარდების შესახებ, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

6. საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს – ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

7. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის მე-11¹-ე მუხლს, რომლის თანახმად ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹, 133², 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144³, 149-ე-151¹, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255¹, 381¹ და 381² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით. შესაბამისად, საქართველოს

სსკ-ის 381¹-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება, მე-11¹-ე მუხლზე მითითებით წარმოადგენს ასევე ოჯახურ დანაშაულს.

8. საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ჯარიმა ძირითად სასჯელად არ შეიძლება დაინიშნოს ამ კოდექსის 126¹-ე მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან ამავე კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის; შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრდების ფარგლებში არ არსებობს ა. უ-სის მიმართ სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების კანონისმიერი საფუძველი.

9. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე განვეულ სამხედრო მოსამსახურეს.

9.1. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა.

9.2. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ა. უ. არის საპენსიო ასაკის პირი. შესაბამისად, არ არსებობს ა. უ-ს მიმართ სასჯელის სახით არც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების კანონისმიერი საფუძველი.

10. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის თანახმად, მართალია საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაენიშნება საპენსიო ასაკის პირს, მსჯავრდებული ა. უ. კი არის პენსიონერი, თუმცა მოცემული გარემოება ცალკე აღებული არ უნდა გახდეს გადაწყვეტილების მსჯავრდებულის საუარესოდ მიღების და სასჯელის დამძიმების წინაპირობა, ვინაიდან კანონის აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს პრივილეგიას სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდებულებისადმი (შპმ პირი, ორსული ქალი, საპენსიო ასაკის პირი და ა.შ) და არა მათი მდგომარეობის დამძიმების საფუძველს. ამასთან, სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მსჯავრდებულის მიერ დანიშნული სასჯელის (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა) დიდი ნაწილი მოხდილია და მსჯავრდებული ა. უ. აგრძელებს სასჯელის მოხდას.

11. საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის იმპერატიული ხასიათიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, ვინაიდან, საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილის ჩანაწერი ცალსახად და უპირობოდ გამორიცხავს სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარ-

გებლო შრომის დანიშვნას მათ შორის საპენსიო ასაკის პირისათვის. შესაბამისად, დაუშვებელია ა. უ-ის, როგორც საპენსიო ასაკის პირის, მიმართ სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება.

12. სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული სასჯელის კონსტიტუციურობის შემოწმებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის პოზიცია სასჯელის მიზნებთან დაკავშირებით, ვინაიდან კონსტიტუციის ფარგლებში კონკრეტული დანაშაულისთვის შესაბამისი საფრთხეების ანალიზისა და საზოგადოებრივი საჭიროების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი სასჯელის განსაზღვრის კომპეტენცია ექსკლუზიურად კანონმდებელს გააჩნია... სასამართლო ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომლის ფუნქცია მართლმსაჯულების განხორციელებაა, პარლამენტი კანონშემოქმედების პროცესში ბევრად უფრო ახლოს დგას და უფრო მეტი ბერკეტი აქვს იმისათვის, რომ ობიექტურად შეაფასოს ესა თუ ის სოციალური საშიშროება და ემპირიული დასკვნების საფუძველზე განსაზღვროს მასთან ბრძოლის შესაძლო ეფექტური გზები. ამიტომაც არის, რომ „ქმედების დასჯადად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად ... საშუალება არ მიეცეს სამართალშემფარებელს, სამოსამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თავად შექმნას სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობა“ (mutatis mutandis იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37). იგივე უნდა ითქვას დასჯადი ქმედებისთვის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრის შესახებ... იმ შემთხვევაში, როდესაც საერთო სასამართლოების მიერ ნორმის განმარტება უშუალოდ დაუპირისპირდება კანონმდებლის ნებას და დაადგენს ახალი დანაშაულის შემადგენლობას ანდა ამა თუ იმ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელისგან განსხვავებულ სასჯელს განსაზღვრავს, საფრთხე ექმნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. მნიშვნელოვანია იმის გათვითცნობიერება, რომ, ზოგადად, დემოკრატიისა და კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ერთ-ერთ მთავარ გარანტორს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი წარმოადგენს, რომლის დანიშნულებაც, არ მოხდეს ძალაუფლების კონცენტრაცია მხოლოდ ერთ სახელისუფლებლო შტოში და გამოირიცხოს ამა თუ იმ ორგანოს მიერ მისთვის კონ-

სტიტუციით მიუნიჭებელი ფუნქციების განხორციელება (იხ. “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1/10/703 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II – 24-26; 37-38).

13. მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მკაფიოდაა განსაზღვრული სასჯელის სახეები: ჯარიმა (რომელიც არ გამოიყენება ოჯახური დანაშაულის საქმეებზე), საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (რომელიც არ შეიძლება დაენიშნოს მათ შორის საპენსიო ასაკის პირს) და თავისუფლების აღკვეთა.

13.1. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის ა. უ-ს მიმართ სასჯელის სახედ დაუშვებელია ჯარიმის და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენება, ხოლო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დანიშნოს სასჯელის ის სახე, რომელიც საქართველოს სსკ-ის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლის ნაწილის სანქციით არ არის გათვალისწინებული, ა. უ-ის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთა.

14. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის თავისუფლება უმთავრესი ღირებულებაა, ის, იმავდროულად, სწორედ ამ მიზეზით ზღვარდადებულია საზოგადოების სხვა წევრების თავისუფლებით (ძირითადი უფლებებით და თავისუფლებებით)“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება № 1/4/592 „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45).

15. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. იმავდროულად, სასჯელის დანიშვნისას, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით, – მისი მისწრაფება აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

16. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ა. უ. სიღნაღის რაიონული სა-

სამართლოს 2020 წლის 15 აპრილის საპროცესო განაჩენით მსჯავრდებული იყო საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის, დანიშნული სასჯელი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა კი საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩათვლილი ჰქონდა პირობითად, საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე 2 წლის გამოსაცდელი ვადით. ასევე, სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 10 თებერვლის საპროცესო განაჩენით მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით ძირითადი სასჯელის სახით განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთა – 2 წლით, საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩათვალა პირობითად და საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა – 2 წელი. მასვე, საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვრა – 150 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

17. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „რესოციალიზაციის მიზანი გულისხმობს სასჯელის მეშვეობით საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული თანაცხოვრების წესებისადმი დამნაშავის შეგუებას, ამისათვის შესაბამისი პირობების შექმნის გზით, როგორც საპატიმრო დაწესებულებაში, ასევე, არასაპატიმრო სასჯელის შეფარდებისას, თავისუფლებაში ყოფნის პირობებში; ახალი დანაშაულის თავიდან აცილება კი ხორციელდება სპეციალური და ზოგადი პრევენციის ფარგლებში, სადაც სპეციალური პრევენცია მიმართულია რეციდივის წინააღმდეგ, რათა დამნაშავეს მოესპოს ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა ან მოხდეს მათი მინიმალიზება. ზოგადი პრევენცია კი გულისხმობს დანაშაულის ჩადენის ყველა პოტენციური მსურველისათვის იმის დემონსტრირებას, თუ რა შეიძლება მათ ელოდეთ ანალოგიური ქმედების ჩადენის შემთხვევაში“ (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, საქმეზე – საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

17.1. სასამართლო, ითვალისწინებს, რომ ა. უ-მ მისთვის მსჯავრად შერაცხილი ქმედება ჩაიდინა პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნისას. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ დანაშაულის ჩადენის დროს (2022 წლის 11 აგვისტოს) ა. უ. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 10 თებერვლის განაჩენის საფუძველზე იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ. შესაბამისად, საქმის მასალებით ცალსახად დასტურდება, რომ საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე სასჯელის დანიშვნამ ვერ უზრუნველყო

საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვერც ახალი დანაშაულის თავიდან აცილების და ვერც რესოციალიზაციის მიზნის მიღწევა.

18. იმავდროულად, ვინაიდან რომ მსჯავრად შერაცხული დანაშაულის ჩადენის დროს – 2022 წლის 11 აგვისტოს – ა. უ. იყო განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევ პირი (ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონდა), რაც, საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის თანახმად, წარმოადგენს დანაშაულის რეციდივს, მას სასჯელი უნდა დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული დანაწესის შესაბამისად. კერძოდ, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

19. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად (იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 7 ივლისის განაჩენი № 14აპ-22; ასევე – 2023 წლის 8 მაისის განაჩენი № 150აპ-23) საქართველოს სსკ-ის 381¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლზე მითითება თავისთავად არ განაპირობებს საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესის გამოყენების აუცილებლობას.

19.1. მოცემულ შემთხვევაში შემაკავებელი ორდერის გამოცემა უკავშირდებოდა ა. უ.-ს მიერ შვილის მეუღლის – ნ. დ.-ს მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას. შესაბამისად, ა. უ.-ს მიმართ მსჯავრად შერაცხილი ქმედების – საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას გვაძლევს ოჯახის წევრის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე გამოცემული შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა.

19.2. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამატებითი ობიექტს წარმოადგენს ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის გამოყენება – საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ოჯახის წევრის მიმართ ჩადენის გამო – გამოიწვევს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუმართლებელ დამძიმებას (იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ივ-

ლისის № 14აპ-22 განაჩენი, II-15; ასევე – 2023 წლის 8 მაისის განაჩენი № 150აპ-23). აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ოჯახის წევრის მიმართ ჩადენის გამო ა. უ-სათვის სასჯელის საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენებით დანიშვნის საფუძველი.

20. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ა. უ-ს საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე და 58-ე მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით, სასჯელის სახედ და ზომად საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის უნდა განესაზღვროს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

21. სასამართლო ითვალისწინებს, რომ არ არსებობს ა. უ-სათვის სასჯელის სახით განსაზღვრული – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით ან საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ნაწილობრივ ან სრულად პირობითად ჩათვლის საფუძველი ვინაიდან,

21.1. მსჯავრდებული ა. უ. არ აკმაყოფილებს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილითა (ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას სასამართლო უფლებამოსილია, განაჩენით დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრდ ჩათვლა, თუ ბრალდებული (მსჯავრდებული) აღიარებს დანაშაულს (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე), ასახელებს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეებს და თანამშრომლობს გამოძიებასთან) და საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით (თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის) გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ვინაიდან, ა. უ-მ გამოძიების ეტაპზე, წინასასამართლო სხდომაზე და საქმის არსებითი განხილვისას მიუთითა, რომ არ აღიარებდა მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენას. შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია ა. უ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი შეღავათის (სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა) და საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობას.

21.2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი გამოსაცდელ ვადაში პირობით მსჯავრდებულის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირობითი მსჯავრის გამოყენებას ითვალისწინებს მხოლოდ გამონაკლისის სახით – მხარეთა შორის საქართველოს სის-

ხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXI თავის შესაბამისად საპროცესო შეთანხმების დადებისას, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს გენერალურ პროკურორთან ან მის მოადგილესთან. ამდენად, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესი ცალსახად და ამომწურავად განსაზღვრავს გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების საგამონაკლისო წესს – ერთადერთ შემთხვევაში – თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. ხსენებული ნორმა ეხება ზოგადად პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის გამოყენებას, რაც საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლების სისტემური, ტელეოლოგიური და გრამატიკული განმარტებიდან გამომდინარე, მოიცავს დანიშნული სასჯელის როგორც სრულად (საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე), ისე ნაწილობრივ (საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის ან ამავე კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე) პირობითად ჩათვლას. საწინააღმდეგო განმარტება არ შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის ძირითად არსსა და მიზანს. შესაბამისად, გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენისას, დანიშნული სასჯელის ნაწილის ან სრულად პირობითად ჩათვლა (საპროცესო შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში) საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით – დაუშვებელია.

23. ამასთან, სასამართლო ითვალისწინებს, რომ ა. უ-ის მიმართ განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნა უნდა მოხდეს საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

24. სასამართლო იმავდროულად ითვალისწინებს, რომ მართალია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოები უთითებენ ა. უ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (უჭირს გადაადგილება, სმენა და მხედველობა აქვს დაქვეითებული), თუმცა სისხლის სამართლის საქმეში აღნიშნულის დამადასტურებელი სამედიცინო დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ არის.

24.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ერთი მხრივ, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება საჭიროებს სპეციალურ ცოდნას, ხოლო სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვება აღნიშნულის ობიექტურად არსებობის (და ასეთის შემთხვევაში – ხარისხის/სიმძიმის განმსაზღვრელი) დამდგენი დოკუმენტი, მსჯავრდებული გამოძიების ეტაპზევე იყო უზრუნველყოფილი ადვოკატის დახმარებით, ამასთან ა. უ-სთვის სახაზინო წესით ადვოკატის დანიშვნის საფუძველი იყო საქართველოს სსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი („გადახდისუუნარო ბრალდებული მოითხოვს ადვოკატის და-

ნიშნას“) და არა საქართველოს სსკ-ის 45-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი; ამასთან გასაჩივრებული განაჩენების დამდგენმა სასამართლოებმა განაჩენებში მითითებული/აღწერილი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად მაინც შესაძლებლად მიიჩნიეს ა. უ-სთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა.

25. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ა. უ-ს შესაძლებლობა აქვს შეწყალების თხოვნით მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს (საქართველოს სსკ-ის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით); ასევე – მოითხოვოს სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება (საქართველოს სსკ-ის 74-ე მუხლით დადგენილი წესით და შემთხვევებში, ასევე საქართველოს სსკ-ის 284-ე მუხლის შესაბამისად).

26. დაზარალებულის პოზიციასთან (საქმეში წარმოდგენილია დაზარალებულის განცხადება (დამონმებული ნოტარიუსის მიერ)) მიმართებით სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „სასჯელის დაკისრება, თავისი ბუნებით, არ არის უფლება, რომელიც შეიძლება/უნდა დაკმაყოფილდეს ადამიანების მოთხოვნების, სურვილების შესაბამისად. სასჯელი უნდა იყოს რეალურად ჩადენილი ქმედების თანაზომიერი, დაფუძნებული როგორც ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე, ისე დანაშაულის ყველა ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებაზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორ მიხეილ კუპრაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 17 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ა. უ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს –

1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს ა. უ-ის მიმართ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 10 თებერვლის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატოს წინა – ს.... რაიონული სასამართლოს 2022 წლის 10 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან თავისუფლების აღკვეთა – 3 დღის ვადით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. უ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლითა და 3 დღით თავისუფლების აღკვეთა;

5. ა. უ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავებიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო 2022 წლის 17 აგვისტოდან 2022 წლის 19 აგვისტოს ჩათვლით (3 დღე).

6. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მსჯავრდებულის მიმართ არ არსებობდა, საქართველოს
სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით
დადგენილი წესით, დანიშნული სასჯალის ნაწილის
პირობითად ჩათვლის კანონისმიერი საფუძველი**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№303აპ-24

19 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ გიორგი მუკბანიანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 9 თებერვლის განაჩენზე მსჯავრდებულების – ლ. ღ-ს, ა. ჩ-ს და ლ. ბ-ს მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით:

1.1. ლ. ღ-ს, – დაბადებულს 1... წელს, (პ/ნ №....) – ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 126-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა;

1.2. ა. ჩ-ს, – დაბადებულს 1... წელს, (პ/ნ №....) – ბრალად ედებოდა საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა;

1.3. ლ. ბ-ს, – დაბადებულს 1... წელს, (პ/ნ №....) – ბრალად ედებოდა საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებებით ლ. ღ-ს, ა. ჩ-სა და ლ. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2023 წლის იანვარში, ლ. ღ-ს და ა. ჩ-მ პ. ჩ-ს ძალადობის გამოყე-

ნების მუქარით მოსთხოვეს – 9000 ლარის გადახდა, რისთვისაც განუ-საზღვრეს ორკვირიანი ვადა. 2023 წლის 9 თებერვალს, ლ. ლ. და ა. ჩ-ე ქ. თ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდნენ პ. ჩ-ს, რომელიც ჩასვეს ა. ჩ-ს კუთვნილ „ლექსუსის“ მარკის ავტომანქანაში (სახელმწიფო ნომერი ...), რომელსაც მართავდა ლ. ბ-სე. ავტომანქანაში ლ. ლ. და ა. ჩ-ე პ. ჩ-ს დაემუქრნენ სიცოცხლის მოსპობით, სცემეს თავის და ტანის არეში, რამაც ამ უკანასკნელის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და მოსთხოვეს – 20 000 ლარის გადახდა. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი დაემუქრნენ მისი და ოჯახის წევრების მიმართ სიცოცხლისა და ჯან-მრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით;

2.2. 2023 წლის 9 თებერვალს, ა. ჩ-ს კუთვნილ „ლექსუსის“ მარკის ავტომანქანაში (სახელმწიფო ნომერი ...), რომელსაც მართავდა ლ. ბ-სე, ლ. ლ-ს და ა. ჩ-მ პ. ჩ-ს გამოძალვის მოტივით, სცემეს თავის და ტა-ნის არეში, რამაც ამ უკანასკნელის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია. ჩა-ტარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, პ. ჩ-ს სხეულზე არ-სებული დაზიანებები მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხა-რისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად;

2.3. 2023 წლის 9 თებერვალს, ლ. ლ. და ა. ჩ-სე ქ. თ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდნენ პ. ჩ-ს, რომელიც ჩასვეს ა. ჩ-ს კუთვნილ „ლექ-სუსის“ მარკის ავტომანქანაში (სახელმწიფო ნომერი ...), რომელსაც მარ-თავდა ლ. ბ-ე. ავტომანქანაში ლ. ლ. და ა. ჩ-ე პ. ჩ-ს დაემუქრნენ სიცოც-ხლის მოსპობით, სცემეს თავის და ტანის არეში, რამაც ამ უკანასკნე-ლის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია და მოსთხოვეს – 20 000 ლარის გა-დახდა. მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი დაემუქრნენ მისი და ოჯახის წევრების მიმართ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათ-ვის საშიში ძალადობის გამოყენებით.

ლ. ბ-მ ნამდვილად იცოდა, რომ ჩადენილი იყო მძიმე დანაშაული – ლ. ლ-სა და ა. ჩ-ს მიერ პ. ჩ-ს მიმართ ჯგუფურად, დიდი ოდენობით ქო-ნების გამოძალვის ფაქტი, თუმცა აღნიშნულის შესახებ არ შეატყობი-ნა სამართალდამცავ ორგანოებს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 6 ნოემბრის გა-ნაჩენით:

3.1. ლ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 3 წლით თავი-სუფლების აღკვეთა;

3.2. ლ. ბ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავები-დან, 2023 წლის 15 თებერვლის 19:19 საათიდან;

3.3. ა. ჩ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხ-ლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის

126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში:

3.3.1. საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.3.2. საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

3.3.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, უფრო მკაცრმა ძირითადმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი ძირითადი სასჯელი და საბოლოოდ, ა. ჩ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.4. ა. ჩ-ს სასჯელის მოხდა აეთვალა ფაქტობრივი დაკავებიდან – 2023 წლის 15 თებერვლის 19:19 საათიდან;

3.5. ლ. ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში:

3.5.1. საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.5.2. საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

3.6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, უფრო მკაცრმა ძირითადმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი ძირითადი სასჯელი და საბოლოოდ ლ. ლ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.7. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 აგვისტოს განაჩენით ლ. ლ-ს მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და ბოლო განაჩენით დანიშნულმა ძირითადმა სასჯელმა სრულად შთანთქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 აგვისტოს განაჩენით ლ. ლ-ს მიმართ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული ძირითადი სასჯელის მო-

უხდელი ნაწილი – 3 წელი თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის მოუხდელი ნაწილი ჯარიმა – 3130 ლარი და საბოლოოდ, ლ. ლ-ს დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.8. ლ. ლ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავებიდან – 2023 წლის 15 თებერვლის 19:19 საათიდან.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ:

4.1. მსჯავრდებულ ა. ჩ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ა. ბ-მ ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის შემსუბუქების კუთხით და საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, მსჯავრდებულ ა. ჩ-ს მიმართ განსაზღვრული სასჯელის ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა;

4.2. მსჯავრდებულ ლ. ლ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა რ. ჩ-მ ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 6 ნოემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის ნაწილში და ლ. ლ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენება;

4.3. მსჯავრდებულ ლ. ბ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ზ. ბ-მ ითხოვა პირველი ინსტანციის განაჩენის გაუქმება და ლ. ბ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა;

4.3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისას, მსჯავრდებულმა ლ. ბ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა სასჯელის შემსუბუქების თვალსაზრისით და ითხოვეს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ლ. ბ-სათვის დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 9 თებერვლის განაჩენით დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა და ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 6 ნოემბრის განაჩენში. კერძოდ,

5.1. ლ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, სასჯელის ნაწილი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი, საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩაეთვალა პირობით და ამავე კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა – 1 წელი;

5.1.1. მსჯავრდებულ ლ. ბ-ს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახ-
დელად განსაზღვრული სასჯელის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკა-
ვებიდან – 2023 წლის 15 თებერვლიდან;

5.2. ა. ჩ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 126-
ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანა-
შაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

5.2.1. საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“
ქვეპუნქტებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5.2.2. საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვე-
პუნქტით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

5.2.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველ-
ზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და
ა. ჩ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განე-
საზღვრა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც, საქართველოს
სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, სასჯელის ნაწილი – 2
წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენცი-
ურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი და 4 თვე, სა-
ქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩაეთვალა პირობით და
ამავე კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად დაუდ-
გინდა – 1 წელი და 4 თვე;

5.2.4. მსჯავრდებულ ა. ჩ-ს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახ-
დელად განსაზღვრული სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი
დაკავებიდან – 2023 წლის 15 თებერვლიდან;

5.3. ლ. ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 126-
ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანა-
შაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

5.3.1. საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“
ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5.3.2. საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვე-
პუნქტით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

5.3.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველ-
ზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და
ლ. ლ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განე-
საზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც, საქართველოს
სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, სასჯელის ნაწილი – 3
წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენცი-
ურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი და 8 თვე, სა-
ქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩაეთვალა პირობით და

ამავე კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი და 8 თვე;

5.3.5. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 აგვისტოს განაჩენით ლ. ლ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი – 3 წლის ვადით;

5.3.6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა წინა განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის მოუხდელი ნაწილი ჯარიმა – 3130 ლარი და საბოლოოდ, ლ. ლ-ს დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც, საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, სასჯელის ნაწილი – 3 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი და 8 თვე, საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, ჩათვალა პირობით და ამავე კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა – 1 წელი და 8 თვე;

5.3.7. მსჯავრდებულ ლ. ლ-ს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული სასჯელის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავებიდან – 2023 წლის 15 თებერვლიდან;

5.4. საქართველოს სსკ-ის 65-ე მუხლის საფუძველზე, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, მსჯავრდებულებს – ლ. ბ-ს, ა. ჩ-ს და ლ. ლ-ს დაეკისრათ მოვალეობა პრობაციის სამსახურის ნებართვის გარეშე არ შეიცვალონ მუდმივი ბინადრობის ადგილი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 66-ე მუხლის თანახმად, კონტროლი მათ ყოფაქცევაზე და დახმარება, დაევალა პრობაციის სამსახურს მსჯავრდებულების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 9 თებერვლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა გიორგი მუკბანიანმა, რომელიც ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 9 თებერვლის განაჩენში ცვლილებას და ლ. ბ-ს, ა. ჩ-ს და ლ. ლ-ს მიმართ მკაცრი სასჯელის გამოყენებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა

საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ პროკურორ გიორგი მუკბანიანის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. ბრალდების მხარე საკასაციო საჩივრით ითხოვს ცვლილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 13 თებერვლის განაჩენში და ლ. ლ-ს, ა. ჩ-სა და ლ. ბ-ს მიმართ მკაცრი სასჯელის გამოცენებას. კასატორის მტკიცებით, ლ. ლ. იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა შენახვისათვის, ხოლო ლ. ბ-ე და ა. ჩ-ე წარსულში ნასამართლევი არიან განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის; მსჯავრდებულები ცეცხლსასროლი იარაღის გამოცენების მუქარით ახორციელებდნენ დაზარალებულის მიმართ დანაშაულებრივ ქმედებას და შესაბამისად, გამოკვეთილია საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება; ამასთან, მსჯავრდებულებს არ უღიარებიათ მათთვის ბრალად წარდგენილი ქმედებების ჩადენა, ისინი მხოლოდ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე დაეთანხმნენ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს და არ მოუთხოვიათ მათი გამოკვლევა. დანაშაულებრივი ქმედება გახსნილია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად.

3. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მსჯავრდებულების ლ. ლ-სა და ა. ჩ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, ხოლო ლ. ბ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი დაზარალებულ პ. ჩ-ს და მოწმეების გამოკითხვის ოქმებით, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციით, ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმებით, გამოთხოვილი ინფორმაციით, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ფონოკოპიური ექსპერტიზის დასკვნით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით, რასაც მხარეებიც არ ხდიათ სადავოდ.

4. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას მსჯავრდებულების მიმართ მკაცრი სასჯელის შეფარდების შესახებ, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა

შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამიტომ „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამონევენად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ ...ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38), უნდა ეფუძნებოდეს საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დანაშაულის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დანაშაულის მომავალ ცხოვრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 11 ივლისი, II-10).

5. საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ლი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ; საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილი – თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე; საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთას ვადით ორიდან ექვს წლამდე.

6. საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის თანახმად, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას, ხოლო საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

6.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ლ. დ. საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას იყო ნასამართლობის მქონე (თბილი-

სის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 აგვისტოს განაჩენით), შესაბამისად, მსჯავრდებულ ლ. ლ-ს საქართველოს სსკ-ის მე-17 და 58-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახით განესაზღვრა – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6.2. ლ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას იყო ნასამართლობის მქონე (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 ოქტომბრის განაჩენით), შესაბამისად, მსჯავრდებულ ლ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის მე-17 და 58-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახით განესაზღვრა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6.3. ა. ჩ-ე საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას (2023 წლის 9 თებერვალს) იყო ნასამართლობის არ მქონე, ვინაიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 24 იანვრის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლდა საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქტომბრის №... განკარგულებით, აღუდგა ჩამორთმეული უფლებები და მოეხსნა ნასამართლობა. ხოლო, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 12 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი ჯარიმა – 500 ლარი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2023 წლის 16 თებერვლის წერილის თანახმად ა. ჩ-მ გადაიხადა 2015 წლის 23 ივლისს და საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ნასამართლობა გაუქარწყლდა თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელის – ჯარიმა 500 ლარის – მოხდიდან ერთი წლის შემდეგ.

7. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარე საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად მიუთითებს მსჯავრდებულების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მუქარით დაზარალებულის მიმართ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას.

7.1. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ბრალდების მხარის მსჯელობას და აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული დამამძიმებელი გარემოების (დანაშაულის ჩა-

დენა იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით) სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებისთვის, აუცილებელია სს საქმის მასალებში წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა. მოცემულ შემთხვევაში კასატორის მიერ მითითებული ცეცხლსასროლი იარაღი არ ამოღებულა და სისხლის სამართლის საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარე ლ. ლ-სა და ა. ჩ-ს არ ედავება პ. ჩ-ს მიმართ გამოძალვის ჩადენისას სიცოცხლის მოსპობის მუქარას იარაღის გამოყენებით (პირის ბრალდების ფორმულირებაში არ არის მითითებული დანაშაულის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენაზე).

8. შესაბამისად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის ზომა (ხანგრძლივობა) ლ. ლ-სა და ა. ჩ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, ხოლო ლ. ბ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილით არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია) და შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებშია. ამასთან, ლ. ლ-სა და ლ. ბ-ს მიმართ გასაჩივრებული განაჩენით განსაზღვრული ძირითადი სასჯელის ხანგრძლივობა შეესაბამება საქართველოს სსკ-ის მე-17 და 58-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს.

8.1. სააპელაციო სასამართლომ ასევე გაითვალისწინა, რომ მსჯავრდებულებმა უდავოდ გახადეს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რითიც ხელი შეუწყვეს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

9. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მსჯავრდებულების ლ. ლ-ს, ლ. ბ-სა და ა. ჩ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენებასთან დაკავშირებით. ამასთან სასამართლო ასევე არ იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მითითებულ მსჯელობას და მიდგომას – მსჯავრდებულ ლ. ლ-ს მიერ გამოსაცდელ ვადაში დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, როდესაც არ არსებობს მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმება – საქართველოს სსკ-ის 50-ე

მუხლის მე-5 ნაწილსა და საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილს შორის ურთიერთმიმართების არარსებობის შესახებ.

10. მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება და მხარეებიც არ ხდიან სადავოდ, რომ ლ. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელ ვადაში.

11. სასამართლო კვლავაც განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი გამოსაცდელ ვადაში პირობით მსჯავრდებულის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, პირობითი მსჯავრის გამოყენებას ითვალისწინებს მხოლოდ გამონაკლისის სახით – მხარეთა შორის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXI თავის შესაბამისად საპროცესო შეთანხმების დადებისას, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს გენერალურ პროკურორთან ან მის მოადგილესთან. ამდენად, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესი ცალსახად და ამომწურავად განსაზღვრავს გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მსჯავრდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების საგამონაკლისო წესს – ერთდერთ შემთხვევაში – თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება. ხსენებული ნორმა ეხება ზოგადად პირობითი მსჯავრის ინსტიტუტის გამოყენებას, რაც საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლების სისტემური, ტელეოლოგიური და გრამატიკული განმარტებიდან გამომდინარე, მოიცავს დანიშნული სასჯელის როგორც სრულად (საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე), ისე ნაწილობრივ (საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის ან ამავე კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე) პირობითად ჩათვლას. საწინააღმდეგო განმარტება არ შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის ძირითად არსსა და მიზანს. შესაბამისად, გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენისას, დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა (საპროცესო შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში) საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით – დაუშვებელია (მაგალითისთვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 11 ივლისის განაჩენი საქმეზე №525აპ-22, II-9; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 23 ივნისის განჩინება საქმეზე №369აპ-23, II-14).

12. ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი არ მიემართება ამავე კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევას და კვლავაც აღნიშნავს, რომ „საქართვე-

ლოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი, გარდა პირობითი მსჯავრის გამონაკლის შემთხვევაში გამოყენების წესისა, ასევე არეგულირებს პირობით მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელ ვადაში დანაშაულის ჩადენისას პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და სასჯელის დანიშვნის წესს, რაც მიემართება არა მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის, არამედ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დანიშნულ პირობით მსჯავრსაც. შესაბამისად, გაუგებარია, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის იმგვარი განმარტება, რაც უშვებს მისი პირველი და მეორე წინადადებების გავრცელებას საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაზე, ხოლო მსგავს მიდგომას გამორიცხავს მესამე წინადადებასთან მიმართებით (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 11 ივლისის განაჩენი საქმეზე №525აპ-22, II-10).

13. შესაბამისად, იმ პირობებშიც კი, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ მსჯავრდებული ლ. ლ. აკმაყოფილებდა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არ არსებობდა მისთვის დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის კანონისმიერი საფუძველი, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დადების ფაქტი.

14. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს კუ-მულაციურად შემდეგი გარემოებების არსებობა (მაგალითისთვის: იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის განჩინება №305აპ-21): ბრალდებულის (მსჯავრდებული) მიერ დანაშაულის აღიარება (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე); დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეების დასახელება და თანამშრომლობა გამოძიებასთან. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან არ დგინდება, რომ ლ. ლ., ა. ჩ-ე და ლ. ბ-ე თანამშრომლობდნენ გამოძიებასთან (დანაშაულებრივი ქმედება გახსნილია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად); მსჯავრდებულები: ლ. ლ., ა. ჩ-ე და ლ. ბ-ე წინასასამართლო სხდომის ეტაპზე არ სცნობდნენ თავს დამნაშავედ; საქმის არსებითი განხილვის 2023 წლის 3 მაისის სხდომაზე ლ. ლ. და ა. ჩ-ე იყენებდნენ დუმილის უფლებას, ხოლო ლ. ბ-ე თავს არ ცნობდა დამნაშავედ. მსჯავრდებულები პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე, მხოლოდ დასკვნითი და საბოლოო სიტყვების ეტაპზე დაეთანხმნენ ადვოკატების პოზიციას, რომლებმაც მიუთითეს რომ ბრალდებულები: ლ. ლ., ა. ჩ-ე და ლ. ბ-ე აღიარებდნენ მათთვის ბრალად წარდგენილი ქმედებების ჩადენას, რაც ვერ შეფასდება საქართველოს სსკ-

ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების წინაპირობად (მაგალითისთვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის განაჩენი საქმეზე №444აპ-23, II-6.1; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 28 ნოემბრის განჩინება №878აპ-22, პარ. 10). შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, მსჯავრდებულების – ლ. ღ-ს, ა. ჩ-სა და ლ. ბ-ს მიმართ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას დაადგინოს სასჯელის ნაწილის მოხდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის პირობით მსჯავრად ჩათვლა.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორ გიორგი მუკბანიანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 9 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება;

3. ლ. ბ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. სასჯელის მოხდის ვადა ლ. ბ-ს აეთვალოს ფაქტობრივი დაკავებიდან, 2023 წლის 15 თებერვლიდან;

5. ა. ჩ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში;

5.1. საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5.2. საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ძირითადი

სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა ძირითადმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი ძირითადი სასჯელი და საბოლოოდ, ა. ჩ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

7. სასჯელის მოხდის ვადა ა. ჩ-ს აეთვალოს ფაქტობრივი დაკავებიდან – 2023 წლის 15 თებერვლიდან;

8. ლ. ლ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში;

8.1. საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

8.2. საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

9. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა ძირითადმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი ძირითადი სასჯელი და საბოლოოდ, ლ. ლ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

10. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის საფუძველზე, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 აგვისტოს განაჩენით ლ. ლ-ს მიმართ დადგენილი პირობითი მსჯავრი და ბოლო განაჩენით დანიშნულმა ძირითადმა სასჯელმა სრულად შთანთქმას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 აგვისტოს განაჩენით ლ. ლ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, ლ. ლ-ს დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა – 5 წლით;

11. სასჯელის მოხდის ვადა ლ. ლ-ს აეთვალოს ფაქტობრივი დაკავებიდან, 2023 წლის 15 თებერვლიდან;

12. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

13. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მსჯავრდებულის მიმართ არ არსებობდა, საქართველოს
სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით
დადგენილი წესით, დანიშნული სასჯალის ნაწილის
პირობითად ჩათვლის კანონისმიერი საფუძველი**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№619აპ-24

9 აგვისტო, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დასავლეთ საქართველოს სა-
ოლქო პროკურორატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ვა-
ლერი კუჭუხიძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამარ-
თლოს 2024 წლის 15 თებერვლის განაჩენზე მსჯავრდებულ ბ. გ-ს მი-
მართ.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ბ. გ-ს, დაბადებულს
1... წელს, ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კო-
დექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 276-ე მუხლის მე-6 ნაწი-
ლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა;

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ბ. გ-ს მიერ ჩადენილი
ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2020 წლის 19 ივნისს, დაახლოებით 22:09 საათზე, ქ... საჯარო სკო-
ლის წინ გამავალ საავტომობილო გზაზე, „ლექუსის“ მოდელის (სახელ-
მწიფო ნომრით ...) ავტომობილით ქუჩიდან ს... მიმართულებით დაახ-
ლოებით 70 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობისას, ბ. გ-მა დაარღვია „საგზაო
მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნ-
ქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად, „მძღოლს ეკრძალება სატრან-
სპორტო საშუალების მართვა ამ კანონით განსაზღვრული სიჩქარის შეზ-
ღუდვის გადაჭარბებით. შერჩეული სიჩქარე მძღოლს საშუალებას უნ-
და აძლევდეს მუდმივად აკონტროლოს სატრანსპორტო საშუალება ისე,
რომ დაცული იქნეს მოძრაობის უსაფრთხოება“, დაეჯახა ქვეითად მო-
სიარულე ა. გ-ს, რომელიც გზას კვეთდა სწრაფი სირიბით მარცხნი-
დან მარჯვნივ. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევისას მიღებული და-

ზიანებების გამო ა. გ. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 1 თებერვლის განაჩენით:

3.1. ბ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.2. მასვე, 2 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

3.3. ბ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაეწყოს დაკავების მომენტიდან.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ, მსჯავრდებულ ბ. გ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა გ. გ-მ და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 1 თებერვლის განაჩენის გაუქმება, ბ. გ-ს უდანაშაულოდ ცნობა და გამართლება.

4.1. მსჯავრდებულმა ბ. გ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ზ. ჯ-მ და გ. გ-მ დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და მოითხოვეს ბ. გ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესით.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 15 თებერვლის განაჩენით დაცვის მხარის დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. კერძოდ,

5.1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 1 თებერვლის განაჩენში ბ. გ-ს მიმართ შეტანილ იქნა ცვლილება და განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

5.2. ბ. გ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, 2 წელი და 8 თვე თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი – 1 წელი და 4 თვე თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით;

5.3. ბ. გ-ს 2 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

5.4. ბ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავებიდან – 2023 წლის 03 თებერვლიდან.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 15 თებერვლის

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დასავლეთ საქართველოს სა-
ოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა
ვალერი კუჭუხიძემ, რომელიც ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამარ-
თლოს 2024 წლის 15 თებერვლის განაჩენში ცვლილებას და ბ. გ-თვის
საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებუ-
ლი დანაშაულის ჩადენისათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.
ამასთან, კასატორი უთითებს, რომ არ არსებობდა საქართველოს სსკ-
ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების სამართლებრივი საფუძვე-
ლი, ვინაიდან მსჯავრდებულმა ბ. გ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა
პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, მოითხოვა გამამართლე-
ბელი განაჩენის დადგენა (სასამართლო სხდომაზე მხარი დაუჭირა საა-
პელაციო საჩივარს) და სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვი-
სას მხოლოდ ბოლო სხდომაზე განაცხადა ბრალის აღიარების შესახებ,
რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გამოძიებასთან თანამშრომლობად,
ამასთან, გამოძიების ეტაპზე დაკითხვისას მან არ აღიარა წარდგენილი
ბრალი (მისცა ჩვენება, რომელიც აშკარა წინააღმდეგობაში მოვიდა გა-
მოძიებით დადგენილ გარემოებებთან და თავიდანვე, მისი ძალისხმევა
მიმართული იყო ობიექტური, რეალური გარემოებების დადგენის საწი-
ნააღმდეგოდ, რაც გამორიცხავს გამოძიებასთან მის თანამშრომლო-
ბას), წინასამართლო სხდომაზე სადავოდ ცნო ბრალდების მხარის მტკი-
ცებულებები, წარმოადგინა ალტერნატიული ექსპერტიზის (გამამარ-
თლებელი) დასკვნა, კომისიური ექსპერტიზის (სხვა ექსპერტების შე-
მადგენლობით) ჩატარების შესახებ ბრალდების მხარის შუამდგომლო-
ბის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შემდეგ, სასამართლოს ნე-
ბართვით ჩაატარა ალტერნატიული კომისიური ექსპერტიზა. მსჯავრდე-
ბული გამოძიების ეტაპიდან სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილ-
ვის ეტაპამდე (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან პირველი
ინსტანციის სასამართლოში საბოლოო სიტყვით სარგებლობის ჩათ-
ვლით) კატეგორიულად უარყოფდა დანაშაულის ჩადენას და ხელს უშ-
ლიდა მართლმსაჯულებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა
საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენ-
ტები და მიაჩნია, რომ პროკურორ ვალერი კუჭუხიძის საკასაციო საჩი-
ვარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემ-
დეგში – საქართველოს სსსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახ-
მად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის
ფარგლებში.

3. სასამართლო ითვალისწინებს, რომ დავის საგანს არ წარმოადგენს ბ. გ-ს მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხილი დანაშაულის ჩადენა. შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნულ ნაწილში (მსჯავრდების ნაწილში) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია – მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის სამართლიანობა და კანონიერება.

3.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მსჯავრდებულ ბ. გ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულის უფლებამონაცვლის დ. გ-ის ჩვენებით, მოწმეების: ი. გ-ს, ნ. ბ-ს, ი. ს-ის, ზ. გ-ს, თ. დ-ის, ლ. ფ-ის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, შემთხვევის ადგილის დამატებით დათვალიერების ოქმით, ტრასოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნით, ავტოტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნით, სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით, კომისიური ავტოტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნითა და სხვა მტკიცებულებებით.

4. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას მსჯავრდებულის მიმართ მკაცრი სასჯელის შეფარდების შესახებ, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება № 1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუთაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამიტომ „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ ...ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38), უნდა ეფუძნებოდეს საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშაის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამ-

ნაშავის მომავალ ცხოვრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10).

5. საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

5.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის გასაჩივრებული განაჩენით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, 2 წელი და 8 თვე თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი – 1 წელი და 4 თვე თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩათვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო 2 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

5.1.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ კასატორი სადავოდ ხდის საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებას – გასაჩივრებული განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოხდის ფორმას და ითხოვს ძირითადი სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის გარეშე. ამასთან, სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსსკ-ის 308-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და იმ გარემოებას, რომ ბ. გ-ს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით სასჯელის სახით დანიშნული ჰქონდა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ბრალდების მხარეს სააპელაციო სასამართლოში არ გაუსაჩივრებია.

6. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მსჯავრდებულ ბ. გ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენებასთან დაკავშირებით. სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს კუმულაციურად შემდეგი გარემოებების არსებობა: ბრალდებულის (მსჯავრდებული) მიერ დანაშაულის აღიარება (თუ პირს არ წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე); დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეების დასახელება და თანამშრომლობა გამოძიებასთან (მაგალითისთვის: იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის განჩინება №305აპ-21).

6.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან არ დგინდება, რომ ბ. გ. თანამშრომლობდა გამოძიებასთან. კერძოდ, 2020 წლის 20 ივნისის გამოკითხვის ოქმის თანახმად, ბ. გ-ს მიერ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით მიწოდებული ინფორმაცია არ დადასტურდა შემდგომში ჩატარებული 2020 წლის 3 აგვისტოს №... ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნითა და 2021 წლის 24 ივნისის №... კომისიური ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით. კერძოდ,

6.2. 2020 წლის 20 ივნისის გამოკითხვის ოქმში ბ. გ. არ აღიარებდა მისთვის მსჯავრად შერაცხილი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენას;

6.3. 2020 წლის 3 აგვისტოს ავტოტექნიკური ექსპერტიზის №...- დასკვნით დადგინდა, რომ გამოძიებით დადგენილ ვითარებაში მძღოლ ბ. გ-ს მოქმედება არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33.1 მუხლის მოთხოვნებს, რომლის დაცვის შემთხვევაში მას შეეძლო მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება; ქვეითად მოსიარულე ა. გ-ის მოქმედება არ საჭიროებდა ექსპერტ-ავტოტექნიკოსის სპეციალური ცოდნის გამოყენებას და აღნიშნული საკითხი შესაძლებელი იყო გადაწყვეტილიყო გამოძიების მიერ, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24.8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.4. ბ. გ-მა გამოძიების ეტაპზე მეორედ, 2020 წლის 18 დეკემბერს, გამოკითხვისას თავი შეიკავა გამოძიებისათვის ინფორმაციის მიწოდებისაგან.

6.5. 2021 წლის 20 იანვარს (მას შემდეგ რაც 2020 წლის 18 დეკემბერს გადაეცა ბრალდების მხარის ინიციატივით ჩატარებული 2020 წლის 3 აგვისტოს №... ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დადგინდა, რომ ბ. გ-ს მოქმედება არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33.1 მუხლის მოთხოვნებს, რომლის დაცვის შემთხვევაში მას შეეძლო მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება) ბ. გ-მა განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა სატრანსპორტო ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება, იმის დასადგენად, მის ქმედებაში შეინიშნებოდა თუ არა საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის უგულებელყოფა, რამაც გამოიწვია მოცემული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა და მოცემულ ვითარებაში შეეძლო თუ არა მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილება.

6.6. 2021 წლის 24 ივნისის №... კომისიური ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ მძღოლ ბ. გ-ს მოქმედება არ შეესაბამება „საგზაო მოძ-

რაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველ პუნქტს და 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, რომელთა დაცვის შემთხვევაში, მოცემულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა.

6.7. სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაცვის მხარეს 2021 წლის 1 ივლისის გადაეცა 2021 წლის 24 ივნისის კომისიური ავტოტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნა, რის შემდეგაც, 2021 წლის 19 ივლისის მსჯავრდებულ ბ. გ.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ც. მ.-მ განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა კომისიური ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება.

7. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ წინასასამართლო სხდომის ეტაპზე ბ. გ. იყენებდა დუმილის უფლებას, საქმის არსებითი განხილვისას თავდაპირველად ჯერ იყენებდა დუმილის უფლებას, ხოლო სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ, როგორც ჩვენების მიცემისას, ასევე საბოლოო სიტყვის ეტაპზე ბ. გ.-მა მიუთითა, რომ მან ყველაფერი გააკეთა ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან ასარიდებლად. ამასთან, მსჯავრდებულმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 1 თებერვლის განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა, რასაც მხარი დაუჭირა ასევე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას და სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ ბოლო სხდომაზე 2024 წლის 15 თებერვალს, საქმის განხილვისას, დასკვნითი სიტყვის ეტაპზე დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა – მოითხოვა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენება და თავი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში.

7.1. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიზნის, დანიშნულების და იმპერატიული ხასიათიდან გამომდინარე, სამართალწარმოების მიმდინარეობისას მსჯავრდებულ ბ. გ.-ს ქმედება ვერ შეფასდება გამოძიებასთან თანამშრომლობად, რაც წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების სავალდებულო წინაპირობას (მაგალითისთვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 ივნისის განაჩენი საქმეზე №444აპ-23, II-6.1; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 28 ნოემბრის განჩინება №878აპ-22, პარ. 10).

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ბ. გ.-ს მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას დანიშნული სასჯელის ნაწილის

პირობით მსჯავრად ჩათვლა კანონშეუსაბამოა და ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საკანონმდებლო დანაწესს, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოთხოვნა ამ ნაწილში კანონიერი და დასაბუთებულია, რის გამოც უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ვალერი კუჭუხიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 15 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ბ. გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. მასვე, 2 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება;

5. ბ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს ფაქტობრივი დაკავებიდან – 2023 წლის 3 თებერვლიდან;

6. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით
დადგენილი სასჯელის დანიშვნის იმპერატიული წესის
გამოსაყენებლად აუცილებელია სისხლის სამართლის
საქმის მასალებში წარმოდგენილი იყოს გამოყენებული
დანის ცივ იარაღთა კატაგორიისადმი კუთვნილების
შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№288აპ-24

7 აგვისტო, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ლ. თევზაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 15 იანვრის განაჩენზე მსჯავრდებულ ფ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატის ი. ი-ს საკასაციო საჩივარი.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 15 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ფ. ა-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ი-მ, რომელიც წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან საქმეში არ არის წარმოდგენილი გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაადასტურებდა მის ბრალეულობას. კასატორის მტკიცებით, ფ. ა., შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებთან გარიგებული, ნარკოდამოკიდებული ზ. გ-ს მსხვერპლია, რომელიც ხელოვნურად შეარჩიეს ნარკოტიკული დანაშაულებისათვის მისი წარსული ნასამართლობებისა და ისეთ სოციალურ ცხოვრების გამო, რომელშიც ადვილად ხელმისაწვდომია ნარკოტიკული საშუალებები. 2022 წლის 17 სექტემბრის მსჯავრდების ეპიზოდთან მიმართებით, კასატორი აღნიშნავს, რომ არ არის გაქარწყლებული ეჭვი ნარკოტიკული საშუალების გადაცემიდან ამოღებამდე მის შესაძლო გამოცვლასთან დაკავ-

შირებით, მით უფრო, როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ჩანაწერი სრულდება ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მომენტში და უწყვეტად არ აღბეჭდავს ნარკოტიკული საშუალების გადაცემიდან ამოღებამდე პროცესს. იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ქმნის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის ფაქტი მისი უკანონო გასაღების შემადგენლობას, სასამართლოს საფუძვლიანად უნდა გამოეკვლია ზ. გ-სა და ფ. ა-ს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობა, ნარკოტიკული საშუალების გადაცემამდე (ასეთის დადასტურების შემთხვევაში) მათ შორის არსებული შეთანხმება და ნარკოტიკული საშუალების გადაცემის პროცესში არსებული კომუნიკაციის შინაარსი, რის შესაბამისადაც, უნდა გადაეწყვიტა ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი, თუმცა სადავოდ გამხდარი განაჩენით მტკიცებულებები ცალმხრივად, არაობიექტურად და არასრულყოფილად შეფასდა, რამაც ფ. ა-ს უმძიმეს დანაშაულში მსჯავრდება გამოიწვია. ზ. გ., რომლის ჩვენებასაც ეფუძნება გამამტყუნებელი განაჩენი, არასანდო მოწმეა, რამეთუ ჩვენების მიცემის დროს იცრუა, რომ არ ყოფილა ნარკოტიკების მომხმარებელი, მაშინ, როდესაც „მეთადონის“ ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამის ბენეფიციარია და სწორედ ფონიჭალაში მდებარე „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ გაიცნო ფ. ა. და არა – რ-ში არსებულ ავტოსამრეცხაოში, როგორც ამას სასამართლოს უმტკიცებდა. გარდა ზ. გ-ს ჩვენებისა, საქმეში წარმოდგენილი სხვა რაიმე მტკიცებულებით, მათ შორის – არც ვიდეოჩანაწერით, უტყუარად არ დგინდება, რომ თანხის ჩარიცხვის დროს, ზ. გ. სწორედ ფ. ა-ს ესაუბრება, მით უფრო, როდესაც ქვითარზე დატანილი ანგარიშის საიდენტიფიკაციო კოდი არ ეკუთვნის მსჯავრდებულს, ხოლო გამოძიებას არ დაუდგენია ანგარიშის მფლობელის ვინაობა, რომელიც შესაძლოა, ნარკოტიკების რეალური გამსაღებელი ყოფილიყო. ზ. გ. მალავს ნარკოტიკების გადაცემამდე მასა და ფ. ა-ს შორის არსებულ შეთანხმებას, თუმცა საქმეში არსებული კრებები ცხადყოფს, რომ ისინი ნარკოტიკული საშუალების ერთად მოხმარებაზე იყვნენ გარიგებულნი, მაგრამ ზ. გ-ს მოუწია ფ. ა-სთვის უარის თქმა, რის გამოც, არაერთი ბოლდში მოუხადა. ფ. ა-ს უდანაშაულობაზე მიუთითებს ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვით, ამოღებული ნარკოტიკული საშუალების შესაფუთ მასალაზე არსებული ბიოლოგიური მასალა იდენტიფიკაციისათვის არაინფორმაციულია, რამეთუ მასში ვლინდებოდა ორი ან მეტი პირის გენეტიკური პროფილი, რაც ადასტურებს, რომ ნარკოტიკულმა საშუალებამ გაიარა როგორც ფ. ა-სა და ზ. გ-ს, ასევე – სხვა პირ(ებ)ის ხელში და, შესაბამისად, ფ. ა-ს კუთვნილი ნარკოტიკული საშუალება ზ. გ-სათვის არ მიუსაღებია.

2. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ფ. ა-ს, – დაბადე-

ბულს 1... წლის ... ივნისს, – ბრალად დაედო: ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, ჩადენილი დიდი ოდენობით, არაერთგზის; ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება, ჩადენილი დიდი ოდენობით, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული; ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, ჩადენილი არაერთგზის; ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგით:

2.1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 აპრილის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით ნასამართლევა ფ. ა-მ კვლავ ჩაიდინა ნარკოტიკული დანაშაული, კერძოდ, 2022 წლის 5 სექტემბერს, ... ზ. გ-ს უკანონოდ მიასაღა, უკანონოდ შეძენილი და შენახული ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც შეიცავდა – 0,247 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, რაც ზ. გ-სგან იმავე დღეს ამოიღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

2.2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 აპრილის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით ნასამართლევა ფ. ა-მ კვლავ ჩაიდინა ნარკოტიკული დანაშაული, კერძოდ, 2022 წლის 17 სექტემბერს, გ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ... მიმდებარე ტერიტორიაზე, ზ. გ-ს უკანონოდ მიასაღა, უკანონოდ შეძენილი და შენახული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც შეიცავდა: 0,139 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, 0,0026 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „მორფინს (ფუძეს)“ და 0,00062 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „კოდეინს (ფუძე)“, რაც ზ. გ-სგან იმავე დღეს ამოიღეს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

3. ფ. ა-ს წარედგინა ბრალდება: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 5 სექტემბრის ეპიზოდი) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2022 წლის 17 სექტემბრის ეპიზოდი).

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 13 ივლისის განაჩენით: ფ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით – 15 წლით თავისუფლების

აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით შეფარდებულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და, დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით შეფარდებულმა სასჯელმა სრულად შთანთქა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 28 თებერვლის განაჩენით შეფარდებული ძირითადი სასჯელი – 2 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს სრულად დაემატა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 28 თებერვლის განაჩენით დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმა – 5000 ლარი და, საბოლოოდ, ფ. ა-ს, განაჩენთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა – 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი; მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ვადით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები.

5 თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 13 ივლისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ფ. ა-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ი-მ, რომლებიც ითხოვნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და, მის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 15 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 13 ივლისის განაჩენი შეიცვალა: ფ. ა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მიესაჯა – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე და 67-ე მუხლების საფუძველზე, გაუქმდა რუსთავის საქალა-

ქო სასამართლოს 2023 წლის 28 თებერვლის განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი და ბოლო განაჩენით შეფარდებულმა სასჯელმა სრულად შთანთქა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 28 თებერვლის განაჩენით შეფარდებული ძირითადი სასჯელი – 2 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, ბოლო განაჩენით შეფარდებულ სასჯელს სრულად დაემატა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 28 თებერვლის განაჩენით, დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმა – 5000 ლარი და, საბოლოოდ, ფ. ა-ს, განაჩენთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი; მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ვადით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 5 სექტემბრის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში ფ. ა-ს უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე ბრალდების მხარეს არ გაუსაჩივრებია. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 15 იანვრის განაჩენი სადავოდ გახადა დაცვის მხარემ, მხოლოდ ფ. ა-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2022 წლის 17 სექტემბრის ეპიზოდი) მსჯავრადების ნაწილში და ითხოვს, გამამტყუნებელი განაჩენის ნაცვლად, გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის საფუძველზე იმსჯელებს მხოლოდ ფ. ა-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2022 წლის 17 სექტემბრის ეპიზოდი) მსჯავრადების კანონიერებაზე.

3. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ბრალდების მხარე ფ. ა-ს ედავება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით ნასამართლევა ფ. ა-მ, 2022 წლის 17 სექტემბერს უკანონოდ შეიძინა, შეინახა და ზ. გ-ს მიასალა ნარკოტიკული საშუალება. ამდენად, საკასაციო სასამართლომ უნდა შეფასოს ბრალდების მხარის სამხილები და ბრალად შერაცხილ დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებით გადაწყვიტოს, რამდენად ქმნის წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა ფ. ა-ს წარდგენილი კვალიფიკაციით მსჯავრდების გონივრულ ეჭვს მიღმა საფუძველს.

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“ – ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

5. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის – დაცვის მხარის – მითითებას, ფ. ა-ს სრულად უდანაშაულობასთან მიმართებით, რამეთუ მიიჩნევს, რომ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით სარწმუნოდ დგინდება, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 აპრილის განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით ნასამართლევა ფ. ა-მ 2022 წლის 17 სექტემბერს ზ. გ-ს გადასცა ნარკოტიკული საშუალება, რომელიც შეიცავდა: 0,139 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, 0,0026 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „მორფინს (ფუძეს)“ და 0,00062 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „კოდეინს (ფუძე)“, საპირისპიროს მტკიცება კი, არ გამომდინარეობს სასამართლოში წარმოდგენილი ურთიერთშეჯერებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობიდან, რომელსაც სასამართლო ქვემოთ მიმოიხილავს და რომელიც ქმნის უტყუარ და საკმარის ერთობლიობას ფ. ა-ს ბრალეულობის გონივრულ ეჭვს მიღმა დასადგენად, კერძოდ:

6. ზ. გ-ს 2022 წლის 2 სექტემბრის განცხადების თანახმად, მისი ნაცნობი – 1... ნელს დაბადებული ფ. ა. – ასაღებს ნარკოტიკულ საშუალებებს, კერძოდ, 1 შეკვრა ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“ ყიდის 250 ლარად და სურვილი გამოთქვა, ფ. ა-ს დანაშაულებრივ საქმიანობაში მხილების მიზნით, ეთანამშრომლა სამართალდამცავ ორგანოებთან;

7. მოწმე ზ. გ-მ სასამართლოში ჩვენების მიცემისას დაადასტურა, რომ ფ. ა. გაიცნო 2022 წლის 1 სექტემბერს, რ-ში, რომელმაც 200-250 ლარის სანაცვლოდ, შესთავაზა ნარკოტიკული საშუალების შეძენა. მან უპასუხა, რომ იმ მომენტში თანხა არ ჰქონდა და როცა ექნებოდა, დაუკავშირდებოდა. მეორე დღეს ნებაყოფლობით მიმართა სამართალდამცავებს და განაცხადა, რომ იცოდა, სად შეიძლებოდა ნარკოტიკული საშუალების შეძენა. 2022 წლის 5 სექტემბერს, ოპერატიული თანხის – 250 ლარის – სანაცვლოდ, ფ. ა-მ გადასცა ნარკოტიკული საშუალება, რომელიც წარუდგინა გამომძიებელს. 2022 წლის 6 სექტემბერს, ნარკოტიკული საშუალების შესაძენად სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან ფ. ა-ს ჩაურიცხა ოპერატიული თანხა – 200 ლარი, ხოლო ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი წარუდგინა გამომძიებელს. 2022 წლის 17 სექტემბერს დაურეკა ფ. ა-მ და უთხრა, სად მისულიყო. შეხვდნენ დათქმულ ადგილას და 2022 წლის 6 სექტემბერს ჩარიცხული თანხის სანაცვლოდ ფ. ა-მ გადასცა ნარკოტიკული საშუალება, რომელიც, თავის მხრივ, წარუდგინა გამომძიებელს.

8. სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული გამომძიებლის – ო. ჩ-ს – ჩვენებით ირკვევა, რომ 2022 წლის 2 სექტემბერს, ზ. გ-ს განცხადების საფუძველზე, დაიწყო გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის, შენახვისა და გასაღების ფაქტზე. ზ. გ-მ გამოთქვა სურვილი, ეთანამშრომლა გამოძიებასთან და ემხილა ნარკორეალიზატორი. ზ. გ-მ ფ. ა-ს გან ორჯერ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება. პირველად – 2022 წლის 5 სექტემბერს, ხოლო მეორედ – 2022 წლის 6 სექტემბერს, თუმცა მეორე ჯერზე, ფ. ა-მ იმავე დღეს ვერ გადასცა მას ნარკოტიკული საშუალება, არამედ – 2022 წლის 17 სექტემბერს. ფ. ა-ს გან შეძენილი ნარკოტიკული საშუალებები, როგორც 2022 წლის 5 სექტემბერს, ასევე – 2022 წლის 17 სექტემბერს, მან ამოუღო ზ. გ-ს. ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვის დროს თავად იმყოფებოდა მიმდებარე ტერიტორიაზე და ნარკოტიკული საშუალება ამოიღო მისი ზ. გ-სათვის გადაცემიდან მალევე.

9. 2022 წლის 6 სექტემბრის თანხის გადაცემისა და დათვალიერების ოქმის მიხედვით, გამომძიებელმა ო. ჩ-მ ზ. გ-ს ნარკოტიკული საშუალების საკონტროლო შესყიდვის მიზნით, გადასცა 200 ლარი;

10. 2022 წლის 6 სექტემბერს, ფარული საგამომძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ, აუდიო-ვიდეო ჩანაწერში ჩანს ზ. გ., რომელიც დგას ფულის ჩასარიცხ აპარატთან და, ამავდროულად, ტელეფონით იღებს საჭირო მონაცემებს. აპარატზე კრეფს ციფრებს – ოპერაციის გასაგრძელებლად აპარატი სთხოვს კოდს. რეკავს ტელეფონზე და თანამოსაუბრეს მიმართავს რუსულად: „ – აბა კოდი მითხარი“. თანამოსაუბრე პასუხობს „ – კარგი, დამელოდე, 96... ..“. დაყოვნების გამო აპარა-

ტი პროგრამიდან აგდებს მომხმარებელს, რომელიც ხელახლა შეჰყავს ზ. გ-ს და აგრძელებს ტელეფონით საუბარს: „ – ხო ძმა, მაგრამ გამო-
მაგდო. სწრაფად უნდა მითხრა. დაიცა, თავიდან შემყავს“. აპარატზე
ისევ კრეფს ციფრებს – და ამბობს: „ – 599 ... 996. აი, სმს-თი მოვა
ახლა“. გაბრაზებული თიშავს ტელეფონს, შემდეგი სიტყვებით: „ – ამის
დებილ დედას შ...ი“ და თანამოსაუბრისგან ელოდება მიღებული კოდის
კარნახს. ცოტა ხანში თანამოსაუბრე კარნახობს: „ – ...“. აპარატზე შეჰ-
ყავს კოდი, რომელიც უკარნახა თანამოსაუბრემ, რის შემდეგ აპარატი
კვლავ სთხოვს კოდს, რომელსაც დამატებით იღებს თანამოსაუბრის-
გან: „ – ...“. კოდის შეყვანის შემდეგ, ოპერაციის გასაგრძელებლად აპა-
რატი ითხოვს პიროვნების დაფარულ მონაცემებს, რასაც ასევე კარნა-
ხობს თანამოსაუბრე: „ – ვარსკვლავი, ვარსკვლავი, ო.“ ზ. გ.: „ – აჰა,
კარგი, ძმაო, დამელოდე“, შემდეგ აპარატში ათავსებს ორ 100-ლარიან
კუპიურას, ასრულებს ოპერაციას და მიმართავს თანამოსაუბრეს: „ –
აჰა, 200 ლარი აისახა, ძმაო“, რაზეც თანამოსაუბრე პასუხობს: „ – კარ-
გი“, ზ. გ. კი დასძენს: „ – დაგირეკავ“.

11. 2022 წლის 17 სექტემბერს, ფარული საგამოძიებო მოქმედების
შედეგად მოპოვებულ, აუდიო-ვიდეო ჩანაწერში ჩანს ზ. გ., რომელიც
აჩერებს ავტომანქანას და ესაუბრება ფანჯარასთან მისულ ფ. ა.-ს. ზ.
გ-ს შეკითხვაზე: „ – რას შვრები?“, ფ. ა. პასუხობს: „ – ჩემი ძმა, მართლა
სწორად გაიგე“, რაზეც ზ. გ. საყვედურობს: „პროსტა, ამდენი ხანია, ეს
ფული ჩარიცხული... მეც ჩავვარდი. პროსტა ისეთ ცუდ სიტუაციაში,
მაგარი, აი!“ ფ. ა.: „ – ჰო, ვიცი. მეც ვაბზე გარეთ არ გავდივარ“. ზ. გ.: „ –
„კაროჩე, ისეთი პონტი ვქენი მერე, რომ კაროჩე, რა. ახლა არ მინდა
შენთან ეს დაძაბული ის“. ფ. ა.: „ – ჰო, ვიცი, მესმის, მეც – ეგრე“. ზ. გ.: „ –
მინდა შენთან ძმაცაცობა. ჩემს სახელს გაიკითხავ მერე, ვინა ვარ,
გაიგებ. პროსტა, მითხარი, რომ ასეთი სიტუაცია მაქვს, კაროჩე, რა. ხომ
იცი ახლა, ადამიანები ვართ, გავუგებთ ერთმანეთს, რა“. ფ. ა.: „ – რა
ვქნათ ახლა? ერთი ოთხი კაცის მივცე, თუ არა?“. ზ. გ.: „ – რამდენი
გაქვს ახლა?“ ფ. ა.: „ – რავი. კაი „ფაქტია“, რა“. მას შემდეგ, რაც ფ. ა.
ხელში გადასცემს პოლიეთილენის პარკში შეხვეულ, პატარა ზომის შე-
ფუთვას, ზ. გ. ეუბნება მას: „ – ბიჭო, მოდი, ამას ნავიღებ რა ჩემებთან,
რა და მერე ერთად გავიჩხირავთ, რა“, რაზეც ფ. ა. პასუხობს: „ – ჰო,
ბაზარი არ არის“. ზ. გ.: „ მოსულა?“ ფ. ა.: „ – ჰო, ბაზარი არ არის“. ზ. გ.: „ –
დღეს არ გაგიტყდეს და მერე, შენ ხომ იცი, არა, არ შემეშლება, რა!“
ფ. ა.: „ – აი, სოფელში არის“. ზ. გ.: „ – არის?“ ფ. ა.: „ – ჰო“. ზ. გ.: „ –
რამდენში?“ ფ. ა.: „ასლარიანი, აი, ისა“. ზ. გ. აზუსტებს: „ – ასი?“ ფ. ა.-
თავის მოძრაობით უდასტურებს. ზ. გ.: „ – რამდენი?“ . ა.: „ – ...“ ზ. გ.: „ –
კაროჩე, დღეს, მოდი პატივს ვცემ, რა, პროსტა და ისეთ პონტში ვი-
ზამ. ხვალ, ზეგ, აქ ვიქნები, რა“ ფ. ა.: „ – ბაზარი არ არის. ეგრე, შენს

ძმობას ვფიცავარ, ეგეთი კაცი არა ვარ, ბრატ. პროსტა რაღაც ეგრე მოხდა, რა“. ზ. გ. ეუბნება: „ – ვიძმაკაცოთ რა!“, შემდეგ მანქანიდან უწვდის ხელს და ართმევს ფ. ა-ს, რის შემდეგაც განაგრძობს: „ – ვიძმაკაცოთ, ბ..ს შვილი ვიყო, მეტი არაფერი არ მინდა შენთან და რომ ვიძმაკაცებო, შენც გავისწორებ და მეც გავისწორებ, ძმაო“. ფ. ა. კვლავ თავის მოძრაობით უდასტურებს. ზ. გ. ეუბნება: „ – მიდი, შემოგველე! კაცი კაცი ხარ“, რის შემდეგაც ქოქავს ავტომანქანას და მიდის.

12. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს 2023 წლის 8 თებერვლის ჰაბიტოსკოპიური და ფოტო-ვიდეო-ტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნის მიხედვით, 2022 წლის 17 სექტემბრის შეხვედრის ჩანაწერის ამსახველ დისკზე არსებული ვიდეოგრამიდან ამოღებულ გამოსახულებასა და საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ჰაბიტოსკოპიურ მონაცემთა ერთიან ბაზაში არსებული ფ. ა-ს სახელზე შევსებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბარათზე არსებულ გამოსახულებაზე დაფიქსირებულია ერთი და იმავე პიროვნების გამოსახულება.

13. ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა დაადასტურეს სასამართლოში მოწმეების სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – გ. ჩ-მ და გ. გ-მ.

14. ამოღების ოქმის მიხედვით, 2022 წლის 17 სექტემბერს, 15:15-15:30 საათის დროის შუალედში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე, გამომძიებელმა ო. ჩ-მ ზ. გ.-საგან ამოიღო ფ. ა.-საგან შეძენილი, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალება.

15. საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს 2022 წლის 18 სექტემბრის ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, 2022 წლის 17 სექტემბერს ზ. გ.-საგან ამოღებული: უფერო, გამჭვირვალე, პოლიეთილენის მილ-ლობლითავიან, ორმაგ ნაჭერში, ერთ ცალად დაფასოებული, მოყავისფრო ფხვნილისებრი გამომშრალი ნივთიერება, წონით – 0,3434 გრამი, არის კუსტარულად მიღებული და შეიცავს: 0,139 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, 0,0026 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „მორფინს (ფუძეს)“ და 0,00062 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „კოდეინს (ფუძეს)“.

16. ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა დაადასტურეს სასამართლოში მოწმეების სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – ი. და ს. ც-მ.

17. შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ქვემო ქართლის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ნარკოლოგიური შემოწმების №... დასკვნის საფუძველზე, 2022 წლის 18 ოქტომბერს, დაკავების შემდეგ ჩატარებული ნარკოლოგიური კვლევის შედეგად, ფ. ა.-ს ლაბორატორიულად დაუდგინდა: „ოპიუმის ჯგუფის“ ნარკოტიკული საშუალებისა და „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ მოხმარების ფაქტი.

18. ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა დაადასტურა სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ნ. მ-მ.

19. ამდენად, საკასაციო სასამართლოს უტყუარად დადასტურებულად მიაჩნია ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულ დროს – 2022 წლის 17 სექტემბერს – ფ. ა-ს მიერ ზ. გ-სათვის ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის ფაქტი, მაგრამ სასამართლოს პოზიცია განსხვავდება ბრალდების მხარის მიერ მსჯავრდებულის ქმედების – ნარკოტიკული საშუალების გადაცემის – კვალიფიკაციასთან მიმართებით, რამეთუ ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ნარკოტიკული საშუალების ზ. გ-სათვის გადაცემით, ფ. ა-მ, ანაზღაურების სანაცვლოდ, გაასალა იგი, ხოლო საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ნარკოტიკული საშუალების ზ. გ-სათვის გადაცემის დროს მსჯავრდებულს მისი რეალიზაციის მიზანი არ ჰქონია, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ქმედების სამართლებრივი შეფასების დროს.

20. იმისათვის, რათა დამნაშავემ პასუხი აგოს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, საკასაციო სასამართლო ვალდებულია მსჯავრდებულის ქმედებას სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მიანიჭოს, ხოლო იმის გამოსარკვევად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII – ნარკოტიკული დანაშაულის – თავით გათვალისწინებული, რომელი დანაშაულის შემადგენლობაა გამოკვეთილი ფ. ა-ს ქმედებაში, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილ გარემოებებს და მათ საფუძველზე გადანყვეტს მსჯავრად შესარაცხილი ქმედების საკითხს.

21. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ფ. ა-ს ნარკოტიკული საშუალებების გასაღებაში მსჯავრდებას საფუძველად დაედო სასამართლოს მიერ ორი ფაქტობრივი გარემოების გამოკვეთა, რომლებიც, თითქოსდა, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაზე, კერძოდ, ერთი მხრივ, ზ. გ-მ 2022 წლის 6 სექტემბერს ჩაურიცხა თანხა ფ. ა-ს, რომელმაც მოგვიანებით – 2022 წლის 17 სექტემბერს – გადასცა მას ნარკოტიკული საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, ზ. გ-მ ჩვენების მიცემისას დაადასტურა, რომ ფ. ა-სათვის გადახდილი თანხის სანაცვლოდ შეიძინა მისგან ნარკოტიკული საშუალება.

22. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასკვნა იმის თაობაზე, რომ ფ. ა-მ უკანონოდ მიასალა ნარკოტიკული საშუალებები ზ. გ-ს, არ გამომდინარეობს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი და ობიექტური შეფასებიდან, კერძოდ:

23. განსახილველ საქმეში არ მოიპოვება ფ. ა-სა და ზ. გ-ს თავდაპირ-

ველი შეხვედრის ჩანაწერი და არც მათი სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი მასალები, რაც ცხადია, მეტ ნათელს მოჰფენდა მათ შორის შეთანხმების პირობებს და, შესაბამისად, სადავოდ გამხდარ საკითხს, გამომდინარე იქიდანაც, რომ ზ. გ-მ 2022 წლის 6 სექტემბერს გადახდილი თანხის სანაცვლოდ მხოლოდ 2022 წლის 17 სექტემბერს მიიღო კუთვნილი ნარკოტიკული საშუალება და, ადვილად წარმოსადგენია, როდენ ინტენსიური იქნებოდა ამ პერიოდში მათ შორის სატელეფონო კომუნიკაცია. ამავდროულად, სასამართლოში წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული 2022 წლის 17 მაისის აუდიო-ვიდეო ჩანაწერით დასტურდება, რომ ზ. გ. ნარკოტიკის გადაცემის შემდეგ, უბოდიშებს ფ. ა-ს და უხსნის, რომ ნარკოტიკს ამჯერად „თავისიანებთან“ წაიღებს, რადგან თანხის გადახდიდან ნარკოტიკის გადაცემამდე გაჭიანურებული დროის გამო, სხვებთან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ჰპირდება, რომ შემდეგში ისინი აუცილებლად ერთად მოიხმარენ ნარკოტიკს, რაზეც ფ. ა. სთანხმდება. ზ. გ., ცოტა არ იყოს, გაკვირვებულია, ხელახლა ეკითხება ფ. ა-ს და აზუსტებს მის თანხმობას, შემდეგ კი კვლავ უბოდიშებს და სთხოვს, რომ ამჯერად არ ეწყინოს და ისევ ჰპირდება, რომ მომავალში აღარაფერი შეეშლება. ხაზგასასმელია, რომ ზ. გ-ს მიერ ფ. ა-სათვის მიცემული პირობა იყო სამომავლო, ხოლო ამ ჯერზე ფ. ა-თან ერთად შეძენილი ნარკოტიკული საშუალების ნაწილი არ მოუხმარია, რაც ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარებისათვის მადლიერების ჟესტი შეიძლება ყოფილიყო და ობიექტური შეფასებით ეწინააღმდეგება ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და გამსაღებლის ურთიერთობის შინაარსს. ასევე საყურადღებოა, რომ ფ. ა. ზ. გ-ს უზიარებს კონკრეტულ ადგილას გამოკვეთილ, ნარკოტიკული საშუალების შეძენის ალტერნატიულ გზას, ეუბნება, რომ სოფელში შესაძლებელია ნარკოტიკული საშუალების 100 ლარად ყიდვა, რაც ასევე ცხადყოფს, რომ ზ. გ-სათვის იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ფ. ა. არ ყოფილა ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელი, არამედ – ეხმარებოდა მას ნარკოტიკული საშუალებების, მისთვის ხელმისაწვდომი გზებით, მოპოვებაში.

24. ამდენად, რადგანაც გარდა ზ. გ-ს ჩვენებისა, საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით არ დასტურდება ფ. ა-ს მიერ ზ. გ-სათვის გარკვეული თანხის სანაცვლოდ ნარკოტიკულ საშუალების მისაღების ფაქტი. მეტიც, ზ. გ-ს მტკიცების საპირისპიროდ, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული აუდიო-ვიდეო ჩანაწერების შინაარსით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ ზ. გ-სა და ფ. ა-ს შორის იმთავითვე არსებული შეთანხმებით, მათ ერთად უნდა მოეხმარათ შეძენილი ნარკოტიკული საშუალების ნაწილი (რაც შესაძლოა, ყოფილიყო სწორედ თავად ნარკოდამოკიდებული ფ. ა-სათვის ნარ-

კოტიკული საშუალების შეძენაში დახმარების ინტერესი). საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას ფ. ა-ს მიერ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღებაში დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ ზ. გ-ს თანხით შეძენილი ნარკოტიკული საშუალებების მისთვის გადაცემით ფ. ა-მ 2022 წლის 17 სექტემბერს ჩაიდინა – ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

25. საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა არ განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, რომელმაც უკვე არაერთხელ განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალების გადაცემა ავტომატურად არ ნიშნავს ნარკოტიკული საშუალების გასაღებას და, რომ, ნარკოტიკული საშუალების ხელიდან ხელში გადაცემა არ გამოორიცხავს – ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარებას (იხ.: *mutatis mutandis* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 26 აპრილის განაჩენი საქმეზე №844აპ-22, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 8).

26. ამრიგად, ვინაიდან უტყუარად არ დასტურდება ფ. ა-ს მიერ ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ გასაღება, არამედ მის ქმედებაში გამოკვეთილია – ნარკოტიკული საშუალებების შეძენაში დახმარება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ფ. ა. ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდება უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ.

27. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, რომლისთვისაც მსჯავრი უნდა დაედოს ფ. ა-ს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

28. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამა-

ვე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

29. საკასაციო სასამართლომ შეაფასა, როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე, 53-ე მოთხოვნათა გათვალისწინებითა და მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული დანაწესიდან გამომდინარე, – რამეთუ ფ. ა. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 2 თებერვლისა და 2018 წლის 28 მაისის განაჩენებით ნასამართლევა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახი დანაშაულების ჩადენისათვის და მისი ნასამართლობები, ახალი დანაშაულის ჩადენის დროს – 2022 წლის 17 სექტემბერს – მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ყოფილა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ფ. ა-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 260-ე მუხლის მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის უნდა მიესაჯოს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავეს რესოციალიზაციას.

30. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 აპრილის განაჩენით ფ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მი-

ესაჯა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის გამოყენებით, ჩაეთვალა პირობითად, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა – 3 წელი. მასვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ვადით ჩამოერთვა ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებები.

31. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 28 თებერვლის განაჩენით, ფ. ა. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 აპრილის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 და მე-8 ნაწილების საფუძველზე, ფ. ა-ს, საბოლოოდ, ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა – 2 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 5000 ლარი.

32. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ფ. ა-მ, განსახილველ საქმეზე, განზრახი დანაშაული ჩაიდინა 2022 წლის 17 სექტემბერს ანუ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 აპრილის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში, გამომდინარე იქიდან, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 28 თებერვლის განაჩენით უკვე გაუქმებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 9 აპრილის განაჩენით დადგენილი პირობითი მსჯავრი, აღარ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, პირობითი მსჯავრის ხელახლა გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და ფ. ა-ს საბოლოო სასჯელი უნდა განესაზღვროს მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

33. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ ფ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 15 იანვრის განაჩენი უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლითა და 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ფ. ა-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 15 იანვრის განაჩენი:

3. ფ. ა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით (2022 წლის 5 სექტემბრის ეპიზოდი), ასევე – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2022 წლის 17 სექტემბრის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

4. ფ. ა-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 17 სექტემბრის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით შეფარდებულმა სასჯელმა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქმეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 28 თებერვლის განაჩენით შეფარდებული სასჯელი – 2 წლით, 11 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარი და, ფ. ა-ს, საბოლოოდ მიესაჯოს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. ფ. ა-ს სასჯელი აეთვალოს 2024 წლის 7 აგვისტოდან; მასვე, სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს – 2022 წლის 18 ოქტომბრიდან 2024 წლის 7 აგვისტომდე პერიოდი;

7. ფ. ა-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 15 წლით – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე – ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომად-

გენლობის უფლება, ხოლო – საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება – 10 წლით;

8. საქმეზე ნივთიერ მტკიცებულებებად ცნობილი:

ნარკოტიკული ნივთიერებები, ნარკოტიკული ნივთიერებების შესაფუთი მასალა და ფ. ა-ს ნერწყვის ნიმუში – განადგურდეს;

ელექტრონული დისკები, შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

9. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით
გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის
განსაზღვრული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების
აღკვეთა, კანონმდებლობა და ეწინააღმდეგება როგორც
საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის საკანონმდებლო
დანაწესს, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს
მიერ მყარად დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№618აპ-24

16 სექტემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),

შ. თადუმაძე,

მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ რამაზ შანიძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 26 მარტის განაჩენზე მსჯავრდებულ რ. ბ-ის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით რ. ბ-ს – დაბადებულს 1.. ნელს, – ბრალად ედებათ საქართველოს სისხლის სამართლის კო-

დექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 11¹, 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით, საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით, რ. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2021 წლის 24 ოქტომბერს, დღის საათებში, ხ..ს მუნიციპალიტეტის სოფელ თ-ში, ზ. მ-ს საცხოვრებელი სახლიდან, რ. ბ-ს-მ, გ. მ-ს-სათვის სამშენებლო დგარების ქირის გადახდის ცრუ დაპირებით, თითქოსდა, ქ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ბ-სა და სოფელ ლ-ში არსებულ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოების სანარმოებლად წაიღო და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით, დაეუფლა გ. მ-ის კუთვნილ დიდი ოდენობით, 19400 ლარის საერთო ღირებულების 388 ცალ სამშენებლო დგარს;

2.2. 2021 წლის ნოემბრში, ხ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ფ-ში, ე. ძ-ის საცხოვრებელი სახლიდან, რ. ბ-ს-მ, ე. ა-ისათვის სამშენებლო დგარების ქირის გადახდის ცრუ დაპირებით, თითქოსდა, ქალაქ ს-ში არსებულ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების სანარმოებლად წაიღო და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით, დაეუფლა ე. ა-ის კუთვნილ დიდი ოდენობით, 12500 ლარის საერთო ღირებულების 250 ცალ სამშენებლო დგარს;

2.3. 2021 წლის 9 დეკემბრიდან 2022 წლის 15 თებერვლის ჩათვლით პერიოდში, ქ. ბ-სი, ლ. გ-ს ქუჩის №..ში მდებარე ჯ. ხ-ის საცხოვრებელი სახლის ეზოდან, რ. ბ-ს-მ, ჯ. ხ-ისათვის სამშენებლო დგარებისა და ხარაჩოს კონსტრუქციების ქირის გადახდის ცრუ დაპირებით, თითქოსდა, ხ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ პ-სა და ქ-ს მუნიციპალიტეტში არსებულ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოების სანარმოებლად წაიღო და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით, დაეუფლა ჯ. ხ-ის კუთვნილ დიდი ოდენობით, 75 510 ლარის საერთო ღირებულების 810 ცალ სამშენებლო დგარსა და 1250 კვადრატულ მეტრ ხარაჩოს კონსტრუქციებს;

2.4. 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის 17 მაისის ჩათვლით პერიოდში, ქ. ბ-ში, რ. ბ., გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო, იყო რა მამაკაცი, შესაბამისად, ოჯახის უფროსი, ქალის დაქვემდებარებული როლის, მისი ქცევის კონტროლის, მასზე უპირატესი მდგომარეობისა და მესაკუთრული დამოკიდებულების მოტივით, სისტემატურად შეურაცხყოფდა, ამცირებდა

და ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდა ოჯახის წევრის – მეუღლის, ს. ბ-ის მიმართ, რამაც მსხვერპლის – ს. ბ-ის ტანჯვა გამოიწვია;

2.5. 2022 წლის 3 მაისს, დაახლოებით 17:00 საათზე, ქ. ბ-ში, ნ. მ-ს ქუჩის №...ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, რ. ბ-მ, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო, იყო რა მამაკაცი, შესაბამისად, ოჯახის უფროსი, ქალის დაქვემდებარებული როლის, მისი ქცევის კონტროლის, მასზე უპირატესი მდგომარეობისა და მესაკუთრული დამოკიდებულების მოტივით, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა ოჯახის წევრს – მეუღლეს, ს. ბ-ს, რაც დაზარალებულმა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში;

2.6. 2022 წლის 10 მაისიდან 2022 წლის 17 მაისის ჩათვლით პერიოდში, ქ. ბ-ში, რ. ბ-ს, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო, იყო რა მამაკაცი, შესაბამისად, ოჯახის უფროსი, ქალის დაქვემდებარებული როლის, მისი ქცევის კონტროლის, მასზე უპირატესი მდგომარეობისა და მესაკუთრული დამოკიდებულების მოტივით, ეჭვიანობის ნიადაგზე, ოჯახის წევრთა მეშვეობითა და უშუალო კომუნიკაციით, სატელეფონო თუ სოციალური ქსელით ზარებითა და მიმოწერით, ოჯახის წევრთან – მეუღლესთან, ს. ბ-სთან ამყარებდა არასასურველ კომუნიკაციას, რომელიც სისტემატურად ხორციელდებოდა და იწვევდა მის ფსიქიკურ ტანჯვას, რამაც ს. ბ. აიძულა მნიშვნელოვნად შეეცვალა ცხოვრების წესი;

2.7. 2022 წლის 17 მაისს, დაახლოებით 09:25 საათზე, ქ. ბ-ში, ფ. ხ-ის გამზირის №...ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, რ. ბ-ს, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო, იყო რა მამაკაცი, შესაბამისად, ოჯახის უფროსი, ქალის დაქვემდებარებული როლის, მისი ქცევის კონტროლის, მასზე უპირატესი მდგომარეობისა და მესაკუთრული დამოკიდებულების მოტივით, ეჭვიანობის ნიადაგზე, ცივი იარაღის – დანის დემონსტრირებითა და ყელის არეში მიდებით, ფიზიკურად და ფსიქიკურად – სიცოცხლის მოსპობის მუქარით, მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედებით აიძულებდა ოჯახის წევრს – მეუღლეს, ს. ბ-ს გაჰყოლოდა სალაპარაკოდ;

2.8. 2022 წლის 17 მაისს, დაახლოებით 09:25 საათზე, ქ. ბ-ში, ფ. ხ-ს გამზირის №...ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, რ. ბ-მ, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო, იყო რა მამაკაცი, შესაბამისად, ოჯახის უფროსი, ქალის დაქვემდებარებული როლის, მისი ქცევის კონტროლის, მასზე უპირატესი მდგომარეობისა და მესაკუთრული დამოკიდებულების მოტივით, ეჭვიანობის ნიადაგზე, თანნაქონი ცივი იარაღის – დანის გა-

მოყენებით, მოკვლის მიზნით, მუცლის არეში ჭრილობის მიყენების მცდელობითა და მარცხენა ბეჭის არეში, გულმკერდის უკანა კედელზე ნაკვეთი ჭრილობის მიყენებით ცდილობდა ოჯახის წევრის – მეუღლის, ს. ბ-ს მკვლელობას, მაგრამ დაზარალებულის წინააღმდეგობისა და მოქალაქეთა შეკრების გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

3. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 9 დეკემბრის განაჩენით:

3.1. რ. ბ. საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

3.2. რ. ბ-ის მიმართ, საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის წარდგენილი ბრალდება, გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მეორე ნაწილზე;

3.3. რ. ბ. – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.4. რ. ბ. – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.5. რ. ბ. – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.6. რ. ბ. – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.7. რ. ბ. – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2021 წლის 24 ოქტომბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.8. რ. ბ. – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2021 წლის ნოემბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.9. რ. ბ. – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2021 წლის დეკემბრისა და 2022 წლის თებერვლის ჩათვლით ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.10. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად რ. ბ-ს განესაზღვრა – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.11. რ. ბ-ს, სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავებიდან – 2022 წლის 17 მაისიდან.

4. სასამართლომ დაადგინა:

4.1. 2021 წლის 24 ოქტომბერს, დღის საათებში, რ. ბ-მ, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით, გ. მ-ს მოატყუა, რომ სამშენებლო დგარები სჭირდებოდა ქ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ბ-სა და სოფელ ლ-ში არსებულ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოების სანარმოებლად. სამშენებლო დგარების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის შეჰპირდა ქირის გადახდას და ხ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ თ-ში, ზ. მ-ს საცხოვრებელი სახლიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა გ. მ-ის კუთვნილ, დიდი ოდენობით 19 400 ლარის საერთო ღირებულების 388 ცალ სამშენებლო დგარს;

4.2. 2021 წლის ნოემბერში, რ. ბ-ს-მ, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით, ე. ა-ე მოატყუა, რომ სამშენებლო დგარები სჭირდებოდა ს-ში არსებულ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოების სანარმოებლად. სამშენებლო დგარების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის შეჰპირდა ქირის გადახდას და ხ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ ფ-ში, ე. ძ-ის საცხოვრებელ სახლში, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა ე. ა-ის კუთვნილ, დიდი ოდენობით 12 500 ლარის საერთო ღირებულების 250 ცალ სამშენებლო დგარს;

4.3. 2021 წლის 9 დეკემბრიდან 2022 წლის 15 თებერვლის ჩათვლით პერიოდში, რ. ბ-მ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით, ჯ. ხ-ს მოატყუა, რომ სამშენებლო დგარები და ხარაჩოს კონსტრუქცია სჭირდებოდა ხ-ს მუნიციპალიტეტის სოფელ პ-სა და ქ-ს მუნიციპალიტეტში არსებულ ობიექტებზე სამშენებლო სამუშაოების სანარმოებლად და ქირის გადახდის ცრუ დაპირებით ქ. ბ-ში, ლ. გ-ს ქუჩა №..ში მდებარე ჯ. ხ-ის საცხოვრებელი სახლის ეზოდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა ჯ. ხ-ის კუთვნილ, დიდი ოდენობით 75 510 ლარის საერთო ღირებულების

810 ცალ სამშენებლო დგარსა და 1250 კვადრატულ მეტრ ხარაჩოს კონსტუქციებს;

4.4. 2021 წლის აგვისტოდან 2022 წლის 17 მაისის ჩათვლით პერიოდში, რ. ბ-ს- ქ. ბ-ში, გენდერული ნიშნით სისტემატურად შეურაცხყოფდა, ამცირებდა და ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდა ოჯახის წევრზე – მეუღლეზე, ს. ბ-ზე, რამაც მსხვერპლის – ს. ბ-ის ტანჯვა გამოიწვია;

4.5. 2022 წლის 10 მაისიდან 2022 წლის 17 მაისის ჩათვლით დროის პერიოდში, რ. ბ., ოჯახის წევრთა მეშვეობით და უშუალო კომუნიკაციით, სატელეფონო თუ სოციალური ქსელით, ზარებითა და მიმოწერით, ოჯახის წევრთან – მეუღლესთან, ს. ბ-სთან ამყარებდა არასასურველ კომუნიკაციას, რაც სისტემატურად ხორციელდებოდა და იწვევდა მის ფსიქიკურ ტანჯვას, რამაც ს. ბ. – აიძულა მნიშვნელოვნად შეეცვალა ცხოვრების წესი;

4.6. 2022 წლის 17 მაისს, დაახლოებით 09:25 საათზე, ქ. ბ-ში, ფ. ხ-სის გამზირი №...ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, ცივი იარაღის – დანის დემონსტრირებითა და ყელის არეში მიბჯენით ფიზიკურად და ფსიქიკურად – სიცოცხლის მოსპობის მუქარით, მისი ნებასურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედებით აიძულებდა ოჯახის წევრს – მეუღლეს, ს. ბ-ს, გაჰყოლოდა სალაპარაკოდ;

4.7. 2022 წლის 17 მაისს, დაახლოებით 09:25 საათზე, ქ. ბ-ში, ფ. ხ-სის გამზირი №...ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, რ. ბ-მ, ცივი იარაღის – დანის გამოყენებით, მარცხენა ბეჭის არეში, გულმკერდის უკანა კედელზე ნაკვეთი ჭრილობა მიაყენა ოჯახის წევრს – მეუღლეს, ს. ბ-ს, რამაც მისი მსუბუქი დაზიანება გამოიწვია;

5. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა:

5.1. ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა რამაზ შანიძემ მოითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და რ. ბ-ის დამნაშავედ ცნობა მათ შორის საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის. ამასთან, ყველა მსჯავრდებულს და დანაშაულისათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა;

5.2. მსჯავრდებულ რ. ბ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა რ. ჯ-მ სააპელაციო საჩივარში მიუთითა, რომ გასაჩივრებული განაჩენი იყო მეტისმეტად მკაცრი და ასაჩივრებდა ნაწილობრივ. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე კი დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვა რ. ბ-სათვის სასჯელის შემსუბუქება, კერძოდ, დანიშნული სასჯელის მინიმუმამდე – 6 წლამდე შემცირება, ხოლო დანარჩენ ნაწილში განაჩენის უცვლელად დატოვება, რასაც დაეთანხმა მსჯავ-

რდებული რ. ბ.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 26 მარტის განაჩენით:

6.1. ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ რამაზ შანიძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

6.2. მსჯავრდებულ რ. ბ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ჯ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

6.3. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 9 დეკემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება:

6.3.1. რ. ბ-ს – საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

6.3.2. რ. ბ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 11¹, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (2022 წლის 21 ივნისამდე მოქმედი რედაქცია);

6.4. რ. ბ-ს – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 ივნისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

6.4.1. საქართველოს სსკ-ის 11¹, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2022 წლის 21 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულისათვის – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6.4.2. საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

6.4.3. საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6.4.4. საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6.4.5. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (2021 წლის 24 ოქტომბრის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6.4.6. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნ-

ქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (2021 წლის ნოემბრის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6.4.7. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (2021 წლის 9 დეკემბრიდან 2022 წლის 15 თებერვლის ჩათვლით ეპიზოდი) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6.5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, რ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6.6. მსჯავრდებულ რ. ბ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა დაკავებულიდან – 2022 წლის 17 მაისიდან.

7. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა რამაზ შანიძემ, რომელიც ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას და რ. ბ-ს დამნაშავედ ცნობას მათ შორის საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ¹“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის. ამასთან, ყველა მსჯავრად შერაცხილი დანაშაულისათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ პროკურორ რ. შანიძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრით ბრალდების მხარე ითხოვს რ. ბ-ს დამნაშავედ ცნობას მათ შორის საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ¹“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის. ამასთან, ყველა მსჯავრად შერაცხილი დანაშაულისათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

2.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარის საკასაციო მოთხოვნისა და დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის არარსებობის პირობებში, დავის საგანს არ წარმოადგენს რ. ბ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-

ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი) მსჯავრად შერაცხილი დანაშაულების ჩადენა, შესაბამისად, არ არსებობს აღნიშნულ ნაწილში (მსჯავრდების ნაწილში) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი. მოცემულ მუხლებთან მიმართებით, დავის საგანია მხოლოდ მსჯავრდებულ რ. ბ-ს მიმართ დანიშნული სასჯელის სამართლიანობა და შესაბამისად, საკასაციო სასამართლოც მხოლოდ აღნიშნულ საკითხზე იმსჯელებს.

3. კასატორის მოთხოვნაზე რ. ბ-ის საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ¹“ და „ვ“ ქვეპუნქტებით დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით, სასამართლო ითვალისწინებს, რომ მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ დაზარალებულ ს. ბ-ს ყოფილმა მეუღლემ, რ. ბ-მ დანის გამოყენებით მიაყენა გულმკერდის უკანა კედლის ღია ჭრილობა, მარცხენა ბეჭის არეში ნაკვეთი ჭრილობა. დაზიანება განვითარებულია რაიმე მჭრელი თვისების მქონე საგნის მოქმედების შედეგად და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში სადავოა ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია, ანუ რ. ბ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება წარმოადგენს განზრახ მკვლელობის მცდელობას გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ, თუ ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას, ოჯახის წევრის მიმართ.

3.1. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება რ. ბ-ს მიერ განზრახ მკვლელობის მცდელობის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებებში – გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ და ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარემ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანის მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოს საჩივრით მიმართა იმავე (იდენტურ) არგუმენტებზე დაყრდნობით, რომლებიც საკასაციო საჩივარშია ჩამოყალიბებული. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულყოფილად, ობიექტურად და სამართლებრივად სწორად შეაფასა და გასაჩივრებულ განაჩენში მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებმაც რ. ბ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდების (საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ¹“ და „ვ“ ქვეპუნქტებით) საქართველოს სსკ-ის 11¹, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირება და შესაბამისი სასჯელი განაპირობა. გასაჩივრებულ განაჩენში დეტალური მსჯელობაა წარმოდგენილი, მათ შორის, ბრალდების მხარის ყველა ძირითად მტკიცებულებასა და არგუ-

მენტზე, რასაც საკასაციო სასამართლო იზიარებს და მიზანშეწონილად არ მიაჩნია გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული იმ არგუმენტების გამოვრება, რასაც საკასაციო სასამართლოც ეთანხმება.

4. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება რ. ბ-ის განზრახვა – განზრახ მკვლელობის ჩადენა, ოჯახის წევრის მიმართ, გენდერის ნიშნით.

4.1. სასამართლო ითვალისწინებს, დაზარალებულ ს. ბ-ს განმარტებას, რომლის თანახმადაც, რ. ბ. არის მისი მეუღლე. ისინი, როგორც ცოლ-ქმარი, ერთად ცხოვრობდნენ 2007 წლიდან 2022 წლის 10 მაისამდე. თანაცხოვრების პერიოდში რ. ბ-ს ფიზიკურ შეურაცხყოფას არ აყენებდა, მაგრამ სისტემატურად აგინებდა, ლანძღავდა და ამცირებდა. ბოლო პერიოდში მათ საცხოვრებელ მისამართზე ხშირად მიდიოდნენ უცხო პირები და რ. ბ-ს სთხოვდნენ ვალის დაბრუნებას. ამის გამო მეუღლეს მოსთხოვა აეხსნა, როგორ დაედო ეს ვალები. ამაზე რ-ი გაბრაზდა, უთხრა, რომ მისი საქმე არ იყო და აგინა დედის მისამართით. საბოლოოდ, სტრესისა და ნერვიულობის გამო გადაწყვიტა წასულიყო მისგან და 2022 წლის 10 მაისს საცხოვრებლად გადავიდა თავის ძმასთან. 2022 წლის 17 მაისამდე რ. ბ-ს რამდენჯერმე სთხოვა შერიგება. მიუხედავად მისი თხოვნებისა, დაზარალებული არ აპირებდა რ. ბ-სთან შერიგებას. რ. ბ-ს – მუდმივად სწერდა სმს გზავნილებს და ტელეფონზე ურეკავდა, რის გამოც იძულებული გახდა შეეცვალა ტელეფონის ნომერი და დაებლოკა იგი სოციალურ ქსელში. ამ გზით თავიდან აირიდა რ. ბ-სთან კომუნიკაცია. 2022 წლის 17 მაისს, დაახლოებით 08:30 საათზე, შვილი – ა. ბ. წაიყვანა ქ. ბ-ში, ფ. ხ-ს გამზირზე, მე-.. ჩიხის №..ში მდებარე საბავშვო ბაღში. როდესაც ბავშვი ბაღში დატოვა, უკან დაბრუნებისას ჩიხში შეხვდა რ. ბ-ს, რომელმაც უთხრა, რომ მასთან საუბარი სურდა და მოსთხოვა გაჰყოლოდა. ვინაიდან, არ სურდა რ. ბ-სთან საუბარი, გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ რ-ი გადაუდგა წინ, ძალით შეაჩერა და არ მისცა გაქცევის საშუალება. მან მოსთხოვა სასაუბროდ გაჰყოლოდა მე-.. ჩიხის ბოლოში, შენობის უკან. მიხვდა, რომ რ. ბ-ს ხალხმრავალი ადგილიდან მისი გაყვანა უნდოდა, რის გამოც შეეშინდა და უარი უთხრა გაყოლაზე. ამის შემდეგ რ. ბ-მ მხარში ჩაავლო ხელი და ძალის გამოყენებით სცადა მე-12 ჩიხის ბოლოსკენ მისი წაყვანა. მიუხედავად ამისა, ის მაინც არ გაჰყვა. ამ დროს რ. ბ-მ მარცხენა ხელის სახელოდან გამოიღო შავსახე-ლურიანი სამზარეულოს დანა, რომელიც მარჯვენა ხელით ყელზე მიადო და დაემუქრა, რომ თუ არ გაჰყვებოდა, მოკლავდა. იფიქრა, რომ თუ ხალხისგან მოშორებით გაჰყვებოდა, რ. ბ-ს შეიძლებოდა მოეკლა, რის გამოც მარჯვენა მუხლი ამოარტყა მას საზარდულში. რ-ი დარტყმაზე ჩაიკეცა, რა დროსაც დაუხსლტდა მას და გაიქცა ფ. ხ-ს გამზირისკენ. რ.

ბ. დაედევნა, ფ. ხ-ს გამზირზე გასვლამდე დაენია და თმებით დაიჭირა. იგი შეეცადა თავის გათავისუფლებას და შეებრძოლა. ფიზიკური დაპირისპირებისას, როდესაც ცდილობდა რ. ბ-საგან გაქცევას, რ. ბ-მ დანიანი ხელი მოუქნია მუცლის მიმართულებით, თუმცა მან მოახერხა და ორივე ხელით შეძლო მისი დანიანი ხელის დაჭერა. პარალელურად საშველად უხმობდა ხალხს. რ. ბ-მ დანიანი ხელის გათავისუფლების მიზნით ძლიერად უბიძგა, რის შედეგადაც წაიქცა. რ. ბ-მ დანიანი ხელი გათავისუფლა. წაქცევის დროს თავი დაარტყა, თუმცა წაქცეულიც ცდილობდა თავის დაცვას, წამოდგომას და გაქცევას. წამოდგომისას რ. ბ-მ დანა დაარტყა ზურგის არეში მარცხენა მხარეს, რა დროსაც განიცადა ფიზიკური ტკივილი.

5.2. მოწმეთა: ს. ფ-ის, ხ. ე-ის, დ. ა-ის, ე. ა-ის, რ. ე-ის ჩვენებებით დგინდება, რომ როდესაც მათ გაიგეს ქალის კივილის ხმა და გაემართნენ მისი მიმართულებით, რ. ბ. ჩიხიდან გამორბოდა, შესაბამისად, ს. ბ-ს და რ. ბ-ს არავის არ გაუშველებია. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ შემთხვევის ადგილზე არსებული ვითარებისა და მოვლენათა განვითარების გათვალისწინებით, რ. ბ-ს სურვილის შემთხვევაში ხელს არავინ უშლიდა და მკვლელობის განზრახვის არსებობისას ჰქონდა შესაბამისი დრო და შესაძლებლობა განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

6. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომლითაც ცალსახად დასტურდება, რომ მსჯავრდებულ რ. ბ-ს-ს ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა. თუმცა დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით დგინდება, რომ მსჯავრდებულმა განზრახვის სისრულეში მოყვანის ნაცვლად დატოვა შემთხვევის ადგილი და სცადა მიმალვა.

7. სასამართლო იზიარებს ასევე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებას რ. ბ-ის ბრალდებიდან გენდერული დისკრიმინაციის მოტივის ამორიცხვის შესახებ, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება გენდერული მოტივით დანაშაულის ჩადენა.

8. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, რ. ბ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებიდან მართებულად გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 11¹, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია).

9. რ. ბ-სათვის საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით, სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარის მიერ 2022 წლის 3 მაი-

სის მუქარის ფაქტზე წარმოდგენილი აქვს მხოლოდ დაზარალებულ ს. ბ-ის ჩვენება, რომელმაც მიუთითა, რომ 2022 წლის 3 მაისს, დაახლოებით 17:00 საათზე, ქ. ბ-ში, ნ. მ-ის ქუჩა №..ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, რ. ბ-ს მოსთხოვა აეხსნა რატომ ჰქონდა ვალები, რაზეც რ. ბ. გაბრაზდა და მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დამუქრა. ს. ბ-მ მოწმის სახით ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ რ. ბ. სიცოცხლის მოსპობით არ დამუქრებია, ეუბნებოდა რომ თუ მისგან წავიდოდა არ გაახარებდა, მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობას არ მისცემდა. თუმცა მის მიმართ განხორციელებული მუქარა რეალურად არ აღუქვამს და ამ მუქარის არ შეშინებია, მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში არ გასჩენია.

10. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ქმედების საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის, სისხლის სასამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უნდა დასტურდებოდეს დაზარალებულის მიერ მუქარის რეალურად აღქმა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დგინდება (მათ შორის არც დაზარალებულის ჩვენებით).

10.1. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ დადასტურდა რ. ბ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რის გამოც, მტკიცებულებათა შეფასებისას წარმოშობილი ეჭვი ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სამართლიანად გადაწყვიტეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

11. კასატორის მოთხოვნაზე, მსჯავრდებულის მიმართ მკაცრი სასჯელის შეფარდების შესახებ, სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს.

12. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სააპელაციო სასამართლომ რ. ბ-ს განუსაზღვრა სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რომელიც საქართველოს სსკ-ის 11¹, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქარ-

თველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი) გათვალისწინებული სანქციის ფარგლებშია, არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსაველდებულო მოთხოვნებსა და სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია). მსჯავრდებულმა რ. ბ-მ ჩაიდინა ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის განზრახი დანაშაულები, უდავოდ გახდა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ნაწილი, რითიც ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, არ არის ნასამართლევი. შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენით რ. ბ-სათვის განსაზღვრული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის დამძიმების საფუძველი წარმოდგენილი საქმის მასალებით არ დგინდება.

13. სასამართლო ითვალისწინებს, რომ რ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულები ჩადენილი აქვს ცივი იარაღის, დანის გამოყენებით (რომელიც ამოიღეს 2022 წლის 17 მაისს, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას და ტრასოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ქარხნული ნესით დამზადებული დანა წარმოადგენს ცივ იარაღს), საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ასევე ჩადენილია ოჯახის წევრის მიმართ, რაც საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლით წარმოადგენს სასჯელის დამამძიმებელ გარემოებას და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოცემული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

13.1. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ რ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილითა (სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობას ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ) და საქართველოს სსკ-ის 11¹, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია (სასჯელის სახით ითვალისწინებს – თავი-

სუფლების აღკვეთას ვადით ორიდან ოთხ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ)) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის სასჯელის სახით განსაზღვრული აქვს სანქციით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადით (საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წელი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 11¹, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 4 წელი) თავისუფლების აღკვეთა.

14. საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულ სასჯელთან მიმართებით კი სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. ამავდროულად, მე-3 ნაწილის თანახმად, კი მითითებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას – ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

14.1. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ რ. ბ-მ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – ადევნება, ჩაიდინა ოჯახის წევრის – ყოფილი მეუღლის მიმართ.

15. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლი სასჯელის სახით ითვალისწინებს – ჯარიმას (ჯარიმა ძირითად სასჯელად არ შეიძლება დაინიშნოს 11¹-ე მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის) ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ორ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. შესაბამისად, რ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის იმპერატიულ მოთხოვნათა დაცვით სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

16. იმავდროულად, სასამართლო იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებას რ. ბ-სათვის საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მსჯავრად შერაცხილი ქმედებებიდან გენდერული დისკრიმინაციის მოტივის ამორიცხვის შესახებ, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება გენდერული მოტივით დანაშაულის ჩადენა.

17. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ რ. ბ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განსაზღვრული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა კანონშეუსაბამოა და ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის საკანონმდებლო დანაწესს, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოთხოვნა ამ ნაწილში კანონიერი და დასაბუთებულია, რის გამოც უნდა დაკმაყოფილდეს და რ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ რამაზ შაიძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 26 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. რ. ბ. – საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

4. რ. ბ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 11¹, 19, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 11¹, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია);

5. რ. ბ. – ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. რ. ბ. – ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენი-

სათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

7. რ. ბ. – ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

8. რ. ბ. – ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 150-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

9. რ. ბ. – ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2021 წლის 24 ოქტომბრის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

10. რ. ბ. – ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2021 წლის ნოემბრის ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

11. რ. ბ. – ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (2021 წლის 9 დეკემბრიდან 2022 წლის 15 თებერვლის ჩათვლით ეპიზოდი) და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

12. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, რ. ბ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

13. მსჯავრდებულ რ. ბ.-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწესოს დაკავებიდან – 2022 წლის 17 მაისიდან;

14. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

15. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლით გათვალისწინებული
დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის
მკ-11¹ მუხლზე მიითითება თავისთავად არ განაპირობებს
საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მკ-3 ნაწილით
გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესის
გამოყენების აუცილებლობას**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№598აკ-24

1 აგვისტო, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადემაძე,
მ. ვასაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის გლდანი-ნაძალადე-
ვის რაიონული პროკურორის მოადგილის – დავით ხვედელიძის საკასა-
ციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 6 მარ-
ტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით დ. მ-ს, – დაბადებულს
2.. ნელს, – ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კო-
დექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 11¹, 381¹-ე მუხლის პირვე-
ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით, დ. მ-ს მიერ ჩადენი-
ლი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2023 წლის 16 ნოემბერს, თ. დ-ს მოთხოვნის საფუძველზე, დ. მ-ს
მიმართ, ვისთან ერთადაც მუდმივად ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურ-
ნეობას, გამოიცა შემაკავებელი ორდერი 30 დღით. აღნიშნულის საფუძ-
ველზე, დ. მ-ს განესაზღვრა მოძალადის სტატუსი და აეკრძალა მითი-
თებულ ვადაში მსხვერპლთან – თ. დ-სთან, მის საცხოვრებელ სახლთან,
სამსახურთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც იგი იმყოფებოდა;
ასევე, მსხვერპლთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, მათ შორის, ტე-
ლეფონის, სოციალური ქსელისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გა-
მოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ დ. მ. გაფრთხილებული იყო შემაკავებელი
ორდერის შინაარსისა და მისი დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი

პასუხისმგებლობის შესახებ, მან მაინც დაარღვია შემაკავებელი ორდერის მოთხოვნები და ვალდებულებები, კერძოდ: იმავე დღეს – 2023 წლის 16 ნოემბერს, ლამის საათებში, მივიდა თ. დ-ს საცხოვრებელ ბინასთან, მდებარე ქ. თ.... და სთხოვდა სახლში შეშვებას.

აღნიშნულით დ. მ-მა არ შეასრულა შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები, რითაც თ. დ-ს მიადგა მორალური სახის ზიანი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 9 იანვრის განაჩენით:

3.1. დ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა – 1 წელი;

3.2. დ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებაში ყოფნის დრო – 2023 წლის 16 ნოემბრიდან – 2023 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით;

3.3. საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლების საფუძველზე მსჯავრდებულ დ. მ-ს დაეკისრა მოვალეობა – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, ხოლო კონტროლი მის ყოფაქცევაზე და დახმარება დაევალოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს, მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურორატურის პროკურორმა ანა კაპანაძემ, რომელმაც ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის დამძიმების კუთხით და მსჯავრდებულ დ. მ-ს-თვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 6 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 9 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურორის მოადგილემ – დავით ხვედელიძემ, რომელიც ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას სასჯელის დამძიმების კუთხით და დ. მ-თვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის

მასალები, შეამოწმა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ ცნობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უტყუარად დასტურდება დ. მ-ს მიერ მისთვის მსჯავრად შერაცხული ქმედების ჩადენა (რასაც მხარეებიც არ ხდის სადავოდ). იმავდროულად, დაცვის მხარე სადავოდ არ ხდის დანიშნული სასჯელის კანონიერებას.

3. რაც შეეხება მსჯავრდებულისათვის დანიშნულ სასჯელს, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადამწყვეტილებას მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის ზომის შესახებ, ასევე არ ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას სასჯელის დასაბუთებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 6 მარტის განაჩენით დ. მ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით – დანაშაულის ოჯახის წევრის მიმართ ჩადენის მხედველობაში მიღებით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა მუხლის სანქციით დადგენილი მაქსიმალური სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით.

5. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებზე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ზომის განსაზღვრისას საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესის გამოყენების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილ პრაქტიკას (იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 7 ივლისის განაჩენი №14აპ-22; ასევე – 2023 წლის 8 მაისის განაჩენი №150აპ-23). კერძოდ, სასამართლო ითვალისწინებს, რომ:

6. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით“.

7. საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლის თანახმად, ოჯახური დანა-

შაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, მათ შორის, საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, ხოლო ამავე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის თანახმად, ოჯახის წევრად, მათ შორის, მიიჩნევიან პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

8. საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისთვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას“; ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული წესი მხედველობაში არ მიიღება, მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე.

9. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია დროებითი ღონისძიებების სახით გამოიცეს შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

10. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლზე მითითება თავისთავად არ განაპირობებს საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესის გამოყენების აუცილებლობას, რადგან საქართველოს სსკ-ის მე-11¹ მუხლი განსაზღვრავს ოჯახური დანაშაულის ცნებასა და კვალიფიკაციის საკითხს, ხოლო ოჯახის წევრის მიმართ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასჯელის დანიშვნის წესს ადგენს საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-

2-მე-4 ნაწილები.

11. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოცემულ შემთხვევაში შემაკავებელი ორდერის გამოცემა უკავშირდებოდა დ. მ-ს მიერ თ. დ-ს (ვისთან ერთადაც მუდმივად ეწეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას) მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფასა და ფსიქოლოგიურ ძალადობას. შესაბამისად, დ. მ-ს მიმართ მსჯავრად შერაცხილი ქმედების – საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას გვაძლევს ოჯახის წევრის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე გამოცემული შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა.

12. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამატებით ობიექტს წარმოადგენს ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა. შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის გამოყენება – საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ოჯახის წევრის მიმართ ჩადენის გამო – გამოიწვევს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუმართლებელ დამძიმებას (იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ივლისის № 14აპ-22 განაჩენი, II-15; ასევე – 2023 წლის 8 მაისის განაჩენი № 150აპ-23). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ოჯახის წევრის მიმართ ჩადენის გამო მსჯავრდებულისათვის სასჯელის ხანგრძლივობის საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენებით განსაზღვრის შესახებ.

13. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მსჯავრდებულმა დ. მ-მა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე კატეგორიის განზრახი დანაშაული, რომელსაც აღიარებს და ინანიებს, უდავოდ ცნო ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რითიც ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, არ არის სასამართლოე და ჩადენილი ქმედების ხასიათის, შედეგების, დანაშაულის ჩადენის მოტივის, მიზნის, ხერხისა და მოვალეობათა დარღვევის ხასიათის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ სასჯელის სახით განსაზღვრული სასჯელის – თავისუფლების აღკვეთა – ხანგრძლივობა – 1 წელი – არ შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და ზედმეტად მკაცრია. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ დ. მ-ს დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად და საქართვე-

ლოს სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელი ვადა თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არაუმეტეს ექვსი წლისა.

13.1. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კი გაასაჩივრა მხოლოდ ბრალდების მხარემ, ხოლო დაცვის მხარე სადავოდ არ ხდის სასჯელის სამართლიანობას. შესაბამისად, სასამართლო საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე მოკლებულია გასაჩივრებული განაჩენის ამ ნაწილში გადასინჯვის შესაძლებლობას.

14. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას მსჯავრდებულის მიმართ მკაცრი სასჯელის შეფარდების შესახებ, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „აუცილებელია, სასჯელი ადეკვატურად შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი ქმედების სიმძიმეს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/6/770 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13). „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7).

15. სასამართლო ასევე ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრულ სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია; ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისთვის სპეციალური და ზოგადი პრევენციის მნიშვნელობას და იმ გარემოებას, რომ რესოციალიზაციის მიზანი გულისხმობს სასჯელის მეშვეობით საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული თანაცხოვრების წესებისადმი დამნაშავის შეგუებას, ამისათვის შესაბამისი პირობების შექმნის გზით, როგორც საპატიმრო დაწესებულებაში, ასევე, არასაპატიმრო სასჯელის შეფარდებისას, თავისუფლებაში ყოფნის პირობებში (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება).

16. სასამართლო ითვალისწინებს, რომ დ. მ-ს სასჯელის სახედ განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სახის სასჯელი, ხოლო სასჯელის პირობითად ჩათვლისა და გამოსაცდელი ვადის დაწესების მიზანი არ არის დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედებისგან გათავისუფლება. გამოსაცდელი ვადა ის პირობაა, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

17. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ „თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ზოგადად, სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იყოს მის უკიდურეს შემთხვევაში გამოყენებაზე ორიენტირებული. თუ პასუხისმგებლობის სხვა ზომები/სახეები ობიექტურად საკმარისია კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნების მისაღწევად, კანონი უნდა უზბიძგებდეს სამართალშემფარდებელს, სწორედ არასაპატიმრო ალტერნატივების გამოყენებისკენ“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-96). შესაბამისად, არ არსებობს კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურორის მოადგილის – დავით ხვედელიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 6 მარტის განაჩენი დარჩეს უცვლელად;
3. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. პირობითი მსჯავრი

**საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის
დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილი
არ იყო მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელი
პირობითად ჩაეთვალა**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№343აპ-24

9 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის გლდანი-ნაძალადე-
ვის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანი ჩუბინაშვილის საკასა-
ციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2024 წლის 30 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა პალატის 2024 წლის 30 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასა-
ჩივრა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის
პროკურორმა ანი ჩუბინაშვილმა. პროკურორი საკასაციო საჩივრით მო-
ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შე-
ტანას და მსჯავრდებულ გ. ბ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის შეფარ-
დებას, რაც დაკავშირებული იქნება თავისუფლების აღკვეთის პენი-
ტენციურ დაწესებულებაში მოხდასთან, ვინაიდან მისთვის განსაზ-
ღვრული სასჯელი არის მსუბუქი და ვერ უზრუნველყოფს საქართვე-
ლოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების მიღ-
ნევას. ამასთან, იგი წარსულში სამჯერაა ნასამართლევი, რის გამოც,
საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასა-
მართლო არ იყო უფლებამოსილი, გამოეყენებინა პირობითი მსჯავრი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
კოლეგიის 2023 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით გ. ბ., – დაბადებული 1...
ნელს, ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-
ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაუ-

ლის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩაეთვალა პირობითად, 1 (ერთი) წლის გამოსაცდელი ვადით.

გაუქმდა მსჯავრდებულ გ. ბ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო.

პირობითი მსჯავრის აღსრულებისას, მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლი დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს – პრობაციის ბიუროს.

3. აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ბ-მ ჩაიდინა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა. აღნიშნული გამოიხატა შემდეგით:

2023 წლის 13 აგვისტოს, საქართველოს შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა, გ. ბ-ს მიმართ გამოსცა შემაკავებელი ორდერი №..., რომლითაც გ. ბ-ს აეკრძალა, მეუღლის – ნ. ბ-ს საცხოვრებელ სახლთან, სამსახურთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც ნ. ბ. შესაძლოა იმყოფებოდა. მიუხედავად აღნიშნულისა, გ. ბ-მ 2023 წლის 15 აგვისტოს დაარღვია შემაკავებელი ორდერის მოთხოვნები და ვალდებულებები, კერძოდ, საღამოს საათებში მივიდა ... – მდებარე ნ. ბ-ს საცხოვრებელ სახლთან და დაიწყო სახლის კარზე ხელბების დარტყმა, რითაც დაარღვია შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნები და ვალდებულებები.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მარიამ გიგაურმა, სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და გ. ბ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა, რაც დაკავშირებული იქნება თავისუფლების აღკვეთის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდასთან.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 30 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალი-

ზაწარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მოცემულ საქმეში გ. ბ-ს აღიარების გარდა, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილია ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, კერძოდ: დაზარალებულ ნ. ბ-ს, მონმეების – მ. ხ-ს, გ. ხ-ს, ს. ქ-ს გამოკითხვის ოქმები, ტელეფონის დათვალიერების ოქმი, №... შემაკავებელი ორდერი და შემაკავებელი ორდერის ოქმი, ბრალდებულის დაკავების ოქმი და სხვა წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ გ. ბ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხილი, საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რის შესახებაც პალატა დამატებით აღარ იმსჯელებს, ვინაიდან სრულად ეთანხმება სააპელაციო სამართლოს დასკვნებს, რასაც არც ბრალდების მხარე ხდის სადავოდ.

3. რაც შეეხება მსჯავრდებულ გ. ბ-სათვის განსაზღვრულ სასჯელს, საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლეთი იყო ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათ-

ვლა დაუშვებელია.

4. მსჯავრდებულ გ. ბ.-სათვის საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით შერაცხილი ქმედება სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

5. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასჯელის დანიშვნის ზოგადსაველდებულო გარემოებების, ასევე – გ. ბ.-ს ინდივიდუალური მახასიათებლების (მიდრეკილია დანაშაულის ჩადენისაკენ, ხშირად მოიხმარს ალკოჰოლურ სასმელს), პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი (აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული; უდავოდ გახდა ბრალდების მხარის მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო სწრაფ მართლმსაჯულებას) და დამამძიმებელი გარემოებების, დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავის წარსული ცხოვრების გათვალისწინებით (რამდენჯერმე ნასამართლევი ოჯახის წევრის (მეუღლის – ნ. ბ.-ს) და სხვა პირთა მიმართ სიცოცხლის მოსპობისა და ქონების განადგურების მუქარის, ასევე – ოჯახის წევრზე (ნ. ბ.-ზე) სისტემატური შეურაცხყოფისა და დამცირების ფაქტებზე, გამოკვეთილია დანაშაულის რეციდივი), გ. ბ.-სათვის განსაზღვრული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა სამართლიანია და სრულად შეესაბამება სასჯელის მიზნებს. ამასთან, სააპელაციო პალატა კანონისმიერად არ იყო უფლებამოსილი გამოეყენებინა საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი, შემდეგ გარემოებათა გამო:

6. წარმოდგენილი საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. ბ. წარსულში ნასამართლევი, სახელდობრ:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 ნოემბრის განაჩენით, რომლითაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 18 სექტემბრის განაჩენით, რომლითაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 23 დეკემბრის განაჩენით, რომლითაც ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 ოქტომბრის განაჩენში. განაჩენის მიხედვით, გ. ბ.

ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „დ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და, საბოლოოდ, განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

7. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლეთი იყო ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის. აღნიშნული წესიდან გამონაკლისს მატერიალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასჯელის სახისა და ზომის შერჩევის დროს სასამართლო შებოჭილია იმპერატიული სახის ნორმებით, რომელთა შორის არის საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილიც.

8. სააპელაციო პალატა აპელირებს საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილზე, რომლის მიხედვით, გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას, მაგრამ საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალების მიხედვით, გ. ბ-ს ზემოაღნიშნული განაჩენებით ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი არ აქვს. ამდენად, დგინდება, რომ მსჯავრდებული გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრად შერაცხილი ქმედების ჩადენის დროს (2023 წლის 15 აგვისტოს), წარსულში ნასამართლეთი იყო სამი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, უფლებამოსილი არ იყო, გ. ბ-სათვის შეფარდებული სასჯელი ჩათვალა პირობითად.

9. სააპელაციო პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა გ. ბ-ს ასაკზე, რომ იგი 77 წლისაა, თუმცა, საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება და არც სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა სასჯელის მოხდასთან. ცალკე აღებული ხანდაზმული ასაკი, უპირობოდ არ გამოირიცხავს მსჯავრდებულისათვის თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შეუძლებლობას.

10. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო დამატებით ითვალისწინებს პენიტენციური კოდექსის მე-110 მუხლის მე-4 ნაწილსა და ამავე კოდექსის 111-ე მუხლის მე-4 ნაწილს; აღნიშნული ნორმები პენიტენციურ დაწესებულებაში ხანდაზმულთათვის (მამაკაცს 65 წლიდან) სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებულ საყოფაცხოვრებო პირობებსა და მათი მდგომარეობის შესაბამის კვების საკითხს შეეხება. საკასაციო პალატა ასევე ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სა-

მართლის საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის დანაწესს, რომლითაც განსაზღვრულია ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების წესი და წინაპირობები, რომელთა გამოვლენის შემთხვევაში, გ. ბ-ს ექნება შესაძლებლობა, გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ ან ჩუბინაშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 30 იანვრის განაჩენი შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ ან ჩუბინაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 30 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. გ. ბ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 381¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. მსჯავრდებულ გ. ბ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან; გ. ბ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს – 2023 წლის 16 აგვისტოდან იმავე წლის 18 აგვისტოს ჩათვლით დაკავებაში ყოფნის პერიოდი;

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მსჯავრდებულ გ. ბ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გირაო – გაუქმებულია;

6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კერძო ნაწილი
1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ
განზრახ მკვლელობის მცდელობა

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№ 152აპ-24

4 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის განაჩენზე მსჯავრდებულ ი. ტ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – ა-სა და ლ. ბ-ს საკასაციო საჩივარი.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ი. ტ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ა-მ და ლ. ბ-მ, რომლებიც ითხოვენ განაჩენის შეცვლასა და ი. ტ-სათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ამავე კოდექსის 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირებას, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიენიჭა. კასატორების მითითებით, ქმედების მკვლევობად (მცდელობად) დასაკვალიფიცირებლად აუცილებელია, დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისაკენ. სასამართლოს არ გამოუკვლევია დაზარალებულისა და მსჯავრდებულის ურთიერთდამოკიდებულება, არ გამოურკვევია დანაშაულის შესაძლო მოტივი და ქმედების შეწყვეტის მიზეზი. მოწმეებს არ დაუწახვავთ, როგორ დაიწყო შელაპარაკება, არ შესწრებიან უშუალოდ დანის ამოღების, მოქნევისა და დარტყმის მომენტს. ი. ტ-ი შემთხვევის ადგილიდან არ მიმალულა, დანაშაულის იარაღი თავიდან არ მოუშორებია, არამედ – დაუყოვნებლივ წარუდგინა სამართალდამცავებს, აღიარა ჩადენილი და ითანამშრომლა გამოძიე-

ბასთან. არაფრით დასტურდება, რომ ი. ტ-ს სურდა დ. თ-ს მკვლელობა, მით უფრო, როდესაც დაჭრილი დაზარალებული ვერც გაექცეოდა და ვერც დაემალებოდა ისე, რომ სურვილის შემთხვევაში მსჯავრდებულს მისი მოკვლის განზრახვა ვერ აღესრულებინა. სასამართლოს მიერ ქმედების არასწორმა კვალიფიკაციამ დააზიანა მსჯავრდებულის ფსიქოემოციური მდგომარეობა, ექსპერტიზის დასკვნით კი დადგენილია, რომ იზოლაციაში ყოფნა ნეგატიურად მოქმედებს ი. ტ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მსჯავრდებულმა თავისი ნებით შეწყვიტა ქმედება და ხელი აიღო დანაშაულზე, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. ამავდროულად მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლოს განსჯის საგნად უნდა იქცეს ის გარემოება, თუ რატომ დაუშოიმა სააპელაციო სასამართლომ ი. ტ-ს შეფარდებული სასჯელი – 1 წლით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლზე მითითებით, მაშინ, როდესაც ქვემოთაღნიშნული ინსტანციის სასამართლომ მის ქმედებაში გამოკვეთილი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება – იარაღის გამოყენებით დანაშაულის ჩადენა – ვერ დაინახა. იმის გათვალისწინებით, რომ ი. ტ-მ თანამშრომლად გამოიყენება, ალიარა ჩადენილი, თანამონაწილეები არ ჰყოლია და მისთვის არ წაუსწრიათ დანაშაულის ჩადენის დროს, შესაძლებელია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, მისთვის შეფარდებული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 16 სექტემბრის განაჩენით ი. ტ. – დაბადებული ..., – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით (2022 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯა – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. სასამართლომ დაადგინა, რომ ი. ტ-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგით:

3.1. 2020 წლის 2 მაისს, დაახლოებით, 15:10 საათზე, ი. ტ. ... მიმდებარე ტერიტორიაზე, შეეცადა დ. თ-ს განზრახ მკვლელობას, კერძოდ, განზრახ მკვლელობის მიზნით, დანის გამოყენებით, გულმკერდის მარცხენა ნახევარში მიაყენა 3, ხოლო მუცლის არეში – 2 შემავალი ჭრილობა.

ბა. ი. ტ-მ განზრახვის აღსრულება ვერ მოახერხა, რადგან დაზარალებულმა წინააღმდეგობის განწვევითა და გაქცევით უშველა თავს.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 16 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, ერთი მხრივ, თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – გიორგი გოგალაძემ, რომელიც ითხოვდა განაჩენის შეცვლას სასჯელის გამკაცრების კუთხით, ხოლო, მეორე მხრივ, მსჯავრდებულმა ი. ტ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. გ-მ. დაცვის მხარე შეცვლილი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნით შუამდგომლობდა ი. ტ-სათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების ამავდროულად კოდექსის 117-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირებას.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 16 სექტემბრის განაჩენი შეიცვალა; ი. ტ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით (2022 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა, გაანალიზა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ი. ტ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ა-სა და ლ. ბ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის მითითებას სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის ქმედებისათვის არასწორი კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე, რამეთუ განაჩენში ამომწურავად არის მითითებული იმ ფაქტობრივ გარემოებებსა და მოტივებზე, რომელთა საფუძველზეც, სარწმუნოდ დადგინდა ი. ტ-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით მისთვის მსჯავრდებულად შერაცხილი დანაშაულის ჩადენა.

3. საყურადღებოა, რომ კასატორების არგუმენტაცია ქმედების სამართლებრივ შეფასებასთან მიმართებით, ურთიერთგამომრიცხველი და წინააღმდეგობრივია, ვინაიდან დაცვის მხარე, ერთი მხრივ, ამტკიცებს, რომ ი. ტ. არ მოქმედებდა დ. თ-ს მოკვლის განზრახვით, რამეთუ,

ასეთი სურვილის არსებობის შემთხვევაში, ხელს არაფერი უშლიდა, ბოლომდე აღესრულებინა განზრახვა, ხოლო, მეორე მხრივ, უთითებს, რომ მსჯავრდებულმა ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი დანაშაულზე, რაც, მათივე მსჯელობის კვალდაკვალ, ადასტურებს, რომ ი. ტ. მოქმედებდა დაზარალებულის მკვლელობის განზრახვით, თუმცა გადაიფიქრა და დანაშაული აღარ დაამთავრა, რაც ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს მათ პირველად მტკიცებას, რომ მსჯავრდებული იმთავითვე არ მოქმედებდა მკვლელობის განზრახვით.

4. აღსანიშნავია, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ დ. თ-ს დაზიანებები დანით სწორედ ი. ტ-მ მიაყენა და მისი ქმედებები მიზეზობრივად უკავშირდება დამდგარ შედეგს – დაზარალებულისათვის მიყენებულ სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებას.

5. განსჯის საგანს წარმოადგენს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება. ბრალდების მხარის მტკიცებით, ი. ტ-მ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – განზრახ მკვლელობის მცდელობა, ხოლო დაცვის მხარის მითითებით, მსჯავრდებულის ქმედებაში გამოკვეთილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით დასჯადი ქმედება – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ არაერთხელ განმარტებულია: ამ ორი სამართლებრივი მოცემულობის (განზრახ მკვლელობის მცდელობა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) გამიჯვნის დროს, ქმედების კვალიფიკაციისას, შეცდომის გამოსარიცხად სასამართლოებმა ზედმინევნით დეტალურად უნდა შეისწავლონ და გააანალიზონ საქმეში არსებული ყველა გარემოება, რადგან გამოსაკვეთია დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის ელემენტი, რომლის მიმართულებაც განასხვავებს განზრახ მკვლელობის მცდელობას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისგან. განზრახვის დასადგენად კი შესწავლილ უნდა იქნეს: დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ და დაზიანების მიყენების მომენტში და სხვ (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 17 მაისის განაჩენი №680აპ-17 საქმეზე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 8).

7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. ამავე მუხ-

ლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

8. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტები, რომლებიც დიდწილად გამეორებულია საკასაციო საჩივარშიც და რომლებიც, თითქოსდა, გამორიცხავდნენ ი. ტ-ს ქმედებაში მკვლელობის მცდელობის შემადგენლობას, ვინაიდან საპირისპირო მტკიცება გამომდინარეობს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად შეფასებული, ურთიერთშეჯერებული და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობიდან, კერძოდ:

9. დაზარალებულ დ. თ-ს 2020 წლის 6 მაისისა და 14 ივნისის გამოკითხვის, მისივე მონაწილეობით 2020 წლის 27 მაისს ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტისა და 2020 წლის 27 მაისს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცენტრ „112-დან“ გამოთხოვილი ინფორმაციის დათვალიერების ოქმებით, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, ეჭვგარეშე ადასტურებს, რომ დ. თ-ს ხელთნაქონი დანით დაზიანებები მიაყენა სწორედ ი. ტ-მ, კერძოდ, მსჯავრდებულმა ქუჩაში მიმავალ დაზარალებულს სახეში შეაფურთხა და იმ დანით, რომელზეც მანამდე ანერწყვებდა, ორი ჭრილობა მიაყენა მუცელში. მის შეკითხვაზე, რატომ იქცეოდა ასე, უპასუხა, რომ „– ასეთი „ხოში“ ჰქონდა“. თავდასხმისას თან ეძახდა „– მოკვდი, ჩაძალდიო“ და დედას აგინებდა. დ. თ. შეეცადა, დანა წაერთმია ი. ტ-სათვის, გაუწია წინააღმდეგობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მსჯავრდებულმა ამჯერად გულმკერდის არეში მიაყენა მას ორი დაზიანება. დ. თ-ს თქმით, შეეშინდა, რომ ი. ტ. მოკლავდა, ამიტომ მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ იგრძნო, რომ ძალა ელეოდა და გაიქცა, თუმცა მსჯავრდებული წამოეწია და კვლავ გულმკერდის არეში ძლიერად დაარტყა დანა. იგი ღობესთან ჩაიკეცა, თავდამსხმელმა კი იფიქრა, რომ მოკვდა და ადგილიდან გაიქცა. დ. თ-მ შემთხვევის ადგილზე მყისიერად მისულ სამართალდამცავებთან იმთავითვე განაცხადა, რომ დაზიანებები მისმა მეზობელმა, ი. ტ-მ მიაყენა და მიუთითა, თუ საით გაიქცა იგი;

10. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტი-

ზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 22 ივლისის ექსპერტიზის დასკვნა ცხადყოფს, რომ დ. თ-ს 2020 წლის 2 მაისს დაესვა დიაგნოზი: მუცლის ღრუს ორგანოების მრავლობითი ტრავმა, ფაშვის ან ჯვორჯლის არტერიის ტრავმა, ტრავმული პნევმოთორაქსი, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, მწვავე პოსტჰემორაგიული ანემია. სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, აღენიშნებოდა: გულმკერდის მარცხენა ნახევარსა და მუცელში შემავალი ქრილობები, ფილტვის, დიაფრაგმის, წვრილი ნაწლავის, მისი ჯვორჯლის, კუჭის, კუჭ-კოლინჯის მარცხენა არტერიის დაზიანებით, მიყენებული მჩხვლეტავ-მჭრელი საგნით, რომლებიც ცალ-ცალკე და ერთობლივად, მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის საშიფათოს;

11. მონმე ნ. მ-ს ჩვენებით, რომელიც დაზარალებულთან ერთად ცხოვრობს, დგინდება, რომ შემთხვევის დღეს, დ. თ-ს სიგარეტის საყიდლად სახლიდან გასვლიდან მალევე ქუჩიდან უხმეს მის დასახმარებლად და სახლთან ახლოს, ქუჩაში ნახა გაფითრებული და დასისხლიანებული ბიძაშვილი, რომელმაც უთხრა, რომ ი. ტ-მ „დაჩეხა“. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს კი მიუთითა ი. ტ-ზე, რომელიც ცდილობდა ადგილიდან მიმალვას;

12. მონმეების სახით დაკითხული პოლიციელების – ნ. კ-სა და გ. ჯ-ს – ჩვენებები, ასევე – საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცენტრ „112-დან“ გამოთხოვილი სამხრე კამერების ჩანანერები ადასტურებს, რომ შეტყობინების საფუძველზე, შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა ნახეს ქუჩაში დაჭრილი დ. თ, რომელიც მასზე თავდასხმაში ამხელდა თავის მეზობელს – ი. ტ-ს. იმავეს ამტკიცებდა შემთხვევის ადგილზე მყოფი ნ. მ-ც. მათი მითითებების საფუძველზე, შემთხვევის ადგილის მიმდებარედ დააკავეს ი. ტ, რომელიც ცდილობდა მიმალვას;

13. დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით დასტურდება, რომ 2020 წლის 2 მაისს, შემთხვევის ადგილის მახლობლად – ... მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებული ი. ტ-ი ცდილობდა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას. პირადი ჩხრეკის შედეგად, სამართალდამცავებმა მას მარჯვენა ფეხსაცმლიდან ამოულეს დასაკეცი დანა, რომელსაც აღენიშნებოდა მონითალო ლაქები;

14. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 25 დეკემბრის ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნით, რომელსაც ამ სამხილის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, მტკიცებულებების შეფასების დროს, უპირობოდ ძალიან მაღალი ფასი აქვს, ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ ი. ტ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული დანის ტარსა და პირზე აღმოჩენილია დ. თ-ს სისხლი.

15. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც ცალსახაა, რომ დ. თ-ს დაზიანებები მიაყენა ი. ტ-მ, მსჯავრდებულის სადავოდ გამხდარი განზრახვის გამოსარკვევად, საკასაციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დაზარალებულის დაზიანებების რაოდენობასა და ლოკალიზაციას, კერძოდ: დ. თ-ს მიყენებული აქვს სულ 5 შემავალი ჭრილობა, აქედან – 3 გულმკერდის, ხოლო – 2 მუცლის არეში; დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ იარაღს – დანას, როდესაც, არც დაცვის მხარეს გაუხდია სადავოდ და სასამართლოსაც დადგენილად მიაჩნია, რომ ი. ტ-თან დაპირისპირებული დ. თ. შეიარაღებული არ ყოფილა; მსჯავრდებულის ქცევას დანაშაულის ჩადენის დროს, როდესაც დ. თ-სთვის დანიტ დაზიანებების მიყენების დროს, ეძახდა: „ჩაძაღლი, მოკვდიო“; მსჯავრდებულის მისწრაფებასა და მის ურყევ ნებას, როდესაც, მიუხედავად დაზარალებულის წინააღმდეგობისა, დ. თ-სათვის გულმკერდის არეში მიყენებული 2 შემავალი ჭრილობის შემდეგ, ი. ტ-მ მუცლის არეშიც მიაყენა მას 2 ჭრილობა, ხოლო დაზარალებულის გაქცევის შემდეგ, დაედევნა მას, დაენია და ძლიერად ჩაარტყა დანა კვლავ სიცოცხლისათვის სახიფათო – გულმკერდის – არეში, რის შემდეგაც დ. თ. ჩაიკეცა, ხოლო ი. ტ. შეეცადა გაქცევას, რაც, ერთობლივად შეფასებისას, ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს ი. ტ-ს მიერ დანაშაულზე ხელის აღებას ან მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვას და უტყუარად მიუთითებს, რომ ი. ტ-ს სურდა დ. თ-ს მოკვლა ან, მიყენებული დაზიანებების რაოდენობისა და ლოკალიზაციის გათვალისწინებით, სულ მცირე, შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა სასიკვდილო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. დანაშაულის შესაძლო მოტივთან მიმართებით, დაზარალებულსა და მსჯავრდებულს შორის დანაშაულის ჩადენამდე ურთიერთამოკიდებულების დასადგენად, საყურადღებოა დაზარალებულ დ. თ-ს 2020 წლის 6 მაისის გამოკითხვის ოქმი, რომელიც დაცვის მხარეს სადავოდ არ გაუხდია და რომელიც ადასტურებს, რომ შემთხვევამდე, დაახლოებით, სამი წლით ადრე, ი. ტ-მ დ. თ-ს სთხოვა თანხა ე.წ. „თავანის“ ჩასაბარებლად, რაზეც დაზარალებულმა უარი უთხრა, რის გამოც, მსჯავრდებულმა მოგვიანებით უსაყვედურა მას, ხმას აღარ სცემდა, ექცეოდა აგრესიულად და მის დანახვაზე ინერწყვებოდა.

16. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ ქმედების სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის დასადასტურებლად აუცილებელია, ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია, მსჯავრდებული (ბრალდებული) არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გა-

რემოებათა ანალიზით დადგინდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა. ანუ, ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 თებერვლის განაჩენი, №527აპ-17 საქმეზე).

17. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ მტკიცებულებების არასრულფასოვნად შეფასების კვალდაკვალ, მსჯავრდებულის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიანიჭა და მიიჩნევს, რომ ი. ტ-ს მსჯავრდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით (2022 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის – განზრახ მკვლელობის მცდელობის – ჩადენისათვის კანონიერია და არ არსებობს ქმედების სამართლებრივი შეფასების კუთხით გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის რაიმე წინაპირობა.

18. რაც შეეხება მსჯავრდებულ ი. ტ-სათვის განსაზღვრულ სასჯელს, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაცქევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

19. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია: როდესაც საკითხი ეხება ეროვნულ სასამართლოებში სამართალწარმოების განხორციელებას, მთლიანი სამართალწარმოება, მათ შორის, სასამართლო განხილვა, უნდა აკმაყოფილებდეს პოზიტიური ვალდებულების მოთხოვნებს, კანონის ძალით იქნეს დაცული ადამიანთა სიცოცხლე. მაშინ, როდესაც არ არსებობს აბსოლუტური ვალდებულება, რომ ყოველი ბრალდების საქმე დამთავრდეს პირის მსჯავრდებით ან კონკრეტული სასჯელის დანიშვნით, ეროვნული სასამართლოები არ უნდა იყვნენ განწყობილი იმისთვის, რომ დაუშვან სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დაუსჯელად დატოვება. სასამართლოს ამოცანა, შესაბამისად შემოიფარგლება იმის განხილვით, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს, რომ სასამართლოებმა თავიანთი გადაწყვეტილებების მიღებისას კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნების შესაბამისი სათანადო ყურადღება გამოიჩინეს და რომ სასამართლოს, როგორც შემაკავებლის როლი და ამ როლის ის მნიშვნელობა, რაც მას ეკისრება სიცოცხლის უფლების დარღვევების პრევენციაში, არ შერყეულა (იხ. მაგალითად: *Enukidze and Girgvliani v. Georgia*, no. 25091/07, §242, *Vazagashvili and Shanava v. Georgia*, no. 50375/07, § 84).

20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით: სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუთაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ, [...] ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38), უნდა ეფუძნებოდეს საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუთაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 11 ივლისი, II-10).

21. ი. ტ-სათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით (2022 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) შერაცხილი ქმედება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან

თხუთმეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

22. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: პირველი ინსტანციის სასამართლომ შეაფასა, როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებითა და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების – ჩადენილი ქმედების აღიარების – მხედველობაში მიღებით, ასევე – გამომდინარე იქიდან, რომ მსჯავრდებულის ქმედებაში არ იკვეთებოდა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, ი. ტ.-ს შეუფარდა კანონით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. სააპელაციო სასამართლომ კი, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ შერჩეული სასჯელის ზომის – 1 წლით გამკაცრების დასაბუთებისას აღნიშნა, რომ ი. ტ.-ს მიერ მსჯავრად შერაცხილი დანაშაულის დანის გამოყენებით ჩადენა მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლზე, რომლის თანახმად, დანაშაულის იარაღის გამოყენებით ჩადენის შემთხვევაში, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა, სულ მცირე, 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას და ი. ტ.-ს შეუფარდა – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

23. საკასაციო სასამართლო კვლავაც იმეორებს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი სასჯელის დანიშვნის იმპერატიული წესის გამოსაყენებლად აუცილებელია, სისხლის სამართლის საქმის მასალებში იყოს წარმოდგენილი შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, გამოყენებული დანის ცივ იარაღთა კატეგორიისადმი კუთვნილების ფაქტის დასადაგენად (იხ. მაგალითად საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 25 აპრილის განაჩენი № 122აპ-24 საქმეზე II-9.1).

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილია პროკურორის 2020 წლის 15 ივნისის დადგენილება, რომლითაც დაინიშნა ტრასოლოგიური ექსპერტიზა, ხოლო საკვლევი ობიექტი – ი. ტ...–ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული დანა – გადაეგზავნა საექსპერტო დანესებულებას, სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა ი. ტ.-ს მიერ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული დანის ცივ იარაღთა კატეგორიისადმი კუთვნილების დასადაგენად, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ იმპერატიულ მოთ-

ხოვნაზე მითითებით, სასჯელის გამკაცრება – უსაფუძვლო და გაუმართლებელია, რისი გათვალისწინებითაც, ი. ტ-ს სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი უნდა შეუმცირდეს – 1 წლით და განესაზღვროს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების – სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის – შესრულებას, ხოლო მის კიდევ უფრო შემსუბუქებასა და შეფარდებული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლას, როგორც ამას დაცვის მხარე ითხოვს თავის საკასაციო საჩივარში, არ აქვს კანონიერი გამართლება და, ამავდროულად, მიზანშეუწონელია.

25. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ი. ტ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ა-სა და ლ. ბ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს მხოლოდ სასჯელის შემსუბუქების კუთხით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ი. ტ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ა. და ლ. ბ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ი. ტ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 108-ე მუხლით (2022 წლის 20 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯოს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. ი. ტ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს – 2020 წლის 2 მაისიდან;

5. საქმეზე ნივთმტკიცებებად ცნობილი საგნები:

5.1. ი. ტ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული დანა; ადგილმდებარეობის დათვალიერებისას ამოღებული ქვა, მოწითალო ლაქებით; ი. ტ-ს ნერწყვისა და თმის ნიმუშები და დ. თ-ს სისხლის ნიმუში – განადგურდეს;

5.2. ი. ტ-სგან ამოღებული ტანსაცმელი: შავი ქურთუკი; 1 წყვილი ბოტასი; 1 წყვილი წინდა; სპორტული შარვალი და შავი მაისური, ასევე

– ლ. ს-გან ამოღებული: მუქი ჯინსის შარვალი; მოკლემკლავიანი, შავი მაისური; მოცისფრო სვიტერი; 2 საცვალი; 1 წყვილი წინდა; მუქი მოკლემკლავიანი მაისური; 1 წყვილი ფეხსაცმელი; პლასტიკური ბარათი; სანთებელა; ოქროსფერი კულონი ზონრით; პირბადე და ადგილმდებარეობის დათვალიერებისას ამოღებული შავი კეპი – დაუბრუნდეთ კანონიერ მფლობელებს;

5.3. 1 დისკზე ჩანრილი ადგილმდებარეობის დათვალიერებისას გადაღებული ფოტოსურათები; 1 დისკზე ჩანერილი სამხრე კამერის ვიდეო ჩანაწერი; 4 დისკზე ჩანერილი სს „ნიკორა ტრეიდიდან“ გამოთხოვილი ვიდეოკამერების ჩანაწერები; 1 დისკზე ჩანერილი დ. თ-სთან ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ფოტოსურათები და 1 დისკზე ჩანერილი „112-დან“ გამოთხოვილი აუდიოჩანაწერი – შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ეკონომიკური დანაშაული

ქმედების გადაკვალიფიციერება ყაჩაღობიდან დანაშაულის შეუტყობინებლობაზე

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№246აპ-24

4 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადემაძე,
მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის ისანი-სამგორის რაი-
ონული პროკურორატურის პროკურორ გიორგი ცეცხლაძის, მსჯავრდე-
ბულ ა. ყ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ნ-სა და გ. ტ-ს,
მსჯავრდებულ ა. ნ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ჩ-ის საკა-
საციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სა-
მართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ა. ნ-ს, – დაბადებულს ... წლის .. აპრილს, – ბრალად ედება ყაჩა-
ღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდე-
გო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის საშიში ძალა-
დობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან
მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მი-
საკუთრებისათვის; ხოლო ა. ყ-ს, – დაბადებულს .. წლის .. მარტს, და ე.
ი-ს, – დაბადებულს ... წლის – აპრილს, – ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა
სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით,
ჩადენილი სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით,
ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

1.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 ივნისის განა-
ჩენით ა. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და შეეფარდა 3 წლითა და 9 თვით
თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად, ამავე გამოსაც-
დელი ვადით.

1.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 ნოემბრის განა-

ჩენით ა. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სასჯელის ნაწილი – 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობითად, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

1.4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენით ა. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის მე-2 ნაწილით, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და საბოლოოდ, განაჩენთა და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სასჯელის ნაწილი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობითად, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

1.5. 2021 წლის 15 სექტემბერს, დაახლოებით 04:20 საათიდან 04:27 საათამდე პერიოდში, თ-ი, ჯ-ს ქუჩის №...-ში მდებარე სლოტკლუბ „...-ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ა. ყ-მა, ა. ნ-მა და ე. ი-მა ჯგუფურად, ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დანის მსგავსი საგნის დემონსტრირებით, ე. მ-სა და რ. ა-ს მოთხოვეს მოგებული თანხის გაყოფა. უარის მიღების შემდეგ ა. ნ-მ ე. მ-ს ერთხელ დაარტყა ხელი სახის არეში. ამის შემდეგ მან ა. ყ-ს გამოართვა მის ხელში არსებული დანის მსგავსი საგანი, ე. მ-სა და რ. ა-ს განუცხადა, მთლიანად მიეცათ მათთვის ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორივეს დახოცავდა. ამრიგად, ა. ყ-ი, ა. ნ-ი და ე. ი-ვი ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით, დაეუფლნენ ე. მ-სა და რ. ა-ის კუთვნილ თანხას, სულ 4000 ლარს. აღნიშნული ქმედების შედეგად, ე. მ-ს მიადგა 1000 ლარის ქონებრივი, ასევე მორალური ზიანი, ხოლო რ. ა-ს – 3000 ლარის ქონებრივი, ასევე მორალური ზიანი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სიხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 ივნისის განაჩენით:

2.1. ე. ი-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 376-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

2.2. ე. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენყო 2021 წლის 16 სექტემბრიდან.

2.3. ა. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2.4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქმა წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – პირობითი მსჯავრი 3 წლით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. ნ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2021 წლის 16 სექტემბრიდან.

2.5. ა. ყ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2021 წლის 15 სექტემბრიდან.

3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ი-მა ჩაიდინა და-ნაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია მძიმე დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგში:

3.1. ე. ი-მა, ნამდვილად იცოდა, რომ 2021 წლის 15 სექტემბერს, დაახლოებით 04:20 საათიდან 04:27 საათამდე პერიოდში, თ-ი, ჯ-ის ქუჩა №...-ში მდებარე სლოტკლუბ „...-ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ა. ყ-ი და ა. ნ-ი ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით, დაეუფლნენ ე. მ-სა და რ. ა-ის კუთვნილ თანხას, ჯამში 4000 ლარის ოდენობით, თუმცა აღნიშნულის შესახებ არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 იანვრის განაჩენით:

4.1. ბრალდებისა და დაცვის მხარეების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 10 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით მსჯავრდებული ე. ი-ი 2024 წლის 10 მაისს გათავისუფლდა პირობით ვადამდე.

6. კასატორმა – თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი ცეცხლაძემ საკასაციო საჩივრით მოითხოვა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 იანვრის განაჩენში ცვლილების შეტანა ქმედების კვალიფიკაციის კუთხით, კერძოდ: ე. ი-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სამართლიანი სასჯელის შეფარდება.

6.1. კასატორებმა – მსჯავრდებულ ა. ყ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – გ. ნ-მა და გ. ტ-მა საკასაციო საჩივრით მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 იანვრის განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის მინიმუმამდე შემსუბუქების კუთხით.

6.2. კასატორმა – მსჯავრდებულ ა. ნ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. ჩ-მ საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 იანვრის განაჩენის გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ცეცხლაძისა და მსჯავრდებულ ა. ნ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ჩ-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ა. ყ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ნ-სა და გ. ტ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო ადვოკატ კ. ჩ-ის მოთხოვნას მსჯავრდებულ ა. ნ-ის უდანაშაულოდ ცნობისა და მისი გამართლების თაობაზე არ ეთანხმება, რადგან წარმოდგენილ საქმის მასალებში საამისოდ არ მოიპოვება კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი. ამასთან, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ ა. ნ-ის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებში ჩამოყალიბებული დასკვნები ინკრიმინირებულ ქმედებაში მისი ბრალეულობის თაობაზე სავსებით აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული, კანონიერი გზით მოპოვებული, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, კერძოდ: დაზარალებულების – ე. მ-ისა და რ. ა-ის ჩვენებები, მოწმეების – ვ. მ-ის, დ. ჯ-ის, ზ. ა-ის, დ. შ-ისა და სხვათა ჩვენებები, ფოტოსურათით ამოცნობის ოქმები, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმი, ვიდეოჩანაწერები და მათი დათვალიერების ოქმი, ნივთის ამოცნობის ოქმები, განაჩენები და სხვა მტკიცებულებები.

3. მონმის სახით დაკითხულმა დაზარალებულმა ე. მ-მა განმარტა, რომ 2021 წლის 14 სექტემბერს, ღამის საათებში, მეგობარ რ. ა-ნთან ერთად იმყოფებოდა თ-ში, ვ-ში მდებარე კაზინო „...-ში“, სადაც მისმა მეგობარმა წააგო 3000 ლარი და რ. ა-ს სათამაშოდ გადასცა 1000 ლარი. აღნიშნული თანხით მან 4000 ლარი მოიგო. თამაში, დაახლოებით, დილის ხუთ საათზე დაასრულეს. მივიდნენ სალაროსთან, თანხა გაანაღდეს და გავიდნენ კაზინოდან. მოგებული თანხა 50 ლარიანი კუპიურებისგან შედგებოდა. გარეთ გამოსულებმა გაიგონეს, რომ ვილაც ეძახდა აზერბაიჯანულ ენაზე. მისთვის უცნობმა მამაკაცმა უთხრა, რომ მათთან საქმე ჰქონდათ. გზაზე სანახევროდ გადასულები იყვნენ, თუმცა უკან მობრუნდნენ. ორივე მათგანს ხელმკლავი გამოსდეს და გაუმეორეს, რომ მათთან საქმე ჰქონდათ. ერთი მამაკაცი მათ გაცნო და უთხრა, რომ ერქვა ა-ი. მისმა თანმხლებმა მეორე პირმა, რომელიც მოგვიანებით ადგილზე დააკავა პოლიციამ, დანა ამოიღო. სალაპარაკოდ ჩიხში შესვლა მოსთხოვეს, რომელიც იქვე, დაახლოებით, 100 მეტრში მდებარეობს. მკლავზე მოჰკიდეს ხელი და ისე გადაიყვანეს გზაზე. უშუალოდ მას მკლავზე ხელი მოჰკიდა დანიანმა მამაკაცმა, ხოლო მის მეგობარ რ. ა-ს – ა. ნ-მა. აღნიშნულმა მამაკაცებმა ისინი ძალით შეიყვანეს ჩიხში. დანა ამოიღო იმ პირმა, რომელიც ადგილზე დააკავეს. იგი ხელში ათამაშებდა დანას და სთხოვდა ნებაყოფლობით გადაეცათ ფული. რ. ა-ს ფულის გადაცემა არ უნდოდა. ჩიხში იმყოფებოდნენ, როდესაც ა. ნ-მა მეორე მამაკაცს დანა გამოართვა. ამ მომენტში პოლიციაში დასარეკად ტელეფონი ამოიღო. მოულოდნელად ა. ნ-მა დაარტყა და მობილური ტელეფონი წაართვა. თან ეკითხებოდა, თუ სად რეკავდა. სწორედ ამ დროს, ა-მა დანა მიაღო რ. ა-ს, რომელიც იძულებული გახდა, თანხა გადაეცა მისთვის. ა. ნ-ს ხელი მოკიდებული ჰქონდა რ. ა-ის. უშუალოდ მასთან იმყოფებოდა პირი, რომელიც დააკავეს და თავდაპირველად დანა ეჭირა. ა. ნ-მა მეორე მამაკაცს დანა იმიტომ წაართვა, რომ მისთვის მიემჯირა და ფული წაერთმია. სწორედ აღნიშნული დანის მუქარით გამოართვეს ფული. მათთან იყო მესამე პირიც. იგი არც არავის დამუქრებია და არც რაიმე მოუმოქმედებია.

4. მონმის სახით დაკითხულმა დაზარალებულმა რ. ა-მა განმარტა, რომ 2021 წლის 14 სექტემბერს, ღამის საათებში, მეგობარ ე. მ-თან ერთად იმყოფებოდა თ-ში, ვ-ში მდებარე კაზინო „...-ში“; თან ჰქონდა 3000 ლარი, რომელიც წააგო. ამის შემდეგ, ე. მ-მ ასესხა 1000 ლარი, რომლითაც გააგრძელა თამაში და მოიგო 4200 ლარი. ამ თანხიდან 3200 ლარი მას ეკუთვნოდა, ხოლო 1000 – ე. მ-ს. სალაროში აიღო მთლიანი თანხა, რომელიც 50-ლარიანი კუპიურებისგან შედგებოდა. თანხა ჩაიდო ჯიბეში და დაახლოებით ხუთის ნახევარზე გავიდნენ კაზინოდან. წინ მიდიოდა ე. მ-ი, თვითონ უკან მიჰყვებოდა. ამასობაში კაზინოდან გამო-

ვიდა სამი პირი, რომლებმაც აზერბაიჯანულ ენაზე დაუძახეს და უთხრეს, დაბლა ჩასულიყვნენ, რადგან სასაუბრო ჰქონდათ. მკლავში ხელი გაუყარეს და გვერდით გაიყვანეს. ერთმა თქვა, რომ ა-ი ერქვა. უშუალოდ მას ა-მა მოჰკიდა ხელი, მეორე ახალგაზრდამ, რომელიც ხელში დანას ათამაშებდა – ე. მ-ს და გვერდზე გავიდნენ. დანიანმა მამაკაცმა ე-ს უთხრა, რომ მათთვის ფული უნდა მიეცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე ცუდად იქნებოდა. ჩაიყვანეს ავტოგასამართი სადგურის გვერდითა ქუჩაზე, რომელიც სუსტად იყო განათებული და სწორედ იქ მოსთხოვეს თანხა. მან დააპირა თანხის გადაცემა, მაგრამ ელმარმა უთხრა, დაცადა. ამ დროს ა. ნ-მა ხელი დაარტყა ელმარს, რის შემდეგაც მას ფული მისცა. მესამე პირი, უბრალოდ, იდგა. არაფერი უთქვამს და არც რაიმე მოუმოქმედებია. ე-ს უნდოდა პოლიციაში დარეკვა თავისი მობილური ტელეფონით. ამ დროს ა. ნ-მა მას მობილური ტელეფონი წაართვა. თანხა უშუალოდ ა. ნ-ს გადასცა. ელმარი დაუკავშირდა პოლიციას და შეატყობინა მომხდარის შესახებ. დაახლოებით ერთ ნუთში შემთხვევის ადგილზე მივიდა პოლიციის ორი თანამშრომელი, მათ დააკავეს პირი, რომელსაც დანა ეჭირა. დაზარალებულის განმარტებით, მისთვის წარდგენილი ოთხი ფოტოსურათიდან ამოიცნო ჯერ ა. ნ-ი, შემდეგ მასთან ერთად მყოფი მეორე პირი.

5. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დაზარალებულთა ჩვენებებში რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა არ გამოვლენილა. მცირე უზუსტობები, რომელიც შესაძლოა შეინიშნებოდეს ე. მ-სა და რ. ა-ის ჩვენებებში, გავლენას ვერ ახდენს მათ მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაციის სანდოობაზე და არ მიანიშნებს დაზარალებულთა მიკერძოებულობაზე. დაზარალებულები როგორც გამოძიების ეტაპზე გამოკითხვისას, ფოტოსურათით ამოცნობისას, ასევე სასამართლოში დაკითხვის დროსაც უმთავრესად იყვნენ თანმიმდევრულები. მათ დეტალურად აღწერეს სისხლის სამართლის საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ძირითადი გარემოებები და დანვრილებით მიუთითეს, რომელმა თავდამსხმელმა რა მოიმოქმედა მათ მიმართ. რაიმე არსებითი ხასიათის უზუსტობა მათ ჩვენებებში არ დაფიქსირებულა. მტკიცებულებათა გამოკვლევისას არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც დაზარალებულების მიკერძოებულობას ან მსჯავრდებულის პიროვნებით დაინტერესებაზე მიანიშნებდა. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას, დაზარალებულების ვერბალური და არავერბალური ქცევა იძლეოდა მათი ჩვენებების სანდოობის საფუძველს.

6. მსჯავრდებულმა ა. ნ-მა მისთვის წარდგენილ ბრალდებაში თავი ნაწილობრივ სცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ 2021 წლის 14 სექტემბერს, სოფელ ყ-ან ჩამოვიდა თ-ი მამასთან – ე. ი-სა და მეუღლეს-

თან – მ. მ-თან ერთად. მეორე დილას აპირებდა ბათუმში წასვლას, ავტომანქანის საჯარიმო ავტოსადგომიდან გამოსაყვანად. თ-ში იმყოფებოდნენ ე. ი-ის ბინაში. რამდენჯერმე გავიდნენ ბინიდან, პროდუქტები იყიდეს და მალევე დაბრუნდნენ. ღამის საათებში, ე. ი-სა და ა. ყ-თან ერთად შევიდა კაზინოში. გამოსვლისას დაინახეს დაზარალებულები. ისინი გზაზე გადადიოდნენ. დაუძახა მათ და მარტო გაჰყვა სასაუბროდ. ე. ი-ი და ა. ყ-ი ადგილზე დარჩნენ. ფული ორივეს სთხოვა, გამოართვა და წამოვიდა უკან. ე-ი და ა-ი ვერ ხედავდნენ, რას ესაუბრებოდა დაზარალებულებს. დაბრუნებისას ჰკითხეს, თუ რა მოხდა, უპასუხა, რომ არაფერი მომხდარა, რის შემდეგაც წამოვიდნენ. ა-ი დაემშვიდობა მათ და წავიდა. სახლში რომ დაბრუნდა, ე-მა კვლავ ჰკითხა, თუ რა მოხდა. ამჯერადაც არაფერი უპასუხა მას. დაზარალებულების ჩვენება სინამდვილეს არ შეესაბამება. იტყუებიან, რადგან იგი მარტო იყო მათთან შეხვედრაზე.

7. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დაზარალებულების ჩვენებებში გაჟღერებული ძირითადი ფაქტობრივი გარემოებები გამყარებულია სხვა მტკიცებულებებითაც, კერძოდ:

8. ფოტოსურათით ამოცნობის ოქმის თანახმად, 2021 წლის 16 სექტემბერს დაზარალებულმა ე. მ-მა მისთვის წარდგენილი ოთხი ფოტოსურათიდან ამოიცნო №3 ფოტოზე დაფიქსირებული პირი, რომელმაც დააყაჩაღა 2021 წლის 15 სექტემბერს და რომელსაც ჰქვია ა-ი. აღნიშნული პირი მან ამოიცნო ასაკით, თმის ფერით, თვალებით, წარბების ფორმითა და ზომით, კანის ფერით, ცხვირით, ტუჩებით, მთლიანი აგებულებით.

9. ფოტოსურათით ამოცნობის ოქმის თანახმად, 2021 წლის 16 სექტემბერს დაზარალებულმა რ. ა-მა მისთვის წარდგენილი ოთხი ფოტოსურათიდან ამოიცნო №1 ფოტოზე დაფიქსირებული პირი, რომელმაც დააყაჩაღა 2021 წლის 15 სექტემბერს და რომელსაც ჰქვია ა-ი. აღნიშნული პირი მან ამოიცნო ასაკით, კანის ფერით, თმითა და წვერით, მსხვილი შავი წარბებით, თვალებით, ცხვირითა და ტუჩებით, ასევე საერთო აგებულებით.

10. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული ვიდეოჩანაწერებითა და მათი დათვალიერების ოქმით დასტურდება, რომ სლოტკლუბ „...-ის“ გარე პერიმეტრზე ფიქსირდება თ-ი, ჯ-ის ქუჩაზე არსებული საავტომობილო გზა. ჩანაწერის დროით 04:19:00 საათზე კადრში ჩნდებიან ა. ნ-ი, ე. ი-ი და ა. ყ-ი, რომლებიც შედიან სლოტკლუბში. კამერების დროით 04:20:30 საათზე, სლოტკლუბიდან გამოდიან ე. მ-ი და რ. ა-ი, რომლებიც გადადიან საავტომობილო გზაზე. კამერების დროით 04:24:12 საათზე კაზინოდან გამოდიან მსჯავრდებულები, ეძახიან მათ და აბრუნებენ უკან. შემდეგ სლოტკლუბიდან ასევე გამოდიან სხვა პირები, რომლე-

ბიც აჩერებენ ტაქსის და მიდიან. მსჯავრდებული და დაზარალებულე-
ბი, კამერიდან ოდნავ მოშორებით, ისე რომ კადრიდან არ გასულან, ლა-
პარაკობენ. კამერების დროით 04:21:10 საათზე კი გადიან კადრიდან.
04:35:30 საათზე, მოდის საპატრულო პოლიცია, შემდეგ ემატებიან სხვა
ეკიპაჟებიც. მომდევნო ვიდეოჩანაწერში ჩანს სალარო და იქ მყოფი მო-
ლარე-თანამშრომელი. 04:28:36 საათზე, კადრში ჩანან დაზარალებუ-
ლები – ე. მ-ი და რ. ა-ი. 04:30:04 საათზე, მოლარე რ. ა-ს აწვდის 50-
ლარიან კუპიურებს. 04:30:23 საათზე გადიან კადრიდან. მომდევნო ვი-
დეოჩანაწერში, 04.16.03 საათზე, ჩანს, თუ როგორ მიდიან სალაროს-
თან დაზარალებულები – ე. მ-ი და რ. ა-ი; მათ რამდენიმე წუთი დაჰყევს
ადგილზე და 04.17.52 საათზე გადიან სალაროდან. 04.18.22 საათზე, კად-
რში ჩნდებიან მსჯავრდებულები ა. ნ-ი, ე. ი-ი და ა. ყ-ი, რომლებიც ტრი-
ალებენ სლოტკლუბის დარბაზში, 04.18.56 საათზე კი გადიან კადრი-
დან.

11. მოწმის სახით დაკითხვისას დეტექტივმა ვ. მ-მა განმარტა, რომ
2021 წლის 15 სექტემბერს ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას,
თანამშრომელთან – დ. ჯ-ან ერთად და ავტომანქანით გადაადგილდე-
ბოდა თ-ი, ვ-ში, ჯ-ს ქუჩაზე. დაახლოებით დილის ხუთის ნახევარზე,
ხელის რადიოსადგურზე მიიღეს შეტყობინება, რომ ჯ-ის ქუჩაზე, სა-
თამაშო კლუბ „...-თან“ მოხდა დაყაჩაღება. ვინაიდან იყო მათი სამოქ-
მედო ტერიტორია, ერთ წუთში მივიდნენ ადგილზე. სავალ ნაწილზე დახ-
ვედათ ორი დაზარალებული. ისინი აზერბაიჯანის მოქალაქეები იყვნენ.
ჰკითხეს მათ, თუ რა ხდებოდა, რაზეც აღნიშნულმა პირებმა განმარ-
ტეს, რომ გამოძახების ინიციატორები იყვნენ. ასევე, განაცხადეს, რომ
მოიგეს თანხა 4000 ლარი. კლუბიდან გამოსვლის შემდეგ, იქვე ახლოს
მდებარე ჩიხში დააყაჩაღეს, დანის მუქარით. თავდამსხმელების ვინა-
ობას ვერ ასახელებდნენ, თუმცა ამბობდნენ, რომ იყვნენ აზერბაიჯა-
ნელები. დაზარალებულებმა მიუთითეს თ-ი, ჯ-ის ქუჩის კვეთაზე არ-
სებულ შ-ის ქუჩისკენ და განმარტეს, რომ თავდამსხმელები სწორედ
იქით წავიდნენ. მაშინვე გაემართნენ აღნიშნული ქუჩისკენ, რომელიც
განათებული იყო ლამპიონებით. მათ უკან მოდიოდნენ დაზარალებუ-
ლები. დაახლოებით 15 მეტრის გავლის შემდეგ დაინახეს სამი პირი. თავ-
ად პოლიციის ფორმები ეცვათ. როგორც კი მოუახლოვდნენ მათ, ორი
მათგანი გაიქცა. მესამე აპირებდა კორპუსის კიბეებზე ასვლას, რა დრო-
საც შეაჩერეს და დააკავეს.

12. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა მოწმის სახით და-
კითხვისას დეტექტივმა დ. ჯ-მა.

13. მოწმის სახით დაკითხულმა, საქართველოს შს სამინისტროს თბი-
ლისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-
8 განყოფილების გამომძიებელმა დ. შ-მ აღნიშნა, რომ მოცემულ სის-

ხლის სამართლის საქმეზე თანამშრომელმა ზ. ქ-მ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ყაჩაღურად დაუფლებულ თანხას ხელჩანთაში ინახავდა ა. ნ-ს მეუღლე – მ. მ-ი. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, პირადად გაჩხრიკა პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც მოწმე გადმოყვანილ იქნა ქ. ბ-დან. პირადი ჩხრეკის შედეგად მ. მ-ის ხელჩანთიდან ამოიღო ფულადი თანხა და ორი საფულე. ერთი იყო შავი ფერის ტყავის მასალისგან დამზადებული, ხოლო მეორე – ვარდისფერი. ორივე საფულეში აღმოჩნდა ფული, რაც ასევე ამოღებულ იქნა, ჯამში 1081 ლარი, 50 ამერიკული აშშ დოლარი და ხურდა ფული. ყველა ინფორმაცია დააფიქსირა ჩხრეკის ოქმში.

14. პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, 2021 წლის 16 სექტემბერს, ისანი-სამგორის შს სამმართველოს გამოძიებელმა დ. შ-მ გაჩხრიკა მ. მ-ი, რა დროსაც ამოუღო ხელჩანთაში არსებული ორი საფულე. ერთი იყო შავი ფერის ტყავის მასალისგან დამზადებული, ხოლო მეორე – ვარდისფერი, მათში მოთავსებული ფულადი თანხით, ჯამში – 1081 ლარი და, 50 აშშ დოლარი. მოწმის განმარტებით, ტყავის მასალისგან დამზადებულ საფულეში არსებული თანხა ეკუთვნოდა ე. ი-ს.

15. მოწმის სახით დაკითხულმა, საქართველოს შს სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-8 განყოფილების გამოძიებელმა რ. ხ-მა განმარტა, რომ მისთვის ცნობილია 2021 წლის 15 სექტემბერს, თ-ი, ჯ-ის ქუჩაზე მდებარე სლოტკლუბში მომხდარი ყაჩაღობის თაობაზე. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე იმავე დღეს, მიიღეს ოპერატიული ინფორმაცია, რომ დანაშაულში სავარაუდოდ მონაწილე ე. ი-ი და ა. ნ-ი მეუღლესთან – მ. მ-ან ერთად, იმყოფებოდნენ ბ-ში, საპატრულო პოლიციის შენობაში, თან უნდა ჰქონოდათ დანაშაულებრივი გზით დაუფლებული თანხა. დაუყოვნებლივ გაემართნენ ბ-ში, ჩააბარეს უწყებები ზემოაღნიშნულ პირებს და გაჩხრიკეს. ამის შემდეგ ისინი წამოიყვანეს თ-ში. არცერთ მათგანს სხეულზე ძალადობის კვალი არ ეტყობოდა და არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ. ყველა მოქმედებას ესწრებოდა აზერბაიჯანული ენის თარჯიმანი. მოწმემ გამოკითხა ისინი და შეადგინა შესაბამისი ოქმები. გარდა ამისა, სლოტკლუბიდან გამოითხოვა ინფორმაცია – ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები. კადრში ჩანს, თუ როგორ თამაშობენ დაზარალებულები, შემდეგ როგორ მიდიან სალაროსთან, ანაღებენ ფულად თანხას და გადიან. უკან მიჰყვებიან მსჯავრდებულები. დაზარალებულები გადადიან გზაზე. მათ ეძახიან მსჯავრდებულები, აჩერებენ, საუბრობენ ერთმანეთში, ამის შემდეგ ყველანი გადიან ჩიხში. საბოლოოდ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ჩნდებიან. მსჯავრდებულები ამოიცნო ვიდეოკამერების ჩანაწერებში.

16. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადგენილია, რომ 2021 წლის 15 სექტემბერს, დაახლოებით 04:20 საათიდან 04:27 საათამდე დროის პერიოდში, თ-ი, ჯ-ის ქუჩა №...-ში მდებარე სლოტკლუბ „...-ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ა. ნ-ი ჯგუფურად, ა. ყ-თან ერთად, ფულადი თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დანის მსგავსი საგნის დემონსტრირებით, დაეუფლა ე. მ-სა და რ. ა-ს კუთვნილ თანხას, ჯამში 4000 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედების შედეგად, ე. მ-ს მიადგა 1000 ლარის ქონებრივი, ასევე მორალური ზიანი, ხოლო რ. ა-ს – 3000 ლარის ქონებრივი, ასევე მორალური ზიანი.

17. ყაჩაღობის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი (დამამძიმებელი) ნიშანია ქმედების ჩადენა ჯგუფურად. ჯგუფური დანაშაულის განმარტება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში, რომლის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. განსახილველ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ჯგუფურად ქმედების ჩადენასთან. ა. ნ-ი და ა. ყ-ი მოქმედებდნენ შეთანხმებულად: ერთად მივიდნენ დაზარალებულთან, მკლავზე ხელი გაუყარეს და გაიყვანეს ნაკლებად განათებული ქუჩისკენ; თავდაპირველად ა. ყ-ის, ხოლო შემდგომში – ა. ნ-ის მიერ დანისმაგვარი საგნის დემონსტრირებით, ჯანმრთელობის დაზიანების მუქარით დაზარალებულებს გასტაცეს ფულადი თანხა 4000 ლარის ოდენობით და მომხდარის შესახებ პოლიციაში გაცხადების შემთხვევაში დაემუქრნენ მოკვლით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში. მოცემულ შემთხვევაში, ორივე პირმა ჩაიდინა ერთი და იგივე უმართლობა; შესაბამისად, ა. ნ-ი და ა. ყ-ი წარმოადგენენ დანაშაულის თანაამსრულებებს.

18. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდა ა. ნ-ის მიერ ყაჩაღობის ჩადენა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით თავდასხმის ჩადენა ჯგუფურად, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლვეი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის.

19. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ბრალდების მხა-

რის მოთხოვნას ე. ი-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების შესახებ, ვინაიდან ამ ნაწილშიც სრულად ეთანხმება პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მოტივაციას, რომლითაც მსჯავრდებულის მიმართ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 376-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

20. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ბრალდებულს არ უნდა შეე-
რაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და და-
მაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოე-
ული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმედება
უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყო-
ველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან და-
კავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის
22 იანვრის № 1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზუ-
რაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43).

21. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით
კრიმინალიზებულია ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივ-
თის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოც-
ხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი
ძალადობის გამოყენების მუქარით. ყაჩაღობის ობიექტური მხარე გა-
მოიხატება სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად თავდასხმაში, რა-
საც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადო-
ბა ან/და ასეთი ძალადობის მუქარა. გარდა ამისა, ყაჩაღობის საშიშრო-
ებიდან გამომდინარე, იგი მიეკუთვნება ფორმალურ დანაშაულის შე-
მადგენლობათა რიცხვს და დამთავრებულია ყაჩაღური თავდასხმის მო-
მენტიდან. ყაჩაღობის ხელყოფის უშუალო ობიექტია, როგორც ქონე-
ბრივი ურთიერთობა, ასევე ადამიანის ჯანმრთელობა. იმისთვის, რომ
თავდასხმა ჩაითვალოს ყაჩაღობად აუცილებელია თვით დანაშაულის
მსხვერპლს წარმოექმნას განცდა იმისა, რომ თავდამსხმელის მხრი-
დან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა
განხორცილებადი, რეალური და იმავდროულია, რასაც მოცემულ შემ-
თხვევაში ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ყაჩაღობის დროს აუცილებე-
ლია, რომ თავდასხმა, როგორც სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინა-
აღმდეგოდ დაუფლების კონკრეტული საშუალება – ხერხი, წინ უნდა
უსწრებდეს თავდამსხმელის მიერ სხვისი ნივთის მიღების ფაქტს; ამას-
თან, დანაშაულის შემადგენლობისთვის აუცილებელი არ არის კონკრე-
ტული შედეგის დადგომა. ყაჩაღობის სუბიექტური მხარე ხასიათდება
პირდაპირი განზრახვით. პირს გაცნობიერებული აქვს, რომ მართლსა-
წინააღმდეგოდ, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძა-

ლადობის გამოყენების მუქარით ეუფლება სხვის ნივთს, ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედების შედეგად ზიანს აყენებს მესაკუთრეს, ან ქონების მფლობელს და მაინც სურს მიაყენოს ეს ზიანი.

22. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ წარდგენილი ბრალდებით პირის მსჯავრდებისათვის უნდა არსებობდეს შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადგინდება პირველრიგში ფაქტის არსებობა, შემდეგ უნდა არსებობდეს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დასტურდება ბრალდებულის დანაშაულებრივი კავშირი ფაქტთან და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება უკვე ქმედების სამართლებრივი შეფასება.

23. მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარის მიერ საქმეში წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულებით უტყუარად არ დასტურდება ე.მ-ისა და რ. ა-ის მიმართ ჩადენილ ყაჩაღობაში ე. ი-ის მონაწილეობის ფაქტი. დაზარალებულებმა, რომლებმაც სასამართლოს მისცეს ამომწურავი ჩვენებები, ნათლად და ერთმნიშვნელოვნად განმარტეს, რომ სხვა მსჯავრდებულებთან ერთად, ე. ი-ი ნამდვილად იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, ისმენდა საუბარს; თუმცა მას რაიმე აქტიური მოქმედება არ ჩაუდენია და არც თანხის წართმევაში მიუღია მონაწილეობა. ამდენად, დაზარალებულთა ჩვენებებით ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის ნიშნები არ გამოკვეთილა.

24. როგორც ზემოთ აღინიშნა, წარდგენილი ბრალდებით (ყაჩაღობა) მსჯავრდებისთვის აუცილებელია რამდენიმე კრიტერიუმის არსებობა – თავდასხმის, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის და ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარის დადასტურება. იმ პირობებში, როდესაც, დაზარალებულებმა გამოორიქხეს ა. ნ-სა და ა. ყ-თან ერთად მყოფი მესამე პირის – ე. ი-ის ყაჩაღობაში მონაწილეობა, მისი მხრიდან თავდასხმის არსებობა, ისევე, როგორც სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა, ხოლო ფაქტის უშუალო თვითმხილველი სხვა მონმე, საქმის ირგვლივ არ დაკითხულა. რაც შეეხება საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეულ წერილობით მტკიცებულებებს (მათ შორის სლოტკლუბ „...-ის“ შიდა და გარე სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერები), ირიბადაც კი ვერ ადასტურებენ დაზარალებულებზე ჩადენილ ყაჩაღურ თავდასხმაში ე. ი-ის მონაწილეობას.

25. საკასაციო საჩივარში პროკურორმა გიორგი ცეცხლაძემ აღნიშნა, რომ ე. ი-ი არანაირ უარყოფით დამოკიდებულებას არ გამოხატავდა ა. ნ-სა და ა. ყ-ის ქმედებების მიმართ, დუმილით და ფიზიკურად გვერდით ყოფნით უცხადებდა მათ მხარდაჭერას, რაც უნდა შეფასდეს ყაჩაღობად და არა უბრალოდ შემთხვევის ადგილზე ყოფნად.

26. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ მითითებული გარემოებები წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდებზე აგებულ მსჯელობას და ვერ მიიჩნევა წარდგენილ ბრალდებაში გამამატყუნებელი განაჩენის დადგენის ერთ-ერთ საფუძვლად. საქმეში არსებული მტკიცებულებებით ცალსახად დგინდება, რომ ე. ი-ის ქმედებაში ნამდვილად არის დანაშაულის ნიშნები, თუმცა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება ყაჩაღობისათვის დამახასიათებელი სავალდებულო ნიშნების არსებობა. აღნიშნული ბრალდების დასადასტურებლად საჭირო იყო დამატებითი აშკარა და უტყუარ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

27. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კრიმინალიზებულია დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე დანაშაული. მოცემული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება დამნაშავის პასიურ ქცევაში, უმოქმედობაში, კერძოდ, კომპეტენტური ორგანოებისათვის შეუტყობინებლობაში, რომ ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. აღნიშნულ ორგანოებს პირველ რიგში ცალსახად განეკუთვნებიან პროკურატურა, პოლიცია (სამართალდამცავი ორგანოები), რომელთა უშუალო მოვალეობაც არის შესაძლო დანაშაულის გამოძიება და დამნაშავეობასთან ბრძოლა, ხოლო გარდა ზემოაღნიშნული ორგანოებისა, ასევე შესაბამის ორგანოებს მიეკუთვნებიან ხელისუფლების და მმართველობის სხვა ორგანოებიც (მაგ. სასჯელაღსრულების შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები, სახალხო დამცველის აპარატი და ა.შ.). ამასთან, კანონში მითითებული არ არის დრო (ვადა), რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს დანაშაულის შესახებ შეტყობინება. ცხადია, რომ ეს ვადა სხვადასხვაა და დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე, რის საფუძველზეც უნდა შეფასდეს, რომ პირს რეალურად შეეძლო შეეტყობინებინა დანაშაულის შესახებ. შეტყობინება დანაშაულის შესახებ აუცილებელია გაკეთდეს უმოკლეს ვადაში. პირი პასუხს აგებს შეუტყობინებლობისთვის, თუ მას რეალური შესაძლებლობა ჰქონდა ეცნობებინა სათანადო ორგანოსათვის დანაშაულის ჩადენის შესახებ. ასეთი შესაძლებლობის არარსებობა გამორიცხავს პასუხისმგებლობას. ამასთან, პირის ცოდნა, რომ ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ნამდვილი უნდა იყოს. აღნიშნული გულისხმობს კონკრეტულ, სარწმუნო ინფორმაციის ცოდნას დანაშაულის ხასიათსა და შინაარსზე ან იმ პირზე, ვინც ჩაიდინა დანაშაული ან/და ორივეს შესახებ ერთად. ამასთან, ცოდნის ნამდვილობა შესაძლოა ემყარებოდეს პირად დაკვირვებას, რომლის თვითმხილველიც პირი გახდა, ასევე, დამნაშა-

ვესთან საუბრიდან გაგება, რომ ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

28. განსახილველ დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს და, როგორც წესი, დენადი ფორმით ხორციელდება. იგი დამთავრებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა პირისათვის ცნობილი გახდა, რომ ნამდვილად ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, მას რეალური შესაძლებლობა აქვს შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს, მაგრამ ამას არ აკეთებს. დანაშაულის შეუტყობინებლობა პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.

29. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, რომლის თანახმად საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები – მოწმეების, მათ შორის თავად დაზარალებულების – ე. მ-სა და რ. ა-ის ჩვენებები ცალსახად იძლევა დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ ე. ი-ი, რომლებიც უშუალოდ გახდა შემთხვევის ადგილზე განვითარებული მოვლენების თვითმხილველი, ფლობდა ინფორმაციას ე. მ-ისა და რ. ა-ს მიმართ ჩადენილი ყაჩაღობის თაობაზე. დაზარალებულების მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებებით, რომელთა გულწრფელობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, უტყუარადაა დადასტურებული, რომ ა. ნ-ისა და ა. ყ-ის მიერ მათზე თავდასხმის ჩადენისას ე. ი-ი იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე თვალყურს ადევნებდა აღნიშნულ პირთა ქმედებებს და მათთან ერთად დატოვა შემთხვევის ადგილი. დაზარალებულების ჩვენებების გარდა, 2021 წლის 15 სექტემბერს, თ-ი, ჯ-ის ქუჩა №...ში მდებარე სლოტკლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ყაჩაღობის ადგილზე, ა. ნ-სა და ა. ყ-თან ერთად ე. ი-ის ყოფნასა და დანაშაულის ჩადენის შესახებ მის ინფორმირებულობას ადასტურებს 2021 წლის 16 სექტემბრის ფოტოსურათით ამოცნობის ოქმები, რომელთა თანახმად, ე. მ-მა და რ. ა-მა მათთვის წარდგენილი ოთხი პირის ფოტოსურათიდან ამოიცნეს ე. ი-ი, რომელიც, მათივე განმარტებით, 2021 წლის 15 სექტემბერს თან ახლდა ყაჩაღებს, იდგა ოდნავ მოშორებით და ფულის მოთხოვნაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა ყაჩაღებთან ერთად გაიქცა.

30. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული და საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ე. ი-მა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე დანაშაული.

31. საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო პალატის გადანყვეტილებას მსჯავრდებულების – ა. ნ-ისა და ა. ი-ის სასჯელების

განსაზღვრის ნაწილში. სასამართლო სასჯელის სამართლიანობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულების – ა. ნ-სა ა. ი-ის შეფარდებული სასჯელები შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. სააპელაციო სასამართლომ სრულად შეაფასა სასჯელის დანიშვნის როგორც ზოგად-სავალდებულო გარემოებები და პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, ისე – საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობანი (დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის პიროვნება) და მათ განუსაზღვრა ისეთი სასჯელები, რომლებიც მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებშია.

32. მსჯავრდებულ ა. ყ-ის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა დადგენილია ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: თავად მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულების – ე. მ-ისა და რ. ა-ს ჩვენებებით, მოწმეების – ვ. მ-ის, დ. ჯ-ის, ზ. ა-ის, დ. შ-ისა და სხვათა ჩვენებებით, ფოტოსურათით ამოცნობის ოქმებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, ინფორმაციის გამოთხოვის ოქმით, ვიდეოჩანაწერებითა და მათი დათვალიერების ოქმით, ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, რასაც სადავოდ არც კასატორები ხდიან.

33. მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარემ მოითხოვა მხოლოდ მსჯავრდებულ ა. ყ-ისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

34. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სისხლის სამართალწარმოების სამართლიანობა ვლინდება სამართლიანი სასჯელის დაკისრებაში, რა დროსაც სასამართლო შებოჭილია ვალდებულებით, რომ მის მიერ დანიშნული სასჯელი იყოს ეფექტიანი და პროპორციული. სასჯელის პროპორციულობა გულისხმობს მის გამოყენებას მნიშვნელოვნად ინდივიდუალიზებული სახით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დანაშაულის სიმძიმე, დამნაშავის ბრალი და დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანი (კონკრეტული დაზარალებულისთვის თუ საზოგადოებისთვის).

35. საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს ასევე საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯე-

ლის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

36. სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას უნდა გაითვალისწინოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით დადგენილი სასჯელის მიზანი: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ამავდროულად მე-2 ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება.

37. ა. ყ-ისათვის შეფარდებულ სასჯელთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს შემდეგს: მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლების, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, – პირველადაა სამართალში, აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, დაზარალებულებს სრულად აუნაზღაურა მიყენებული ზიანი, მათ მსჯავრდებულის მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ და ითხოვენ კანონით გათვალისწინებული შეღავათის განევას (რაც ასევე დასტურდება სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი დაზარალებულ ე. მ-ის სანოტარო წესით დამონშებული განცხადებით), – სამართლიანი იქნება სასამართლოს მიერ მისთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება 1 წლით და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, რაც საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმია. შესაბამისად, გასაჩივრებულ განაჩენში, კერძოდ, სასჯელის ნაწილში, უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

38. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ცეცხლაძისა და მსჯავრდებულ ა. ნ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ჩ-ის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო, ხოლო მსჯავრდებულ ა. ყ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ნ-სა და გ. ტ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება მსჯავრდებულ ა. ყ-ის მიმართ შეფარდებული სასჯელის ნაწილში უნდა შეიცვალოს, ხოლო მსჯავრდებულების – ა. ნ-ისა და ე. ი-ის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის

301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ცეცხლაძისა და მსჯავრდებულ ა. ნ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ჩ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. მსჯავრდებულ ა. ყ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ნ-სა და გ. ტ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 24 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3.1. ე. ი-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 376-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე;

3.2. ე. ი-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 16 სექტემბრიდან;

3.3. ა. ნ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯოს 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა – 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთამ შთანთქას წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვლილი აქვს პირობით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ა. ნ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 16 სექტემბრიდან;

3.5. ა. ყ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯე-

ლის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 15 სექტემბრიდან;

4. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთიერი მტკიცებულებები:

– ე. მ-ან ამოღებული მობილური ტელეფონი დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მესაკუთრის ნდობით აღჭურვილ პირს;

– ა. ყ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული პირადი ნივთები, დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მესაკუთრის ნდობით აღჭურვილ პირს;

– ა. ნ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ფულადი თანხა, დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მესაკუთრის ნდობით აღჭურვილ პირს;

– ე. ი-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონი, დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მესაკუთრის ნდობით აღჭურვილ პირს;

– მ. მ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული საფულე და ფულადი თანხა, დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მესაკუთრის ნდობით აღჭურვილ პირს;

– სლოტ კლუბი შპს „-დან“ გამოთხოვილი ინფორმაცია ვიდეოჩანაწერების სახით, ორ ცალ ლაზერულ დისკზე, რაც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით;

– ანაწმენდები დანისმაგვარი საგნიდან, ა. ყ-ის, ა. ნ-სა და ე. ი-ან აღებული ნერწყვის ნიმუშები განადგურდეს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად;

5. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

**ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს გააჩნდათ
კონკრეტული ცეცხლსასროლი იარაღების
მართლზომიერად ფლობის უფლება, თუმცა – სხვა
მისამართზე, არ ქმნის სხვა მოცემულობას, რომელიც
შეუძლებელს გახდის მათი ქმედების დაკვალიშვინებას
სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ

№1192აპ-23 4 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 სექტემბრის განაჩენზე შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურორის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ნინო ზურაბაშვილის, მსჯავრდებულების – რ. ფ-სა და კ. გ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. გ-ის საკასაციო საჩივრების დასაშვებობის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. კ. გ-ს, – დაბადებულს ... წლის ... აპრილს, – ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვა ჯგუფურად; ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გასაღება (ორი ეპიზოდი); ხოლო რ. ფ-ს, – დაბადებულს .. წლის ... მარტს, – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა; ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა (ორი ეპიზოდი); ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვა ჯგუფურად, რაც გა-მოიხატა შემდეგში:

2022 წლის 1 ივნისს კ. გ-მ და რ. ფ-მა თ-ან ქ-ში, ნ-ს ქუჩის №...-ში

ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგოდ გადაზიდეს კ. გ-ას მიერ შეძენილი „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „H/K-USP COMPACT 27-ისა“ და „SIG-SAUER-P 365-ის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღები;

კ. გ-მ შეიძინა და 2022 წლის 1 ივნისს ქ. ქ-ში, ნ-ს ქ-ს №..-ში რ. ფ-ზე მართლსაწინააღმდეგოდ გაასალა „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „H/K-USP COMPACT 27-ისა“ და „SIG-SAUER-P 365-ის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღები, რომლებიც 2022 წლის 7 ივნისს ამოიღეს პოლიციის თანამშრომლებმა;

2022 წლის 2 ივნისს, ქ. თ-ში, გ. ფ-ძის ქუჩის №..-ში მდებარე ოფისში რ. ფ-მა კ. გ-ნ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „GLOCK-42“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი და მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა ამავე ოფისში მდებარე მაგიდის უჯრაში, რომლიდანაც ამოიღეს 2022 წლის 2 ივნისს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად;

2022 წლის 1 ივნისს რ. ფ-მა კ. გ-ნ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „H/K-USP COMPACT 27-ისა“ და „SIG-SAUER-P 365-ის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღები, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა ქ. ქ-ში, ნ-ს ქუჩის №..-ში, საიდანაც ისინი ამოიღეს 2022 წლის 7 ივნისს;

2022 წლის 2 ივნისს ქ. თ-ში, გ. ფ-ს №..-ში მდებარე ოფისში კ. გ-მ რ. ფ-ზე მართლსაწინააღმდეგოდ გაასალა „GLOCK-42“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც რ. ფ-ანი მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ამავე ოფისში მდებარე მაგიდის უჯრაში, რომლიდანაც ამოიღეს 2022 წლის 2 ივნისს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად;

რ. ფ-მა 2022 წლის 29 აპრილს შეიძინა „SIG-SAUER-P365“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც უნდა შეენახა ქ-ში, ნ-ს ქუჩის №..-ში. რ. ფ-ნი აღნიშნულ ცეცხლსასროლ იარაღს მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა თ-ში, პ-ის მე-.. კვარტალში, №.. კორპუსში, ბინა №..-ში მდებარე ბ. ა-ის საცხოვრებელ სახლში, საიდანაც 2022 წლის 2 ივნისს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს.

2. გორის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის განაჩენით:

2.1. კ. გ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-5 ნაწილით („FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „H/K-USP COMPACT 27-ისა“ და „SIG-SAUER-P365-ის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღების ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

2.2. კ. გ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან („GLOCK-42“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღის ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილზე („GLOCK-42“ მო-

დელის ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა).

2.3. კ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით („GLOCK-42“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა) და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2022 წლის 20 ივნისიდან.

2.4. რ. ფ-ნი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში.

2.5. რ. ფ-ნი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით („SIG-SAUER-P365“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ეპიზოდი) და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2022 წლის 20 ივნისიდან.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 სექტემბრის განაჩენით:

3.1. ბრალდებისა და დაცვის მხარეების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გორის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 17 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა – შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა ნინო ზურაბაშვილმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 სექტემბრის განაჩენის გაუქმება, კ. გ-ას დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-5 ნაწილით (ორი ეპიზოდი), 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მკაცრი სასჯელის შეფარდება; რ. ფ-ის – სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (სამი ეპიზოდი), 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ასევე მკაცრი სასჯელის შეფარდება.

4.1. მსჯავრდებულების – რ. ფ-სა და კ. გ-ას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. გ-მა საკასაციო საჩივრით მოითხოვა განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლები საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილში ამომწურავად არის ჩამოთვლილი, კერძოდ, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამარ-

თლებრივ საკითხზე გადანყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადანყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

5.1. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მხარის საჩივარს, წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ერთად, სწორედ აღნიშნულ საფუძველთა ფარგლებში განიხილავს და აფასებს, რამდენად დასაბუთებულია იგი.

6. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას კ. გ-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-5 ნაწილით („FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „H/K-USP COMPACT 27-ისა“ და „SIG-SAUER-P365-ის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღების ეპიზოდი), ხოლო რ. ფ-ის – სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში გამართლების შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი ბრალდების ამ ეპიზოდებში გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

7. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება მსჯავრდებულების – კ. გ-სა და რ. ფ-ის მიერ ბრალად წარდგენილი ზემოაღნიშნული ქმედებების ჩადენა და ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, კერძოდ:

8. მტკიცებულებათა ერთობლიობის დროს, დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, პირის მსჯავრდებისათვის მინიმუმ ორი პირდაპირი ხასიათის მტკიცებულება უნდა არსებობდეს. მხო-

ლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს (მაგალითისათვის იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის საქმეები №251აპ-16; №453აპ-15).

9. დავას არ იწვევს ის გარემოება და თავად მსჯავრდებულები – კ. გ-ია და რ. ფ-იც ადასტურებენ, რომ კ. გ-ამ „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „H/K-USP COMPACT 27-ისა“ და „SIG-SAUER-P 365-ის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღები დროებით შეინახა ქ. ქ-ში, ნ-ს ქუჩის №...-ში მდებარე რ. ფ-ის საცხოვრებელ სახლში; 2022 წლის 2 ივნისს კ. გ-ამ შეიძინა „GLOCK-42-ის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც შპს „რ-ის“ ოფისის შენობაში მდგომი მაგიდის უჯრაში შეინახა დროებით. მითითებული გარემოებები დადასტურებულია აგრეთვე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით – ჩხრეკის შედეგებითა და საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე პირთა ჩვენებებით, თუმცა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები უტყუარად არ ადასტურებს რ. ფ-ისა და კ. გ-ს ბრალეულობას.

10. ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდებთან მიმართებით საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული განაჩენის მსგავსად, მხედველობაში იღებს საქმის მასალებით უტყუარად დადგენილ გარემოებას, კერძოდ იმ ფაქტს, რომ სწორედ რ. ფ-ის თხოვნით, მისმა მეუღლემ – ლ. ა-მ პოლიციას შეატყობინა კონკრეტული ცეცხლსასროლი იარაღების განთავსების ადგილი, რომელთა შესახებაც გამოძიებისათვის არ იყო ცნობილი. ამასთან, სატელეფონო შეტყობინების დროს რ. ფ-ის მეუღლემ გამოხატა მზაობა ცეცხლსასროლი იარაღების გამოძიებისათვის ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე.

11. მიუხედავად აღნიშნული წინარე ქმედებებისა, მას შემდგომ, რაც გამოძიებამ ლ. ა-ს მითითებით ამოიღო იარაღები, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის გარეშე, რ. ფ-ს წარედგინა ბრალდება აღნიშნული იარაღების ჯგუფურად გადაზიდვის, შეძენისა და შენახვისათვის, ხოლო კ. გ-ს – აღნიშნული იარაღების ჯგუფურად გადაზიდვისა და გასაღებისათვის.

12. უსაფუძვლოა სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეზე გამოძიების დაწყების შემდეგ ბრალდებული არ უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შენიშვნის საფუძველზე. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო, ისევე როგორც სააპელაციო პალატა, მიუთითებს, რომ დასახელებული მუხლის შენიშვნის საფუძველზე პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, ცეცხლსას-

როლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვის შესახებ გამოძიებისათვის ცნობილი იყო თუ არა პირის მიერ შესაბამისი განცხადებით სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვამდე. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოძიებას ამგვარი ინფორმაცია არ გააჩნდა. ამასთან, საქმეში არსებული ვერცერთი მტკიცებულება ვერ აბათილებს დაცვის მხარის პოზიციას იმის შესახებ, რომ კ. გ-მ „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „H/K-USP COMPACT 27-ისა“ და „SIG-SAUER-P 365-ის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღები მხოლოდ დროებით შეინახა ქ. ქ-ში, ნ-ს ქუჩის №...-ში მდებარე რ. ფ-ს საცხოვრებელ სახლში, რომელთა ადგილსამყოფლის შესახებაც, რ. ფ-ის მითითებით, გამოძიებას ინფორმაცია მიაწოდა მისმა მეუღლემ; ასევე კ. გ-მ დროებით შეინახა მის სახელზე რეგისტრირებული „GLOCK-42-ის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი შპს „რ. ბ-ის“ ოფისის შენობაში მდგომ მაგიდის უჯრაში. უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული პირის – კ. გ-ას სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღ(ებ)ის სხვის – რ. ფ-ის საცხოვრებელ სახლსა თუ სამუშაო ადგილზე აღმოჩენა იმთავითვე არ გულისხმობს, რომ კ. გ-მ ცეცხლსასროლი იარაღები მართლსაწინააღმდეგოდ გაასაღა რ. ფ-ზე.

13. ამდენად, ბრალდების მხარის მიერ მითითებული საქმის მასალები არ ქმნის ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით კ. გ-ას – ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვაში, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო გასაღებაში (ორი ეპიზოდი), ხოლო რ. ფ-ის – ცეცხლსასროლი იარაღების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში (ორი ეპიზოდი) დამნაშავედ ცნობისათვის, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პროკურორ ნინო ზურაბაშვილის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად უნდა იყოს ცნობილი, რადგან ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის – „in dubio pro reo-s“ გათვალისწინებით, ეჭვი სწორად გადაწყვიტეს მსჯავრდებულების სასარგებლოდ, კ. გ-ია გაამართლეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-5 ნაწილით („FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „FNH-FIVE SEVEN PISTOL-ის“, „H/K-USP COMPACT 27-ისა“ და „SIG-SAUER-P365-ის“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღების ეპიზოდი), ხოლო რ. ფ-ი – სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ორი ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში.

14. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას მსჯავრდებულების – კ. გ-სა და რ. ფ-ის უდანაშაულობის შე-

სახებ, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის – პოლიციელების ჩვენებებით, ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, ბიოლოგიურ (გენეტიკური) ექსპერტიზის 2022 წლის 5 აგვისტოს №.. დასკვნით და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ კ. გ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (GLOCK-42 მოდელის ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა), ხოლო რ. ფ-მა – სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (SIG-SAUER-P365 მოდელის ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულები.

15. უსაფუძვლოა ადვოკატ ვ. გ-ის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან კ. გ-ს კანონიერი გზით ჰქონდა შეძენილი აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი, მსჯავრი არ უნდა დასდებოდა მისი მართლსაწინააღმდეგო შენახვისათვის. საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განაჩენის მსგავსად ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ როგორც შსს სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციით დგინდება, კ. გ-ს „GLOCK-42“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი შეძენილი ჰქონდა შპს „კ-ან“. ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ადგილად მიუთითა ქ. თ-ი, რ. ჭ-ს ქუჩა №.., კ. გ-ს ცეცხლსასროლი იარაღის აღნიშნულ მისამართზე გადატანის უფლება ჰქონდა 2022 წლის 2 ივნისს, 12:00 საათიდან 14:00 საათამდე. შპს „რ-ის“ შენობაში ჩხრეკა დაიწყო 2 ივნისს, 19:45 საათზე და დასრულდა 21:00 საათზე. ამდენად, ნათელია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, უკანონო იყო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ადგილი, ამასთანავე, გასული იყო კანონიერი გზით შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღის გადატანის დროც.

16. საქმეში წარმოდგენილი და მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი მტკიცებულებებით – 2022 წლის 2 ივნისის პატაკით, ასევე პატაკის ავტორის – ს. დ-ის ჩვენებით, 2022 წლის 2 ივნისს, 22:20 საათიდან 23:20 საათამდე პერიოდში ქ. თ-ში, პ-ის მე-.. კვარტალი, №... კორპუსი, ბინა №..-ში, ბ. ა-ის საცხოვრებელ სახლში გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ჩატარებული ჩრეკის შედეგებით, ჩხრეკაში მონაწილე პირთა და თავად ბ. ა-ის ჩვენებებით, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ბალისტიკური ექსპერტიზის №.. დასკვნით საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ რ. ფ-მა 2022 წლის 29 აპრილს შეიძინა „SIG-SAUER-P365“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი. შსს სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციით დგინდება, რომ რ. ფ-ს აღნიშნული იარაღი უნდა შეენახა ქ-ში, ნ-ას ქუჩის №..-ში. იარაღის შეძენის ადგილიდან შენახვის ადგილზე გადატანის დროა 2022 წლის 29 აპრილი, 14:00 საათიდან 23:00 საათამდე პერიოდი, თუმცა რ. ფ-ნი აღნიშ-

ნულ ცეცხლსასროლ იარაღს მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა ქ. თ-ში, პ-ის მე-. კვარტალი, №.. კორპუსი, ბინა №...-ში მდებარე ბ. ა-ის საცხოვრებელ სახლში, საიდანაც 2022 წლის 2 ივნისს ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოიღეს პოლიციის თანამშრომლებმა. აღნიშნული გარემოებები დაადასტურა თავად რ. ფ-მაც. ამდენად, ნათელია, რომ კონკრეტულ შემთხვევაშიც უკანონო იყო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის ადგილი. ამასთან, გასული იყო კანონიერი გზით შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღის გადატანის დროც.

17. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ სახეზეა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და არა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლებრივი დანაშაულის განმასხვავებელ ერთ-ერთ ძირითად ნიშანს საზოგადოებრივი საშიშროების შეფასების ელემენტი წარმოადგენს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ის არის გადამწყვეტი ფაქტორი ქმედების სიმძიმისა და გამოწვეული ზიანის შეფასებისას. ქმედების საშიშროების ხასიათი განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელობით, რაც ხელყოფილია სამართალდარღვევით, ანუ სამართალდარღვევის ობიექტით. საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შეფასებისას ყურადღება ექცევა ისეთი ფაქტორებს, როგორიცაა: სამართალდარღვევებით გამოწვეული შედეგების სიმძიმე, შესაძლებელი ზიანის მოცულობა, სამართალდარღვევის დრო, ადგილი, ვითარება და სხვ. შესაბამისად, რაც უფრო დიდია ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივი ღირებულება, შესაძლო მიყენებული ზიანის მოცულობა, მით უფრო, შესაძლებელია, დადგინდეს ქმედების მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება და – პირიქით. კანონმდებელმა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა სწორედ ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის წესით, დასჯად ქმედებათა რიცხვს მიაკუთვნა, განსხვავებით ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის წესის დარღვევისაგან. საკასაციო სასამართლო გასაჩივრებული განაჩენის მსგავსად, მიუთითებს შემდეგს: ის გარემოება, რომ კ. გ-სა და რ. ფ-ს გააჩნდათ კონკრეტული ცეცხლსასროლი იარაღების მართლზომიერად ფლობის უფლება, თუმცა – სხვა მისამართზე, არ ქმნის სხვა მოცემულობას, რომელიც შეუძლებელს გახდიდა მათი ქმედების დაკვალიფიციერებას სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებად. მსჯავრდებულთა ქმედებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მოწესრიგებული სამართალურთიერთობის ფარგლებს მიღმაა და სრული სიზუსტით ასახავს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მესამე ნაწილის შინაარსს, რომელშიც რაიმე სახის ბუნდოვანება ან/და ორაზროვნება არ არსე-

ბობს; ამასთანავე, მსჯავრდებულთა ქმედებებში ცხადად არის გამოკვეთილი აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი, რის გამოც მათ მიერ შენახვის უფლებით შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღების ნებართვაში მითითებულისაგან განსხვავებულ მისამართზე შენახვა ვერ განიხილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად.

18. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. გ-სა და რ. ფ-ის მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით კანონიერი, ხოლო შეფარდებული სასჯელი – სამართლიანი, რისი გათვალისწინებითაც, არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის რაიმე წინაპირობა.

19. სასამართლო ითვალისწინებს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება არ მოითხოვს მომჩივნების მიერ წარმოდგენილ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, §31, ECtHR, 11/11/2011). იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის რელევანტური არგუმენტები განხილულ იქნა ქვედა ორი ინსტანციის სასამართლოების მიერ, მომჩივნის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა ვერ იქნება მიჩნეული სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაზე დანესებულ არაპროპორციულ შეზღუდვად (Tortladze v. Georgia; no.42371/08, §77, ECtHR, 18/03/2021).

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი, საკასაციო საჩივრები დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

21. საკასაციო სასამართლომ საქართველოს სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-3, მე-32, მე-33, მე-4 ნაწილების საფუძველზე

და ა დ ბ ი ნ ა :

1. დაუშვებლად იქნეს ცნობილი შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ნინო ზურაბაშვილის, მსჯავრდებულების – რ. ფ-ისა და კ. გ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. გ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 სექტემბრის განაჩენზე;

2. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი პირმო ნაწილი

1. კანონი

საკანონმდებლო განკარგულება

განკარგულება ცვლილების შეტანა

განკარგულება საქართველოს სახელმწიფო

№301აპ-24

10 სექტემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ვასაძე,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების: დ. რ.-ს, ვ. კ.-
ს, ნ. კ.-სა და დ. ბ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. ჯ.-ს საკან-
ონმდებლო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 30
იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით:

1.1. დ. რ.-ს, – დაბადებულს 1.. წელს, – ბრალად ედებოდა:

1.1.1. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად, დამნაშავესათ-
ვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, გან-
საკუთრებული სისასტიკით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქარ-
თველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს
სსკ-ის) 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვე-
პუნქტებით;

1.1.2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შე-
თანხმებით ჯგუფის მიერ, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზ-
ნით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით,
– დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით;

1.1.3. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსა-
წინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, ჩადენილი ჯგუფურად, –

დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

1.1.4. სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრება, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით;

1.2. ვ. კ-ს, – დაბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებოდა:

1.2.1. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით;

1.2.2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით;

1.2.3. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, ჩადენილი ჯგუფურად, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

1.3 ნ. კ-ს, – დაბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებოდა:

1.3.1. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით;

1.3.2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით;

1.3.3. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, ჩადენილი ჯგუფურად, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

1.4. დ. ბ-ს, – დაბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებოდა:

1.4.1. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, გან-

საკუთრებული სისასტიკით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით;

1.4.2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სხვა დანაშაულის ჩადენის გადავილების მიზნით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით;

1.4.3. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, ჩადენილი ჯგუფურად, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით;

1.4.4. განზრახ ნაკლებად მძიმე და განზრახ მძიმე დანაშაულებათათვის ნასამართლეთი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით;

1.5. ზ. მ-ს, – დაბადებულს 1... წელს, – ბრალად ედებოდა:

1.5.1. განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად, დამნაშავეთათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით;

1.5.2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სხვა დანაშაულის ჩადენის გადავილების მიზნით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით;

1.5.3. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, ჩადენილი ჯგუფურად, – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით დ. რ-ს, ვ. კ-ს, ნ. კ-სა და დ. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 მარტის განაჩენით, დ. ბ-ნი და ნ. კ-ე ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 25,360-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის. დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად თითოეულ მათგანს განესაზღვრა – თავისუფ-

ლების აღკვეთა 6 წლით, საიდანაც 2 წელი განესაზღვრათ პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო 4 წელი ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მათვე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრათ (თითოეულს) ჯარიმა – 10000 ლარის ოდენობით; შესაბამისად, 2019 წლის 6 ოქტომბრის მდგომარეობით, დ. ბ-ი და ნ. კ-ე ნასამართლენი იყვნენ მძიმე – საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით, ასევე ნაკლებად მძიმე – საქართველოს სსკ-ის 25,360-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის;

2.2. წარსულში არსებული დაპირისპირების გამო, შურისძიების მოტივით, დ. რ-მ, დ. ბ-მა, ნ. კ-მ, ვ. კ-მ და ზ. მ-მა განიზრახეს გ. ვ-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთა და განსაკუთრებული სისასტიკით მისი მკვლელობა. ამ მიზნით, ხსენებული პირები შეიარაღდნენ ცეცხლსასროლი და ცივი იარაღებით და 2019 წლის 6 ოქტომბერს, დაახლოებით 12:20 საათზე, „ტოიოტას“ მარკის ავტომობილით (სახელმწიფო ნომრით: ...), მივიდნენ თ... მიმდებარე ტერიტორიაზე. ავტომობილს მართავდა ნ. კ-ე, ხოლო დ. რ-ს და ვ. კ-ე შეიარაღებულები იყვნენ ზემოხსენებული მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღებით, რომლებშიც, შესაბამისად, განთავსებული ჰქონდათ საბრძოლო მასალა.

2.3. ადგილზე მისვლისას, მათ შენიშნეს გ. ვ-ე, რომელიც კვეთდა გზის სავალ ნაწილს და ავტომანქანაში მსხდომი პირები, თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ავტომობილით განზრახ შეეჯახნენ მას. მიუხედავად შეჯახებისა, მათ ვერ აღასრულეს თავიანთი განზრახვა და განაგრძეს ქმედებები გ. ვ-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის მიზნით. კერძოდ, დ. ბ-მა და ვ. კ-მ ძალის გამოყენებითა და ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის მუქარით შებოჭეს გ. ვ-ე, რა დროსაც ხელებს ურტყამდნენ სხეულის სხვადასხვა ადგილას, ხოლო დ. ბ-მა ცივი იარაღის – დანის გამოყენებით გ. ვ-ს გულმკერდის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის საშიფათო დაზიანება, რის შემდეგაც ზ. მ-სა და დ. რ-ს დახმარებით მოათავსეს იგი ზემოხსენებულ ავტომობილში.

2.4. ამავდროულად, დ. რ-ს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, მოკვლით ემუქრებოდა მიმდებარედ მყოფ პირებს: გ. გ-ს, ნ. ჯ-ს, ი. ჯ-ს და მ. ს-ს, რათა ისინი არ განძრეულიყვნენ და არ დახმარებოდნენ გ. ვ-ს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. გ-ს, ნ. ჯ-ს, ი. ჯ-ს და მ. ს-ს გაუჩნდათ მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.5. ზემოხსენებულმა პირებმა, აღუკვეთეს რა თავისუფლება გ. ვ-ს, განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის განზრახვის სისრულეში ბოლომდე მოსაყვანად, წინასწარი შეთანხმების შესაბამისად (რო-

მელშიც მონაწილეობდა ზ. მ-(ვ) დ. რ-მ, ვ. კ-მ, დ. ბ-მა და ნ. კ-მ იგი წაიყვანეს თ.... მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო ზ. მ-მა კი, გეგმის შესაბამისად, ქვეითად დატოვა ა...ს მიმდებარე ტერიტორია.

2.6. ასევე, ხსენებულმა პირებმა ჯგუფურად განაგრძეს ზემოაღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღების ტარება ავტომობილით გადაადგილებისას და ლ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2.7. მიღებული დაზიანებების გამო უმწეო მდგომარეობაში მყოფი გ. ვ-ს ავტომობილში ჩასმის შემდეგ, მას კვლავ აყენებდნენ დაზიანებებს დ. რ., ვ. კ-ე, დ. ბ-ი და ნ. კ-ე. დაზიანებების მიყენება მათ ჯგუფურად განაგრძეს ასევე ლ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მისვლის შემდეგაც. აღნიშნულ პერიოდში დ. ბ-ი განაგრძობდა ცივი იარაღის – დანის ტარებას. საბოლოო ჯამში, დ. რ-მ, დ. ბ-მა, ვ. კ-მ, ზ. მ-მ და ნ. კ-მ გ. ვ-ს მიაყენეს სხვადასხვა დაზიანებები, მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით – თერთმეტი ჭრილობა სხეულის სხვადასხვა ადგილას, ხოლო დანის გამოყენებით – ჭრილობა გულმკერდის არეში და ორი ჭრილობა თავის არეში, აღნიშნული დაზიანებების მიზანი იყო, რომ სიკვდილი დამდგარიყო ნელა, მსხვერპლის მიერ ტკივილის ხანგრძლივად განცდის შემდეგ.

2.8. ზემოხსენებული დაზიანებების შედეგად, გ. ვ-ე 2019 წლის 14 ოქტომბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

2.9. ყველა ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელებისას დ. რ., დ. ბ-ი, ვ. კ-ე, ნ. კ-ე და ზ. მ-ი მოქმედებდნენ წინასწარი შეთანხმების შესაბამისად, ჯგუფურად, ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ოქტომბრის განაჩენით:

3.1. ზ. მ-ი ცნობილი იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში და გამართლდა;

3.1.1. ზ. მ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

3.1.1.1. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

3.1.1.2. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

3.1.1.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა

შთანთქა მეორე თანაბარი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, ზ. მ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

3.1.1.4. ზ. მ-ს სასჯელის ვადა აეთვალა დაკავების მომენტიდან – 2020 წლის 12 თებერვლიდან.

3.2. გ. კ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებსა და მე-8 ნაწილზე;

3.2.1. გ. კ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

3.2.1.1. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

3.2.1.2. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

3.2.1.3. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

3.2.1.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, გ. კ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

3.2.1.5. გ. კ-ეს სასჯელის ვადა აეთვალა მსჯავრდებულის სახით დაკავების ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან.

3.3. ნ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებსა და მე-8 ნაწილზე;

3.3.1. ნ. კ-ე ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

3.3.1.1. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

3.3.1.2. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღ-

კვეთა 9 წლით;

3.3.1.3. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

3.3.1.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. კ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

3.3.1.5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ნ. კ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 17 წლით;

3.3.1.6. ნ. კ-ს სასჯელის ვადა აეთვალა მსჯავრდებულის სახით დაკავების ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან.

3.4. დ. რ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებსა და მე-8 ნაწილზე;

3.4.1. დ. რ. ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

3.4.1.1. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

3.4.1.2. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

3.4.1.3. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

3.4.1.4. საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

3.4.1.5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. რ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 13

ნლით;

3.4.1.6. დ. რ-ს სასჯელის ვადა აეთვალა მსჯავრდებულის სახით დაკავების ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან.

3.5. დ. ბ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებსა და მე-8 ნაწილზე;

3.5.1. დ. ბ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

3.5.1.1. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

3.5.1.2. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

3.5.1.3. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 10 წლით;

3.5.1.4. საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 6 თვით;

3.5.1.5. საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

3.5.1.6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დანაშაულთა ერთობლიობით, დ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

3.5.1.7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – თავისუფლების აღკვეთა 17 წლით;

3.5.1.8. დ. ბ-ს სასჯელის ვადა აეთვალა მსჯავრდებულის სახით დაკავების ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან.

4. აღნიშნული განაჩენის თანახმად, განაჩენი ზ. მ-ის მიმართ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში განაჩენის გამოც-

ხადებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მეშვეობით, ხოლო მსჯავრდებულებს: ვ. კ-ეს, ნ. კ-ეს, დ. რ-ს და დ. ბ-ს უფლება აქვთ განაჩენი გაასაჩივრონ ერთი თვის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში მათი დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოში გამოცხადების მომენტიდან ან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან – თუ მსჯავრდებულები ითხოვენ სააპელაციო საჩივრის განხილვას მათი მონაწილეობის გარეშე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მეშვეობით. აღნიშნულის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს:

4.1. თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა გიორგი ქობულაძემ და მოითხოვა – დ. რ-ს, დ. ბ-ის, ვ. კ-ის, ზ. მ-ის და ნ. კ-ს დამნაშავედ ცნობა ბრალად წარდგენილი კვალიფიკაციით; ასევე მათ მიმართ სასჯელის მაქსიმალური ზომის დანიშვნა და სასჯელთა შეკრების პრინციპის გამოყენება.

4.2. მსჯავრდებულ ზ. მ-ის ადვოკატმა ვ. მ-მ მოითხოვა ზ. მ-ს სრულად გამართლება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, კერძოდ:

6.1. თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა გიორგი ქობულაძემ მოითხოვა – დ. რ-ს, დ. ბ-ს, ვ. კ-ის, ზ. მ-ს და ნ. კ-ს დამნაშავედ ცნობა ბრალად წარდგენილი კვალიფიკაციით; ასევე მათ მიმართ სასჯელის მაქსიმალური ზომის დანიშვნა და სასჯელთა შეკრების პრინციპის გამოყენება.

6.2. მსჯავრდებულ ზ. მ-ის ადვოკატმა ვ. მ-მ მოითხოვა ზ. მ-ის სრულად გამართლება.

7. მსჯავრდებული ვ. კ-ე დააკავეს – 2021 წლის 3 დეკემბერს, მსჯავრდებული დ. ბ-ი – 2021 წლის 3 დეკემბერს, მსჯავრდებული ნ. კ-ე – 2021 წლის 7 დეკემბერს, ხოლო მსჯავრდებული დ. რ. – 2021 წლის 10 დეკემბერს.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 22 მარტის განჩინებით თბილისის პროკურატურის პროკურორის გიორგი ქობულაძის და მსჯავრდებულ ზ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ვ. მ-ს საკასაციო საჩივრები არ იქნა დაშვებული განსახილველად.

9. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა: დ. რ-მ, ვ. კ-მ, ნ. კ-მ, დ. ბ-მა და მათმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა – ლ. ჯ-მ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ვ. კ-ს, ნ. კ-ს და დ. ბ-ს უდანაშაულოდ ცნობა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-8 ნაწილით. ასევე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით; ხოლო დ. რ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების – საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირება, ნაცვლად მსჯავრად შერაცხილი – საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-8 ნაწილისა. ასევე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3-მე-4 ნაწილებზე გადაკვალიფიცირება.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 30 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი (რაც უცვლელადაა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით) ვ. კ-ს, ნ. კ-ს, დ. რ-ს, დ. ბ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

11. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების: დ. რ-ს, ვ. კ-ს, ნ. კ-სა და დ. ბ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ლ. ჯ-მ, რომელიც ითხოვს: ვ. კ-ს, ნ. კ-ს და დ. ბ-ს უდანაშაულოდ ცნობას – საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-8 ნაწილით, ხოლო დ. რ-ს მიმართ – ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით დაკვალიფიცირებას, მაკვალიფიცირებელი ნიშნების: ჩადენილი ჯგუფურად, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით, გარეშე. ასევე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3-მე-4 ნაწილებზე.

სამოტივაციო ნაწილი:

1. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსსკ-ის) 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას საფუძვლე-

ბის გამეორების გარეშე (იხ. *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადანაცვლებების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. *Fomin v. Moldova*, no. 36755/06, §31, ECtHR, 11/11/2011).

2. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, განხილვის საგანია მხოლოდ მსჯავრდებულების: დ. რ-ს, ვ. კ-ს, ნ. კ-სა და დ. ბ-ს – ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. ჯ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნები (სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, 2022 წლის 22 მარტის განჩინებით, დაუშვებლად ცნო მსჯავრდებულ ზ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ვ. მ-ს, ასევე თბილისის პროკურატურის პროკურორის – გიორგი ქობულაძის (რომელიც ასაჩივრებდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენს, მათ შორის, დ. რ-ს, ვ. კ-ს, ნ. კ-ს, დ. ბ-ის მიმართ) საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის განაჩენზე, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენით (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 30 იანვრის განაჩენით) განხილული იქნა მხოლოდ დაკავებული (ძებნილი) მსჯავრდებულების: ვ. კ-ის, ნ. კ-ს, დ. რ-ს, დ. ბ-სა და მათი ადვოკატის სააპელაციო საჩივარი). მსჯავრდებულების: დ. რ-ს, ვ. კ-ს, ნ. კ-სა და დ. ბ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი – ლ. ჯ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს: ვ. კ-ის, ნ. კ-სა და დ. ბ-ს უდანაშაულოდ ცნობას – საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-8 ნაწილით, ხოლო დ. რ-ს მიმართ – ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირებას, ნაცვლად მსჯავრად შერაცხილი – საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებისა და მე-8 ნაწილისა. ასევე, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3-მე-4 ნაწილებზე.

2.1. ამდენად, დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი მიემართება მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ მსჯავრდებებს.

2.2. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2022 წლის 22 მარტის განჩინებით თბილისის პროკურატურის პროკურორის – გიორგი ქობულაძის საკასაციო საჩივარი (რომლითაც ბრალდების მხარე, მათ შორის, ითხოვდა ვ. კ-ს, დ. რ-ს, ნ. კ-სა

და დ. ბ-ის დამნაშავეებად ცნობას მათთვის ბრალად წარდგენილი – საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებული – დანაშაულის ჩადენისათვის) არ იქნა დაშვებული განსახილველად, ხოლო გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულების მიმართ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებსა და მე-8 ნაწილზე. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის ფარგლებში, მსჯელობის საგანია მსჯავრდებულების მიერ არა განზრახ მკვლელობის, არამედ – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ჩადენის საკითხი.

2.3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დავის საგანია, საკითხის გარკვევა – ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა დ. რ-მ შეიძინა, შეინახა და ატარებდა დამოუკიდებლად, რაც აღქმული არ ჰქონდათ ჯგუფის სხვა წევრებს თუ თანამსჯავრდებულებთან – ვ. კ-სთან, ნ. კ-სა და დ. ბ-სთან ერთად, ჯგუფურად ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული; ასევე ჩაიდინეს თუ არა მსჯავრდებულებმა: დ. რ-მ, ვ. კ-ემ, ნ. კ-ემ და დ. ბ-მა – გ. ვ-ს მიმართ მსჯავრად შერაცხილი დანაშაული (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ე.ი. სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, დამნაშავეისათვის, წინასწარი შეცნობით, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) თუ მხოლოდ დ. რ-მ ჩაიდინა გ. ვ-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მაკვალიფიცირებელი გარემოებების, – წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით, – გარეშე), ისე, რომ თანამსჯავრდებულები უშუალოდ დაზიანების მიყენებისას (ლ... მიმდებარე ტერიტორიაზე) არ იყვნენ მათ სიახლოვეს; იმავდროულად, ისინი არ იყვნენ ამ დანაშაულის ჩადენაზე შეთანხმებულები, როგორც ამას უთითებს კასატორი.

2.4. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული საქმე განხილული იქნა მეორედ, ძეზნილი მსჯავრდებულების: ვ. კ-ს, ნ. კ-ს, დ. რ-ს, დ. ბ-ს დაკავების შემდეგ, მათი სააპელაციო საჩივრების საფუძველზე. დაცვის მხარის პოზიციით, მათ ისურვეს მხოლოდ მტკიცებულებათა ნაწილის გამოკვლევა, ხოლო დანარჩენი მტკიცებულებების გამოკვლევაზე განაცხადეს უარი.

2.4.1. საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის დანაწესის თანახმად, ამავე მუხლით დადგენილი მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი (შეზღუდვები) არ ვრცელდება სისხლის სამართლის იმ საქმეებზე, რომლებზედაც პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი

ბრალდებულის დაუსწრებლად გამოითანა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა, მსჯავრდებულის მოთხოვნის შესაბამისად, სააპელაციო წესით საქმე მისი მონაწილეობის გარეშე იხილება;

2.4.2. მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარემ მტკიცებულებათა ნაწილთან დაკავშირებით განმარტა, რომ მათ არ სურთ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა – მტკიცებულებების ნაწილის მათი მონაწილეობით გამოკვლევა და პირველ ინსტანციაში აღნიშნული მტკიცებულებების გამოკვლევის გათვალისწინებით, თანხმობა განაცხადეს მათ გამოკვლეულად მიჩნევაზე – დაეთანხმნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულების ნაწილის გამოკვლეულად მიჩნევას.

2.4.3. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს უარი თქვას საქართველოს სსკ-ით და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით მინიჭებული უფლებებით სარგებლობაზე; იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაცვის მხარე სადავოდ არ ხდის პირველი ინსტანციის სასამართლოში მსჯავრდებულების დაუსწრებლად მტკიცებულებების გამოკვლევის კანონიერებას; კასატორი არ უთითებს და სადავოდ არ ხდის სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების დასაშვებობას ან/და სარწმუნოებას. შესაბამისად, სასამართლოს არ აქვს საფუძველი საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის საფუძველზე არ გაიზიაროს საქმეში წარმოდგენილი რომელიმე მტკიცებულება.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების: დ. რ.-ს, ვ. კ.-ს, ნ. კ.-სა და დ. ბ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. ჯ.-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ (მხოლოდ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხილი მსჯავრის ნაწილში) და შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 30 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ, მსჯავრდებულები: ვ. კ.-ე, ნ. კ.-ე და დ. ბ.-ი უნდა გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხილ მსჯავრში, რაც გულისხმობს – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვასა და ტარებას, ჩადენილს ჯგუფურად, ხოლო, აღნიშნულის შესაბამისად, დ. რ.-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხილი მსჯავრი უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილებზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მტკიცებას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დასტურდე-

ბა მსჯავრდებულების: დ. რ-ს, ვ. კ-ს, ნ. კ-სა და დ. ბ-ს მიერ მსჯავრად შერაცხილი – საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-8 ნაწილით გათვალისწინებული – სადავო დანაშაულის ჩადენა და მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის, ვიდეოჩანაწერებით, მოწმეების, მათ შორის, ნ. ჯ-ს, ი. ჯ-ს, მ. ს-ს, მ. ბ-ს ჩვენებებით, დათვალიერების ოქმებით, ფოტოსურათით ამოცნობის ოქმებით, ბალისტიკური ექსპერტიზის 2019 წლის 7 სექტემბრის №.... დასკვნით, ასევე სამედიცინო ექსპერტიზის 2020 წლის 20 მაისის №.... დასკვნითა და სხვა მტკიცებულებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

5. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ დ. რ. გ. ვ-სთან აპირებდა მხოლოდ საუბარს, მის მიერ წინა დღეს ჩადენილი ქმედების (შეიარაღებული გ. ვ-ე მივიდა, მათ შორის, დ. რ-ს სახლთან ლანძღვა-გინებით) გამო, თუმცა მოვლენები განვითარდა სხვაგვარად, რაც არ შედიოდა მსჯავრდებულების გეგმაში. კერძოდ, იმის გამო, რომ შემთხვევის წინა დღეს გ. ვ-ე იყო შეიარაღებული, ასევე დ. რ-ს განმარტებით, უშუალოდ შემთხვევის დღეს, შეხვედრამდე, დაინახა, რომ გ. ვ-მ ავტომანქანაში ჩადო ჩანთა, რაც, მისი ვარაუდით, უნდა ყოფილიყო იარაღი, ხოლო მეგობრებთან ერთად გ-ს ქუჩაზე შეხვევისას, იმის გამო, რომ გ. ვ-ე დაიძრა ავტომანქანის მიმართულებით, დ. რ-მ იფიქრა, რომ იგი აპირებდა იარაღის აღებას, შეიცვალა მისი გეგმები და ავტომანქანით, რომელსაც თავად დ. რ. არ მართავდა (გ-ს ქუჩაზე შეხვევამდე გაუცვალა ადგილი ნ. კ-ს და გადაჯდა მძღოლის გვერდით სავარძელზე), გ. ვ-ს, მათ შორის, სიჩქარის გამო შეეჯახნენ, ვინაიდან დ. რ-ს სურდა, გ. ვ-სათვის მიესწრო, ვიდრე იგი აიღებდა იარაღს. დაცვის მხარის პოზიციით, მოვლენების ამგვარმა განვითარებამ განაპირობა, გ. ვ-ს დაუგეგმავად ავტომანქანაში ჩასმა და ლ-ზე აყვანა, სადაც ასევე შემთხვევით და დაუგეგმავად მოხვდა მას დ. რ-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიები.

6. მოწმეთა და ვიდეოჩანაწერებზე დაფიქსირებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ვერც მსჯავრდებულ დ. რ-ს სააპელაციო სასამართლოში მიცემულ ჩვენებას, რომლის თანახმად, გ. ვ-სთან მისვლის და ლ-სთან აყვანის მიზანი მხოლოდ დალაპარაკება იყო, რათა გაეგო, რა სურდა გ. ვ-ს. ამასთან, ლ... მიმდებარე ტერიტორიაზე გ. ვ-სათვის ცეცხლსასროლი იარაღით დაზიანებების მიყენებისას თანამსჯავრდებულები მის სიახლოვეს არ იყვნენ.

6.1. მსჯავრდებულმა დ. რ-მ განმარტა, რომ: გ. ვ-ეს იცნობდა ბავშვობიდან და ოჯახებით მეგობრობდნენ, თუმცა, ბოლო წლებში, გ. ვ-ს არაადეკვატური საქციელის გამო, მასთან შეხება აღარ ჰქონდა. ფაქტამდე ერთი თვით ადრე უსიამოვნო საუბარი ჰქონდათ ერთმანეთთან. 2019 წლის 5 ოქტომბერს გაიგო, რომ გ. ვ-ე ლანძღვითა და ავტომატით ხელში მისული იყო ჯერ მის სახლთან (დედამისთან), შემდეგ პარალელურ ქუჩაზე მცხოვრებ – მ...., შემდეგ კი – ვ. კ-ის სახლთან, სადაც მეზობელს დაუბარა, გადაეცა ვ. კ-სათვის, მისული რომ იყო და ეძებდა. აღნიშნულის გამო, დ. რ-მ აიღო იარაღი და რამდენიმე საათი იჯდა ავტომანქანაში, რადგან ფიქრობდა, რომ გ. ვ-ე დაბრუნდებოდა. მომდევნო დღეს იარაღი (პატარა ავტომატი) ჩადო ლეპტოპის ჩასადებში და მოათავსა ავტომანქანაში, მგზავრის სავარძლის ქვეშ. იმავე დღეს გ. ვ-ე უცხო ნომრიდან დაუკავშირდა „...-ის“ საშუალებით. თავდაპირველად იფიქრა, მოუბოდიშებდა, თუმცა გ. ვ-ემ კვლავ გააგრძელა შეურაცხყოფის მიყენება, ასევე უთხრა, რომ უბანში იყო და მასთან მისულიყო. დ. რ-მ მეგობრებს უთხრა, რომ ტელეფონზე დაურეკა გ. ვ-ემ და უნდა ენახა. ბიჭები ამშვიდებდნენ, რომ არ წასულიყო და თავად დაელაპარაკებოდნენ, რათა მშვიდობიანად დასრულებულიყო, თუმცა მისი უარის შემდეგ მართო არ გაუშვეს და ისინიც გაჰყვნენ. კერძოდ, დ. რ-ს, ნ. კ-ე, დ. ბ-სი, ვ. კ-ე და ზ. მ-სი დაიძრნენ შ-ს ქუჩის მიმართულებით. შეთანხმებული არაფერზე ყოფილან. შევიდნენ ერთ-ერთ ქუჩაზე, რა დროსაც დაინახა, რომ გ. ვ-მ ავტომანქანის საბარგულში ჩადო ჩანთა. აღნიშნულის დანახვაზე ივარაუდა/დარწმუნდა, რომ გ. ვ-ე იარაღით იყო. როდესაც გ. ვ-ემ შეუხვია გ-ს ქუჩაზე, დ. რ-მ ნ. კ-ეს უთხრა, დამჯდარიყო მისი ავტომანქანის საჭესთან, ვინაიდან თავად განერვიულებული იყო. გაჰყვნენ გ. ვ-ეს. გ-ს ქუჩაზე დაინახა, რომ გ. ვ-ე ქუჩის მარჯვენა მხრიდან გადადიოდა გზის მარცხენა მხარეს, იფიქრა, რომ გ. ვ-ემ, თავის მხრივ, ასევე დაინახა ის და მისი მეგობრები და აპირებდა იარაღის აღებას, ამიტომაც შეეცადა, იარაღის აღებამდე დაესწროთ მისვლა. სწორედ ამ სისწრაფეში, ისე მოხდა, რომ ავტომანქანით მიეჯახნენ („მანქანა დაეჯახა“) – ოდნავ ავტომანქანის ცხვირი მიედო. აღნიშნული არ მომხდარა განზრახ – „არ დავაჯახეთ, ნუ, ამ სიჩქარე-სიჩქარეში მიეჯახა რა, დაჯახებაც არ არის, ნაიქცა“. დ. რ-მ ამოიღო იარაღი, იმავდროულად, გადახტა ავტომანქანიდან და წავიდა გ. ვ-ს მიმართულებით, რათა მას არ მოესწრო იარაღის აღება ან/და სროლა. დ. რ-ს მეგობრებიც მიჰყვნენ – მას შემდეგ, რაც დაინახეს, რომ იარაღით გადავიდა, რა თქმა უნდა, გაჰყვნენ. გ. ვ-ემ ჩხუბი დაიწყო – ხელ-ფეხს ურტყამდა მას და მის მეგობრებს. დ. ბ-ს ხელში არაფერი ეჭირა, ხოლო ვ. კ-ს – იარაღის მსგავსი საგანი (არაცეცხლსასროლი იარაღი, ისვრის ბურთულებს და ადამიანს არ კლავს). დანა არ დაუნახავს. თავად ად-

გილზე მყოფ პირებს მიუშვირა იარაღი და უყვიროდა – „არ გაინძრეთ“. ავტომანქანაში ჩასმის გადანყვეტილება იქვე დაუგეგმავად მიიღეს. სისხლისღვრის, ასევე კონფლიქტში გ. ვ-ს თანმხლები მეგობრების გარევის თავიდან აცილების მიზნით, გ. ვ-ე ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს ლ. ზე. ბიჭებს უთხრა, რომ გ. ვ-ესთან ერთი-ერთზე სურდა საუბარი, შესაბამისად, მეგობრებმა მარტო დატოვეს ავტომანქანაში. თავად იჯდა საჭის მარჯვენა მხარეს, ხოლო გ. ვ-ე – მის უკან. იარაღი ჩაარჭო სავარძლებს შუაში მოაჯირთან. საუბარი დაიწყო გ. ვ-სთან, მის ოჯახში იარაღით მისვლის საკითხთან დაკავშირებით (ჰკითხა – „გუშინ რა გააკეთე?“), თუმცა იგი არაადეკვატურად საუბრობდა, პასუხობდა და იმუქრებოდა, იმავდროულად, შესთავაზა, დ. რ-ს მოეკლა გ. ვ-ე ან თავად მოკლავდა დ. რ-ს. აღნიშნულზე უთხრა, რომ არ მოკლავდა, თუმცა თუ კიდევ მივიდოდა მისი ოჯახის წევრებთან, ფეხებს დაამტვრევდა. ამ საუბრისას გ. ვ-ე წაიწია მისი იარაღისკენ, თუმცა ვერ წაართვა. ჯაჯგურში დ. რ-მ იარაღი სავარძელზე დაანარცხა და 1-2-ჯერ გამოჰკრა, თუმცა ააცილა. გადმოვიდა ავტომანქანიდან. სროლის ხმაზე ბიჭები ნახევრად სირბილით უახლოვდებოდნენ, რა დროსაც უთხრა, რომ გ. ვ-სთან საუბარს აზრი არ ჰქონდა. სწორედ ამ ლაპარაკში გ. ვ-ემ კარი გააღო და იარაღთან მიეპარა. ჭიდაობაში, ქვევით დაწვევინა იარაღი (დ. რ-ს იარაღი) და გამოჰკრა. იარაღს აქვს ორი პოზიცია: ან თითო გამოკვრაზე ისვრის ან – ავტომატურად. ჯაჯგურში, სავარაუდოდ, გადაერთო ავტომატურ რეჟიმზე და მის მიერ თითის გამოკვრისას რამდენიმე ტყვია (ექსპერტიზის დასკვნის თანახმად – 11 ტყვია) გავარდა გ. ვ-ს ფეხების მიმართულებით, იგი ნაბორძიკდა და დაეცა. თავად იარაღი საბარგულში ჩაკეტა. გ. ვ-ე წამოდგა და ჩამოჯდა ავტომანქანის უკანა სავარძელზე. რამდენიმე წამში კი წინა სავარძელზე გადაძვრა და დააჭირა (აჭერდა) დაქოქვის ღილაკს, მაგრამ ავტომანქანა არ დაიქოქა. ვინაიდან ავტომანქანა ვერ დაქოქეს, დაურეკა შ. ქ-ეს და სთხოვა დახმარება ისე, რომ დეტალები არ მოუყოლია. გ. ვ-ე მათთან მისულ შ. ქ-საც აგინებდა, თუმცა ძალით გააყოლეს, რათა საავადმყოფოში მიეყვანა. მოგვიანებით, გაიგო, რომ, საავადმყოფოს ნაცვლად, გ. ვ-მ სახლთან მიაყვანინა თავი, ხოლო რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

6.2. მსჯავრდებულმა დ. რ-მ ასევე განმარტა, რომ ყველაფერი დაუგეგმავად, სიტუაციის მიხედვით მოხდა, გ. ვ-სათვის სროლა, რომ სდომოდა, ჯერ კიდევ გ-ს ქუჩაზე ესროდა და ლ-ზე არ წაიყვანდა, „სროლა-საც არ ვაპირებდი, არ დატოვა გზა, არაფერი სხვა“. თანმხლებმა პირებმა არ იცოდნენ, რომ ავტომანქანაში ჰქონდა იარაღი, მათ გაიგეს მამინ, როცა ავტომანქანით შეჯახებისას აიღო იარაღი და გადავიდა. მის ხელში მეგობრებს იარაღი უნახავთ, მაგრამ ბოლო პერიოდში – არა, ეს იარაღი არ იცოდნენ. გ. ვ-სათვის დაზიანებები ავტომანქანაში არ

დაუნახავს, ქრილობები დაინახა მხოლოდ ლ-ზე, როცა გასროლილი ტყვიები მოხვდა ფეხებში. წელს ზემოთ ქრილობა არ ჰქონდა, ფეხებში იყო დაჭრილი. ლ.. აყვანის მიზანი დალაპარაკება იყო, რომ გაეგო, თუ რა სურდა გ. ვ-ს. ქრილობები მან მიაყენა გ. ვ-ეს, თუმცა თანაბრალდებულები იმალებოდნენ იმიტომ, რომ შემთხვევის ადგილას იყვნენ და ტელევიზიით მათ გვარებსაც აცხადებდნენ.

7. 2019 წლის 6 ოქტომბერს გ-ს ქუჩაზე განვითარებული მოვლენების ამსახველი ვიდეოჩანაწერების, ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმებისა და მოწმეთა ჩვენებების თანახმად, გ. ვ-ემ 12:22:54 საათზე (ჩანაწერის მიხედვით) დაიწყო გ-ს ქუჩის გადაკვეთა, 12:23:06 საათზე კი, როდესაც მიუახლოვდა გზის მეორე მხარეს მყოფ პირებს, მას შეეჯახა „ტოიოტას“ ფირმის შავი ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ: ნ. კ-ე (მძღოლი), დ. რ-ს, ვ. კ-ე და ზ. მ-ი. შეჯახების თანავე – 12:23:09-12:23:11 საათების შუალედში – აღნიშნული ავტომანქანიდან გადმოვიდნენ ცეცხლსასროლი იარაღით, დანითა და ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნით შეიარაღებული ავტომანქანაში მსხდომი პირები (გარდა ნ. კ-სა), რომლებმაც ფიზიკური ძალადობისა და დანის დარტყმით, რიცხოვნული უპირატესობისა და იარაღების დემონსტრირებით დათრგუნეს გ. ვ-ს წინააღმდეგობა, მისი ნების საწინააღმდეგოდ, 12:23:26 საათზე, ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს ლ... მიმდებარე ტერიტორიაზე.

7.1. აღნიშნულ ვიდეოჩანაწერზე დაფიქსირებული გ-ს ქუჩაზე გ. ვ-ს გადაადგილების, გაჩერებული ავტომანქანების განლაგების, შეჯახების სიჩქარის, შეიარაღებული მსჯავრდებულების თანმიმდევრული გადმოსვლის და მთლიანობაში განვითარებული მოვლენების, შპს „კ... კომპანიიდან“ გამოთხოვილი ვიდეოჩანაწერების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დ. რ-ს ჩვენებას გ. ვ-სთან მხოლოდ სასაუბროდ მისვლისა და სიჩქარის გამო ავტომანქანის ცხვირით ოდნავ მიდების („ოდნავ ავტომანქანის ცხვირი მიედო“) შესახებ, რაც, თავის მხრივ, განპირობებული იყო იმით, რომ მისი აზრით გ. ვ-ე აპირებდა იარაღის აღებას, მას კი სურდა მისვლა მიესწრო. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ვიდეოჩანაწერით არ დასტურდება, დ. რ-ს ჩვენების ის ნაწილიც, რომლის მიხედვითაც, ის ფიქრობდა, რომ შესაძლოა, გ. ვ-ეს თან ჰქონოდა იარაღი და სწორედ მის გამოყენებამდე, დასწრების მიზნით, იჩქარეს მასთან მისვლა.

8. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ:

8.1. შპს „ლ..ნ“ და შპს „მ-...ნ“ გამოთხოვილი 2019 წლის 6 ოქტომბრის ვიდეოჩანაწერის თანახმად, ავტომანქანის შეჯახების პარალელურად, შეიარაღებული მსჯავრდებულები ავტომანქანიდან გადმოდიან იმწუთიერად, ერთდროულად და ორგანიზებულად.

8.2. 2020 წლის 22 მაისის ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმის თანახმად, ტ. ვ-ის მონაწილეობით, დათვალიერდა შპს „მ-ნ“ გამოთხოვილი, 2019 წლის 6 ოქტომბრის ვიდეოჩანაწერები. ტ. ვ-ის განმარტებით, გ-ს ქუჩაზე ზოლებიანი მაისურით მყოფი პირი არის მისი ძმა – გ. ვ-ე, რომელიც ასევე თავისივე „BMW-ს“ ფირმის ავტომანქანით გადაადგილდება იქვე ქუჩაზე. ნითელი ე.წ. „კაპიშონიან“ ზედაში გამოწყობილი მამაკაცი არის გ-ს მეგობარი – გ. გ-ი, შავი ფერის ტანისამოსში მყოფი პირი, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე „შლაგაუშთან“ არსებულ ჯაჭვებზე ზის, არის გ-ს მეგობარი – ნ. ჯ-ი, ხოლო მეოთხე პირი არის ასევე გ-ს მეგობარი – ი. ჯ-ი. ტ. ვ-ის განმარტებით, კიბის უჯრედებიდან დაბრუნებულ მის ძმას ეჯახება შავი „ტოიოტა ქამრი“, რა დროსაც მისი ძმა და გ. გ-ი ასფალტზე ეცემიან. ტ. ვ-ემ ამოიცნო ავტომანქანის წინა მარჯვენა სავარძლიდან გადმოსული, იარაღით ხელში მყოფი – დ. რ., რომელიც იარაღს უმიზნებს იქ მყოფ პირებს. ასევე, ამოიცნო ზ. მ-ი, რომელსაც აცვია მუქი ტანისამოსი და აფარია ე.წ. „კეპიანი“ ქუდი. იგი სხვა მსჯავრდებულებს ეხმარება გ. ვ-ს ავტომანქანაში ჩასმაში.

8.3. 2020 წლის 22 მაისის ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმის თანახმად, დათვალიერდა შპს „ლ-ნ“ გამოთხოვილი, 2019 წლის 6 ოქტომბრის ვიდეოჩანაწერები. ტ. ვ-ის განმარტებით, ზოლებიანი მაისურით მყოფი პირი არის მისი ძმა – გ. ვ-ე, რომელიც ასევე თავისივე „BMW-ს“ ფირმის ავტომანქანით გადაადგილდება იქვე ქუჩაზე. ნითელი ე.წ. „კაპიშონიანი“ ზედის მქონე მამაკაცი არის გ-ს მეგობარი – გ. გ-ი, შავ ტანისამოსში მყოფი პირი, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე „შლაგაუშთან“ არსებულ ჯაჭვებზე ზის, არის გ-ს მეგობარი – ნ. ჯ-ი, ხოლო მეოთხე პირი არის ასევე გ-ს მეგობარი – ი. ჯ-ი. ტ. ვ-ის განმარტებით, როდესაც მისი ძმა კიბის უჯრედის უკანა მხრიდან ბრუნდება (ჩანაწერის მიხედვით 12:23 საათი), მას ეჯახება შავი „ტოიოტა ქამრი“, რა დროსაც ტ. ვ-ის განმარტებით, მისი ძმა და გ. გ-ი ასფალტზე ეცემიან. მოწმემ ამოიცნო ავტომანქანის წინა მარჯვენა სავარძლიდან გადმოსული იარაღით ხელში მყოფი დ. რ-ს, რომელიც იარაღს უმიზნებს იქ მყოფ პირებს. ასევე, ამოიცნო ზ. მ-სი, რომელსაც აცვია მუქი ტანისამოსი და აფარია ე.წ. „კეპიანი“ ქუდი, რომელიც სხვა მსჯავრდებულებს ეხმარება გ. ვ-ს ავტომანქანაში ჩასმაში, შემდეგ კი, ფეხით გარბის. როდესაც ავტომანქანა „ტოიოტა“ იძვრება და მასში უკვე ჩასმული ჰყავთ მისი ძმა – გ. ვ-ე, მოწმემ ჩანაწერის დათვალიერებისას დაინახა ავტომანქანის საჭესთან მჯდომი – ნ. კ-ე, იგივე „ნ.“, რომელსაც მისი მხრიდან მინა აქვს ჩანეული და ერთ მომენტში კამერისკენ იყურება. სწორედ ამ დროს ამოიცნო ტ. ვ-მ მისი ძმის ყოფილი მეგობარი და მისთვისაც კარგად ნაცნობი – ნ. კ-ე, რომელმაც ავტომანქანით წაიყვანა მისი ძმა და სხვა პირები.

ნაში იჯდა, როდესაც ავტომანქანის შეჯახების ხმა შემოესმა. დაინახა, რომ ორი ადამიანი ძირს ეგდო. ავტომანქანიდან, მძღოლის გვერდითა მხრიდან გადმოვიდა ერთი პირი ავტომატით, უკანა მხრიდანაც გადმოვიდნენ, მაგრამ რამდენი – არ ახსოვს. ერთ პირს ეჭირა პისტოლეტი, მეორეს დანა. ავტომატიანი პირი ატრიალებდა იარაღს, მისი და სხვა პირების მიმართულებით და იმუქრებოდა. ცოტა ხანში დაინახა, რომ დანარჩენი ორი პირი ძირს დავარდნილს მიათრევდნენ ავტომანქანისაკენ. მის მიერ ამოცნობილი ორი პირის გარდა, სხვაც იყო პისტოლეტით, მაგრამ მისგან ზურგით იდგა და ვერ ამოიცნო.

8.7. მონმე მ. ბ-მა განმარტა, რომ 2019 წლის ოქტომბერში მუშაობდა სამრეცხაოში. ჩხუბის ხმაზე გარეთ გასულმა დაინახა: „ტოიოტა ქამრის“ მარკის ავტომანქანა, პირი, რომელსაც ხელში ეჭირა ავტომატი და ორი პირი, რომლებიც გ. ვ-ს ძალით ექაჩებოდა ავტომანქანაში.

8.8. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის 2020 წლის 20 მაისის №... დასკვნით დადგინდა, მათ შორის, შემდეგი:

8.8.1. გ. ვ-ს სიკვდილის უშუალო მიზეზია სხეულის მრავლობითი ცეცხლნასროლი ჭრილობებიდან (კანის, კანქვეშა რბილი ქსოვილების, კუნთების, მყესების, ძვლების და მარჯვენა ბარძაყის ზედაპირული არტერიის დაზიანებით) განვითარებული სისხლდენით გამოწვეული გულის გაჩერების გამო, თავის ტვინის ანოქსიური დაზიანება, გართულებული თავის ტვინის შეშუპებით, დარბილებით, ღეროს დისლოკაციით და კეფის დიდ ხვრელში ჩაჭედვით;

8.8.2. გ. ვ-ს გვამის გამოკვლევისას ნანახი იქნა სიცოცხლის დროინდელი დაზიანება: მარჯვენა ბარძაყის გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა, შესავალი ხვრელით – მარჯვენა ბარძაყის უკანა ზედაპირზე, შუა მესამედში, ტერფის ძირიდან 65,0 სმ-ის დაშორებით, ჭრილობა – №..., ჭრილობის არხის მიმართულებით: უკნიდან წინ, მარჯვნიდან მარცხნივ, ოდნავ ზევით ქვევით, გამომავალი ხვრელით – მარჯვენა ბარძაყის ქვედა მესამედში, შიგნითა ზედაპირზე, ტერფის ძირიდან 44,5 სმ-ის დაშორებით, ჭრილობა – №..., ჭრილობის არხის მიმართულების შესაბამისად კანის, კანქვეშა რბილი ქსოვილების, ბარძაყის კუნთების და ბარძაყის ზედაპირული არტერიის გამჭოლი დაზიანებით. ჭრილობის არხის შესაბამისად ირგვლივ მდებარე რბილ ქსოვილებსა და კუნთებში დიფუზური სისხლჩაქცევები. აღნიშნული დაზიანება განვითარებულია რაიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ჭურვის მოქმედების შედეგად, ცოცხალ პირთა ექსპერტიზაში განისაზღვრება, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება და პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან;

8.8.3. გ. ვ-ს გვამის გამოკვლევისას, ასევე ნანახი იქნა სიცოცხლის-

დროინდელი დაზიანება: ერთი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ქრილობა გულმკერდის მარცხენა ნახევარში ილლიის შუა ხაზზე მე-8-9 ნეკნთაშუა სივრცის საპროექციოდ, ტერფის ძირიდან 112,5 სმ-ის დაშორებით, ქრილობა – ..., რომელიც შემავალია მარცხენა პლევის ღრუში, მიმართულებით მარცხნიდან მარჯვნივ, ოდნავ წინიდან-უკან, კანის, კანქვეშა რბილი ქსოვილების, მე-8-9 ნეკნთაშუა კუნთების, ნერვების, სისხლძარღვებისა და პლევრის ფურცლის დაზიანებით. აღნიშნული დაზიანება განვითარებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის მოქმედების შედეგად და ცოცხალ პირთა ექსპერტიზაში განისაზღვრება, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება და არ იმყოფება უშუალო მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან.

8.8.4. გ. ვ-ს გვამის გამოკვლევისას ასევე ნანახი იქნა სიცოცხლის-დროინდელი დაზიანებები: მარცხენა წვივის გამჭოლი ცეცხლნასროლი ქრილობა – შესავალი ხვრელით მარცხენა წვივის ქვედა მესამედში, უკანა და გარეთა ზედაპირების საზღვარზე, ტერფის ძირიდან 16,3 სმ-ის დაშორებით, ქრილობა – №5, ქრილობის არხის მიმართულებით: უკნიდან-წინ, მარცხნიდან მარჯვნივ, ზევიდან ქვევით, გამოსავალი ხვრელით მარცხენა წვივის ქვედა მესამედში, უკანა და შიგნითა ზედაპირების საზღვარზე, ტერფის ძირიდან 12,5 სმ-ის დაშორებით, ქრილობა – №5ა, ქრილობის არხის მიმართულების შესაბამისად: კანის, კანქვეშა რბილი ქსოვილების და მცირე წვივის კუნთების და ტერფის ანუ აქილევსის მყესის გამჭოლი დაზიანებით. მარცხენა ტერფის მიდამოს გამჭოლი ცეცხლნასროლი ქრილობა – შესავალი ხვრელით, მარცხენა კოჭ-წვივის სახსრის გარეთა და წინა ზედაპირების საზღვარზე, ტერფის ძირიდან 7,5 სმ-ის დაშორებით, ქრილობა – №6, ქრილობის არხის მიმართულებით: მარცხნიდან მარჯვნივ, ზევიდან ქვევით, ოდნავ წინიდან-უკან, გამოსავალი ხვრელით მარცხენა ტერფის ძირზე, ქუსლის მიდამოში ცენტრალურად, ქრილობა – №6ა, ქრილობის არხის მიმართულების შესაბამისად: კანის, კანქვეშა რბილი ქსოვილების გამჭოლი დაზიანებით და ქუსლის ძვლის ფრაგმენტოვანი მოტეხილობით. მარცხენა ტერფის მიდამოს გამჭოლი ცეცხლნასროლი ქრილობა, შესავალი ხვრელით, მარცხენა ტერფის ზურგზე, ცენტრალურად, ტერფის ძირიდან 7,0 სმ-ის დაშორებით, ქრილობა – №7, ქრილობის არხის მიმართულებით: ზევიდან ქვევით, ოდნავ მარცხნიდან მარჯვნივ, ოდნავ წინიდან-უკან, გამოსავალი ხვრელით – მარცხენა ტერფის ძირის, ქუსლის და შიგნითა ზედაპირების საზღვარზე, ქრილობა – №7ა, ქრილობის არხის მიმართულების შესაბამისად: კანის, კანქვეშა რბილი ქსოვილების გამჭოლი დაზიანებებით და წინა-ტერფის მეორე მეტატარზალური ძვლის ფრაგმენტოვანი მოტეხილობით ფუძეზე. მარცხენა ტერფის მიდამოს გამჭოლი ცეცხლნასროლი ქრილობა, შესავალი ხვრელით, მარცხენა

ტერფის ზურგზე, ცენტრიდან ოდნავ შიგნით, ტერფის ძირიდან 6,0 სმ-ის დაშორებით, ჭრილობა – №8, ჭრილობის არხის მიმართულებით: ზევიდან ქვევით, ოდნავ მარცხნიდან-მარჯვნივ, ოდნავ წინიდან უკან, გამოსავალი ხვრელით – მარცხენა ტერფის ძირის შიგნითა ზედაპირზე ჭრილობა – №8ა, ჭრილობის არხის მიმართულების შესაბამისად: კანის, კანქვეშა რბილი ქსოვილების გამჭოლი დაზიანებით და წინა ტერფის პირველი მეტატარზალური ძვლის ფრაგმენტოვანი მოტეხილობით შუა მესამედში. მარჯვენა ტერფის გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა, შესავალი ხვრელით – მარჯვენა ტერფის ქუსლის მიდამოში შიგნითა ზედაპირზე, ტერფის ძირიდან 3,0 სმ-ის დაშორებით, ჭრილობა – №14, ჭრილობის არხის მიმართულებით: მარცხნიდან-მარჯვნივ, ოდნავ უკნიდან-წინ და ოდნავ ზევიდან ქვევით, გამომავალი ხვრელით – მარჯვენა ტერფის ქუსლის მიდამოში, გარეთა ზედაპირზე ჭრილობა – №14ა, ჭრილობის არხის მიმართულების შესაბამისად: კანის, კანქვეშა რბილი ქსოვილების და ქუსლის ძვლის გამჭოლი დაზიანებით. ჭრილობების არხების შესაბამისად, მთელს გაყოლებაზე ირგვლივ მდებარე რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევები და იმბიბიციები. აღნიშნული დაზიანებები, როგორც ცალ-ცალკე, ისე – ერთობლიობაში აღებული, განვითარებულია რაიმე ცეცხლნასროლი იარაღიდან გასროლილი ჭურვის (ჭურვების) მოქმედების შედეგად, ცოცხალ პირთა ექსპერტიზაში განისაზღვრება, როგორც ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანებები და დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან უშუალო მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფება;

8.8.5. გ. ვ-ს გვამის გამოკვლევისას, ასევე ნანახი იქნა სიცოცხლის დროინდელი დაზიანებები: ორი სწორკიდეებიანი ნაკვეთი ჭრილობა მარჯვენა თვალებზე გარეთა კიდეში, ყვრიმალის გარეთა მესამედში, ტერფის ძირიდან 151 სმ-ის დაშორებით, ჭრილობა – №1, კანის და კანქვეშა რბილი ქსოვილების დაზიანებით და მარჯვენა ყურის ნიჟარის უკანა ჭავლის შუა მესამედში, ტერფის ძირიდან 152 სმ-ის დაშორებით, ჭრილობა – №2. აღნიშნული დაზიანებები როგორც ცალ-ცალკე, ისე – ერთობლიობაში აღებული განვითარებულნი არიან რაიმე მჭრელი თვისების მქონე საგნის მოქმედების შედეგად და ცოცხალ პირთა ექსპერტიზაში განისაზღვრება, როგორც მსუბუქი ხარისხის დაზიანებები და დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან მიზეზობრივ კავშირში არ არის;

8.8.6. დასკვნის თანახმად, გ. ვ-ს გვამს, ასევე აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები: მარცხენა ბარძაყის შუა მესამედში გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა – შესავალი ხვრელით მარცხენა ბარძაყის უკანა ზედაპირზე, ზედა და შუა მესამედების საზღვარზე, ტერფის ძირიდან 72,5 სმ-ის დაშორებით, ჭრილობა – №4, ჭრილობის არხის მიმართულებით: უკნიდან-წინ, მარჯვნიდან მარცხნივ, ოდნავ ზე-

[illegible]

კანჭის ტყუპი და თერძის კუნთების გამჭოლი დაზიანებით. ჭრილობების არხების შესაბამისად, მთელს გაყოლებაზე ირგვლივ მდებარე რბილ ქსოვილებში სისხლჩაქცევები და იმბიბიციები. აღნიშნული დაზიანებები, როგორც ცალ-ცალკე, ისე – ერთობლიობაში აღებული, განვითარებულნი არიან რაიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ჭურვის (ჭურვების) მოქმედების შედეგად, ცოცხალ პირთა ექსპერტიზაში განისაზღვრება, როგორც მსუბუქი ხარისხის დაზიანებები და დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან უშუალო მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფება;

8.8.7. გ. ვ-ს გვამს ასევე აღენიშნებოდა, სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები: ორივე მხრის, მარცხენა იდაყვის სახსრის, მარცხენა წინამხრის, მარჯვენა ბეჭქვეშა და მარჯვენა ბარძაყის მიდამოებში სისხლნაჟღენთები, რომლებიც, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლიობაში აღებული, განვითარებულნი არიან რაიმე მკვრივ-ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად და ცოცხალ პირთა ექსპერტიზაში განისაზღვრება, როგორც მსუბუქი ხარისხის დაზიანებები და დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფება;

8.8.8. დაზიანებები ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ 2019 წლის 6 ოქტომბერს;

8.8.9. გ. ვ-ს გვამს გამოკვლევისას, ასევე აღენიშნებოდა – თავის ტვინის ანოქსიური დაზიანება თავის ტვინის შეშუპებით, დარბილებით, მრავლობითი კეროვანი სისხლჩაქცევებით თავის ტვინის ნივთიერებაში, მაგარ და რბილ გარსებში, ღეროს დისლოკაცია და ჩაჭედვა კეფის დიდ ხვრელში – ორმხრივი დეკომპრესიული ტრეპანაციის შემდგომი მდგომარეობა. სამედიცინო დოკუმენტაციის ჩანაწერების მიხედვით, გულის გაჩერების და მისი შემდგომი აღდგენის შემდგომი მდგომარეობა განვითარებულია ზოგადი მწვავე სისხლნაკლებობით.

8.9. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ასევე ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის 2020 წლის 24 მარტის №... დასკვნაზე, რომლის თანახმად, მათ შორის, პაკეტში, წარწერით: „...№.., №.., №.. მონითალო ფერის ლაქის ანანმენდები სტერილურ ჩხირზე და საკონტროლო ანანმენდები, ამოღებული გ-ს ქ. №.. – მიმდ. ასფალტიდან...“, მოთავსებული ჩხირების ბამბიან ბოლოებზე არსებული მონითალო მოყავისფრო ლაქები (ობ. №...), წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომელიც ეკუთვნის გ. ვ-ს (ობ. №..) და ეს მაშინ, როდესაც, მსჯავრდებულ დ. რ.-ს განმარტებით: გ. ვ-ეს ავტომანქანის ცხვირით ოდნავ მიედნენ; ამასთან, გ. ვ-სათვის დაზიანებები ავტომანქანაში არ ჰქონდა/არ დაუნახავს, ჭრილობები დაინახა მხოლოდ ლ-ზე, როცა გასროლილი ტყვიები მოხვდა ფეხებში (12:12:20). გ. ვ-ე ფეხებში იყო დაჭრილი, ნელსზემოთ ჭრილობა არ ჰქონდა (13:27:57; 13:29:10).

8.9.1. ამასთან, იმავე დასკვნის თანახმად, მათ შორის, პაკეტებში, წარწერებით: „...მონ. ფერის ლაქის ანანმენდი სპეც. ბიოლოგიურ ჩხირზე, აღებული ა/მანქანის წინა მარჯვენა კარის გარე ზედაპირიდან ...ბ...ნი სკოლისა და ლ... მ/ტ. ა/მანქანა ტოიოტა სახ. №... დათვალიერება..“ და „...მონ. ფერის ლაქის ანანმენდები სპეც. ბიოლოგიურ ჩხირზე, 8 ნიმუშად, საკონტროლო ანანმენდებთან ერთად, აღებული ა/მანქანის სალონიდან ...ბ-ლი სკოლისა და ლ... მ/ტერიტ. ა/მანქანა ტოიოტა სახ. №... დათვალიერება...“, მოთავსებული ჩხირების ბამბიან ბოლოებზე არსებული მონიტალო-მოყავისფრო ლაქები (ოზ. №...) წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომელიც ეკუთვნის გ. ვ-ეს (ოზ. №...); პაკეტში, წარწერით: „...ოზ. №..., თმის ღერები ამოღებული უკანა მარჯვენა სავარძლის წინ, ფეხის დასაფენიდან...ბრიტანული სკოლისა და ლ... მ/ტ. ა/მ ტოიოტა სახ. №... დათვალიერება...“, მოთავსებული თმები (ოზ. №...) ეკუთვნის გ. ვ-ეს (ოზ. №...).

8.9.2. მოწმეთა ჩვენებები, ვიდეოჩანაწერი, ექსპერტიზის დასკვნები და შემთხვევის ადგილზე დატოვებული გ. ვ-ს სისხლის კვალი, გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ გულმკერდის არეში მძიმე ხარისხის დაზიანება გ. ვ-ეს მიაყენა დ. ბ-სმა, ჯერ კიდევ ავტომანქანაში ჩასმამდე, რაც, იმავდროულად, გამორიცხავს ვერსიას, თითქოს მხოლოდ ავტომანქანიდან გადასვლის შემდეგ, შემთხვევით „ავტომატურ რეჟიმში“ მყოფი იარაღიდან გავარდნილმა ტყვიების ჯერმა დააზიანა გ. ვ-მ.

8.10. ბალისტიკური ექსპერტიზის 2019 წლის 7 სექტემბრის №... დასკვნის თანახმად:

8.10.1. ოთხი მასრა არის 9 მმ კალიბრიანი პისტოლეტებისათვის: „Steier mod. 1911, Pi-18; Browning mod. 1935; Astra mod. 600; Star; Beretta mod. 93, 1923, 1951, Brixia; Parabellum; Mauzer; Mauzer-Parabellum; Tanfoglio T95; Walter P.38 HS-9“ და სხვა, ამავე კალიბრიანი უცხოური წარმოების პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების, ხელის ტყვიამფრქვევების, კარაბინების და მაშხანების დიდი ჯგუფისათვის განკუთვნილი ქარხნული წესით დამზადებული 9მმ კალიბრიანი, 1908 წლის ნიმუშის, „ბორხარტ-ლუგერის“ (P.08.) პარაბელუმის პისტოლეტის ვაზნის (საბრძოლო მასალის) შემადგენელი ნაწილი, რომლებიც ვარგისია იდენტიფიკაციისათვის და ოთხივე (4) მასრა გასროლილია 9 მმ კალიბრიანი, ერთიდაიგივე იარაღიდან, რომელიც განკუთვნილია ამავე კალიბრიანი, 1908 წლის ნიმუშის, „Parabellum – P.08.“ ვაზნების გასასროლად.

8.10.2. ორი ტყვია არის 9 მმ კალიბრიანი პისტოლეტებისათვის: „Steier mod. 1911, Pi-18; Browning mod. 1935; Astra mod. 600; Star; Beretta mod. 93, 1923, 1951, Brixia; Parabellum; Mauzer; Mauzer-Parabellum; Tanfoglio T95; Walter P.38, „HS-9“ და სხვა, ამავე კალიბრიანი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ-

ბის, ხელის ტყვიამფრქვევების, კარაბინების და შაშხანების დიდი ჯგუფისათვის განკუთვნილი ქარხნული წესით დამზადებული, 9 მმ კალიბრიანი, 1908 წლის ნიმუშის, „Parabellum – P.08.“ ვაზნის (საბრძოლო მასალის) შემადგენელი ნაწილი, ორივე ტყვიაზე აღინიშნება გასროლის შემდგომ რაიმე შედარებით მყარ საგანთან კონტაქტის კვალი, აქედან ერთი ტყვია ვარგისია იდენტიფიკაციისათვის, ხოლო მეორე ტყვია ვარგისია იდენტიფიკაციისათვის კონკრეტულ იარაღთან, ორივე ტყვია გასროლილია 9მმ კალიბრიანი იარაღიდან, რომელიც განკუთვნილია ამავე კალიბრიანი, 1908 წლის ნიმუშის, „Parabellum – P.08.“ ვაზნების გასასროლად.

8.10.3. ტყვიაზე და მასრებზე ვერ იქნა აღმოჩენილი სათანადო რაოდენობა ინდივიდუალური და კერძო ნიშნების, რომელთა ერთობლიობით დგინდება, შეადგენდა თუ არა გასროლამდე რომელიმე მასრა ან ტყვია ერთ მთელს. გამომდინარე აქედან, აღნიშნულის დადგენა ვერ მოხერხდა.

9. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერებით დასტურდება, რომ მსჯავრდებულები ავტომანქანით გაჰყვნენ გ. ვ-ეს, ხოლო ავტომანქანით შეჯახებისთანავე, იარაღებითა და დანით შეიარაღებულები, თავს დაესხნენ და ლ-ზე ასაყვანად ძალით ჩასვეს ავტომანქანაში. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ავტომანქანიდან გადასულ პირებს შორის, ვ. კ-ე შეიარაღებული იყო ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნით, ხოლო დ. ბ-ი – დანით; მათ ფაქტობრივად რამდენიმე წამში მოახერხეს გ. ვ-ს წინააღმდეგობის დათრგუნვა – ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, დაზიანება და ავტომანქანაში ჩასმა. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ავტომანქანიდან შეიარაღებული გადმოვიდა არამხოლოდ დ. რ-ს, არამედ (მასთან ერთად) მისი თანმხლები პირებიც, ასევე დ. რ-ს ჩვენების მხედველობაში მიღებით (რომლითაც დგინდება, რომ დ. რ-ს თანმხლები პირებისთვის ცნობილი იყო გ. ვ-ესთან მისვლის მიზეზი და მიზანიც), ასევე გ. ვ-სათვის ფიზიკური შეურაცხყოფისა და ცივი იარაღით დაზიანების მიყენების გათვალისწინებით (გ. ვ-ს მხრიდან წინააღმდეგობის არარსებობის მხედველობაში მიღებით), სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ გ. ვ-ს მიმართ თავდასხმა და შემდგომში განვითარებული მოვლენები („ყველაფერი“) დაუგეგმავად განვითარდა. ავტომანქანის შეჯახება, მსჯავრდებულების ერთდროულად და შეიარაღებულ მდგომარეობაში (ცეცხლსასროლი იარაღით, დანითა და ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნით) ავტომანქანიდან გადასვლა, გ. ვ-სთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება, დანის დარტყმა, მისი ავტომანქანაში ჩასმა, ლ... მიმდებარე ტერიტორიაზე აყვანა და საბოლოოდ მიყენებული დაზიანებები, – არასარწმუნოს ხდის დ. რ-ს ჩვენებას.

10. წარმოდგენილი მტკიცებულებების, განვითარებული მოვლენებისა და მსჯავრდებულთა ერთობლივი მოქმედებების გათვალისწინებით, დგინდება, რომ მათი ქმედებები გ. ვ-სათვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ნაწილში შეთანხმებული იყო. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მოთხოვნას – ვ. კ-ის, ნ. კ-ს და დ. ბ-ის ამ ნაწილში უდანაშაულოდ ცნობის, ხოლო დ. რ-ს მიერ ჩადენილი ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებით დაკვალიფიცირების შესახებ. აღნიშნული მოთხოვნა არ შეესაბამება საქმეში არსებულ და სასამართლოს მიერ გამოკვლეულ მტკიცებულებებს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას მაკვალიფიცირებელ გარემოებებთან მიმართებით.

11. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ. *Gorou v. Greece* (No.2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009).

12. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დგინდება მსჯავრდებულების: ვ. კ-სის, დ. რ-სის, ნ. კ-ს და დ. ბ-სის მიერ გ. ვ-სათვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენების ფაქტი, დამნაშავესათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

13. რაც შეეხება მსჯავრდებულების მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარებას, ჩადენილს ჯგუფურად, სასამართლო ითვალისწინებს შემდეგს:

13.1. საქართველოს შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის უფროსის დ. ა-ის წერილს (საინფორმაციო ცენტრის კომპიუტერული ბაზის მონაცემებით: დ. რ-ს სახელზე რეგისტრირებულია ... მოდელის №.... კარაბინი) და წერილის დანართის სახით წარმოდგენილ „კომპიუტერული ბაზისა და ძეგნილი იარაღების ბაზიდან ამონაბეჭდებს“, რომლითაც დგინდება, რომ 2019 წლის 6 მარტს დ...- ი. ძე რ-ს სახელზე გაცემულია ნებართვა (ნებართვის ნომერი:) მის საკუთრებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვასა და ტარებაზე; ამავე ნებართვაში მითითებული იარაღის (... 9X19, ხრახნილ-ლულიანი კარაბინი) მონაცემებს;

13.2. მსჯავრდებულ დ. რ-ს ჩვენებას (თანხლებმა პირებმა – თანამსჯავრდებულებმა – არ იცოდნენ, რომ ავტომატულ იარაღში ჰქონდა იარაღი, მათ გაიგეს მაშინ, როცა შეჯახებისას აიღო იარაღი და გადავიდა

ავტომანქანიდან (12:39:42; 13:15:23). მის ხელში მეგობრებს იარაღი უნახავთ, მაგრამ ბოლო პერიოდში – არა, ეს (შემთხვევის დროს თანქონილი) იარაღი არ იცოდნენ (13:16:53; 13:17:01)), საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის უფროსის დ. ა-ის წერილისა (საინფორმაციო ცენტრის კომპიუტერული ბაზის მონაცემებით: დ. რ-ს სახელზე რეგისტრირებულია UZI-S მოდელის №.... კარაბინი) და დაცვის მხარის პოზიციას (თანამსჯავრდებულებს დ. რ-ს იარაღი შეეშალათ, მისივე საკუთრებაში არსებულ იარაღში);

13.3. იმ გარემოებას, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ არის წარმოდგენილი არც ერთი (არც პირდაპირი და არც გარემოებითი) მტკიცებულება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მაინც დაადასტურებდა, რომ ვ. კ-სთვის, ნ. კ-სთვის ან/და დ. ბ-სთვის ცნობილი იყო/ობიექტურად შეიძლება ყოფილიყო ცნობილი, რომ იარაღი, რომელიც შემთხვევის დღეს ჰქონდა დ. რ-ს (და რაც ობიექტურად დაინახეს მსჯავრდებულებმა) იყო უკანონოდ შეძენილი და არა ის იარაღი, რომლის ტარების უფლებაც დ. რ-ს ჰქონდა; ასევე არ არის წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება (პირდაპირი ან/და გარემოებითი), რომელიც დაადასტურებდა/მიუთითებდა აღნიშნული მსჯავრდებულების მიერ დ. რ-სთან ერთად მითითებული ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენას, შენახვას და ჯგუფურად ტარებას.

13.4. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი უნდა გამორიცხავდეს ეჭვებისა და ვარაუდების საფუძველზე პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44); ასევე იმ გარემოებას, რომ “*in dubio pro reo* პრინციპი ავალდებულებს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-52). მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი მოითხოვს, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ გარემოების დადასტურება მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჯეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს.

13.5. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 30

იანვრის განაჩენს, მსჯავრდებულების: დ. რ-ს, ვ. კ-ს, ნ. კ-სა და დ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში.

13.6. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ დ. რ-ს შემთხვევის დროს მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა, ასევე მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ და შენახულ ცეცხლსასროლ იარაღს, თუმცა, განსახილველი შემთხვევის დროს, მის (დ. რ-ს) მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული ცეცხლსასროლი იარაღის აშკარად და დემონსტრაციულად უკანონოდ ტარება per se არ არის საკმარისი ვ. კ-ის, ნ. კ-ს, დ. ბ-ს და დ. რ-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა და ტარება, ჩადენილი ჯგუფურად) მსჯავრდებისათვის.

13.7. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული დანაწესის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს; საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი, ხოლო საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილისა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში. მტკიცებულებათა ერთობლიობა კი საქმეში უნდა არსებობდეს თითოეულ ეპიზოდთან/მაკვალიფიცირებელ გარემოებასთან მიმართებით (მაგ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 3 აპრილის №1144აპ-23, 2024 წლის 5 მარტის №890აპ-23 განჩინებები).

14. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დ. რ-ს, ვ. კ-ს, ნ. კ-ს, დ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „უ“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-8 ნაწილით მსჯავრდებისა და სასჯელის ნაწილში, თუმცა დაცვის მხარის პოზიციისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით არ იზიარებს ვ. კ-ის, ნ. კ-ს და დ. ბ-ის მიერ დ. რ-სთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღისა და

საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვისა და ტარების, ჯგუფურად ჩადენის თაობაზე.

14.1. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. კ-ე, ნ. კ-ე და დ. ბ-სი უნდა გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხილ მსჯავრში, ხოლო დ. რ-ს მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილებზე, რისთვისაც სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

15. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ სასჯელის გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალურ გარემოებებს, საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 11 ივლისი, II-10).

15.1. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ არ ხდის დანიშნულ სასჯელის ხანგრძლივობის კანონიერებას. შესაბამისად, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში, საკასაციო სასამართლო მოკლებულია აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას.

16. საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 30 იანვრის განაჩენით ნივთიერი მტკიცებულების – „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანის – („TOYOTA CAMRY HYBRID~ (VIN: 4T1BD1FK1CU049292)) გადაწყვეტის საკითხს. კერძოდ, გასაჩივრებული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანა (სახელმწიფო ნომრით:), რომელიც დალუქულ მდგომარეობაში განთავსებულია შსს ვ... განყოფილების ავტოსადგომზე, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის შესაბამისად, დ. რ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვას, რის თაობაზეც ეცნობოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“.

16.1. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში თუ სასამართლო ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას ახდენდა საქართველოს საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხ-

ლით დადგენილი წესით, აღნიშნული, საქართველოს სსკ-ის 274-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მითითებული უნდა ყოფილიყო განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის იმ ნაწილში, სადაც ხდება სასჯელის შეფარდება და არა ნივთიერი მტკიცებულების საკითხის გადაწყვეტისას, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლი ადგენს სასჯელის სახეს – ქონების ჩამორთმევას.

16.2. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ 2019 წლის 6 ოქტომბრის ამოღების ოქმის თანახმად, თ.... მიმდებარე ტერიტორიიდან ამოიღეს შავი ავტომანქანა „ტოიოტა კამრი“, სახელმწიფო ნომრით „...“, ხოლო სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხის თანახმად, საქმეზე დართულ საგნებსა და ნივთებს შორის, მითითებულია აღნიშნული – „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანა (სახელმწიფო ნომრით: ...), რომელიც დალუქულ მდგომარეობაში განთავსებულია შსს ვ... განყოფილების ავტოსადგომზე – შესაბამისად, საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის 25-ე ნაწილის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება, წარმოადგენს ნივთიერ მტკიცებულებას, რომლის საკითხის გადაწყვეტაც უნდა განხორციელდეს საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის საფუძველზე. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულების საკითხის გადაწყვეტისას, თუ დანაშაულის იარაღს ან საგანს აქვს რაიმე ღირებულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია.

16.3. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ სასჯელის სახით საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე ქონების კონფისკაციის გამოყენება საჭიროებს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დასაბუთებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის № 1/2/384 გადაწყვეტილების საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ გათვალისწინებით.

16.3. აღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ კასატორი მხარის მოთხოვნის არარსებობის პირობებში, საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე.

17. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ დასაბუთების ვალდებულება „არ მოითხოვს მომჩივნების მიერ წარმოდგენილ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, §31, ECtHR, 11/11/2011). იმის განსაზღვრისას, საჭიროებდნენ თუ არა მომჩივნების არგუმენტები აშკარა პასუხს... სასამართლომ უნდა გაითვა-

ლისწინოს თუ რამდენად დასაბუთებული იყო მომჩივნების არგუმენტები იმისათვის, რომ ეჭვქვეშ დაეყენებინა სასამართლოების დასკვნები და საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებები (Lobzhanidze and Peradze v. Georgia, no 21447/11, no. 35839/11, §69, ECtHR, 27/02/2020).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულების: დ. რ-ს, ვ. კ-ს, ნ. კ-სა და დ. ბ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ლ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 30 იანვრის გაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ვ. კ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

3.1. ვ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

3.1.1. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-8 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

3.1.2. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

3.1.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ვ. კ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

3.1.4. ვ. კ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 3 დეკემბრიდან.

4. ნ. კ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

4.1. ნ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

4.1.1. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-8 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

4.1.2. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

4.1.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, ნ. კ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

4.1.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დევმატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ნ. კ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 17 წლით;

4.1.5. ნ. კ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 7 დეკემბრიდან.

5. დ. ბ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში;

5.1. დ. ბ-ი ცნობილი იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

5.1.1. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-8 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

5.1.2. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

5.1.3. საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით – თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

5.1.4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

5.1.5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს დევმატოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 მარტის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და საბოლოოდ, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით, დ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 17 წლით;

5.1.6. დ. ბ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 3 დეკემბრიდან.

6. დ. რ-ს ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებზე;

6.1. დ. რ-ს ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

6.1.1. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“, „ე“, მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მე-8 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

6.1.2. საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით – თავისუფლების აღკვეთა 9 წლით;

6.1.3. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით;

6.1.4. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით;

6.1.5. საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით;

6.6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, დ. რ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 13 წლით;

6.7. დ. რ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 10 დეკემბრიდან.

8. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

9. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ექსტრადიცია

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№27¹-24

11 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ე. ს-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატო. გ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. ს-ის მიმართ საქართველოში მიმდინარე საექსტრადიციო პროცედურები:

2024 წლის 6 თებერვალს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს თ-ის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ე. ს-ი;

2024 წლის 7 თებერვალს რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებით ე. ს-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით;

2024 წლის 14 მარტს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მიიღო ე. ს-ის ექსტრადიციის თაობაზე თ-ის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა და შესაბამისი მასალები;

2024 წლის 29 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის განჩინებით ე. ს-ის მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა 3 თვით, 6 თვემდე, კერძოდ, 2024 წლის 6 აგვისტომდე;

2. ე. ს-ის მიმართ თ-ის რესპუბლიკაში განხორციელებული სისხლისსამართლებრივი პროცედურები:

2022 წლის 13 სექტემბერს თ-ის რესპუბლიკის ქ. ი-ის სისხლის სამართლის საქმეთა 34-ე სასამართლოს განაჩენით ე. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ თურქეთის რესპუბლიკის №5237 სისხლის სამართლის კოდექსის 86-ე მუხლის პირველ ნაწილითა და 87-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) გათვალისწინებული

დანაშაულების ჩადენისთვის. აღნიშნული განაჩენით ე. ს-ს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 1 წლითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა;

2023 წლის 13 ივლისს აღნიშნული განაჩენი შევიდა კანონიერ ძალაში;

2023 წლის 5 სექტემბერს გამოიცა ე. ს-ის დაკავების ბრძანება;

2024 წლის 12 მარტს თ-ის რესპუბლიკის ქ. ი-ის პირველი უმაღლესი სისხლის სამართლის სასამართლომ გასცა ე. ს-ის დაკავების ბრძანება, რომლის თანახმად, მას ბრალად ედება თურქეთის რესპუბლიკის №5237 სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით (განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა;

2024 წლის 2 იანვრიდან, ე. ს-ი თ-ის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნება ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

3. ფაქტები:

3.1. 2022 წლის 13 სექტემბრის განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 4 სექტემბერს, ურთიერთშელაპარაკებისას წარმოშობილი კონფლიქტის დროს, ე. ს-მა და მისმა თანამზრახველებმა დაზარალებულს მიაყენეს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

3.2. ე. ს-ის ბრალად წარდგენილი ქმედება:

2023 წლის 30 ივნისს ე. ს-ის თანამზრახველსა და დაზარალებულს შორის წარსულში არსებულ დაპირისპირებასთან დაკავშირებული შურისძიების მიზნით, ე. ს-ი და ჯგუფის სხვა წევრები ჩაუსაფრდნენ დაზარალებულს. აღნიშნულმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღებიდან ესროლეს ავტომანქანას, რომელშიც იყო დაზარალებული. დაზარალებული დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში, თუმცა, მიღებული დაზიანებების შედეგად იგი სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა.

4. 2024 წლის 2 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა, თემურ ცინდელიანმა და მოითხოვა, დასაშვებად იქნეს ცნობილი ე. ს-ის თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიცია.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 ივლისის განჩინებით:

საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორ თემურ ცინდელიანის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა;

დასაშვებად იქნა ცნობილი ე. ს-ის თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიცია თურქეთის რესპუბლიკის №5237 სისხლის სამართლის კოდექსის

86-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 87-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის მის მიმართ თ-ის რესპუბლიკის ქ. ი-ის სისხლის სამართლის საქმეთა 34-ე სასამართლოს მიერ 2022 წლის 13 სექტემბერს გამოტანილი განაჩენის აღსრულების მიზნით.

დასაშვებად იქნა ცნობილი ე. ს-ს თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიცია მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, იმ დანაშაულებრივი ქმედებებისთვის, რომლებიც აღწერილია ე. ს-ის ექსტრადიციის თაობაზე თ-ის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების 2024 წლის 12 მარტის შუამდგომლობაში და ისჯება თურქეთის რესპუბლიკის №5237 სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით (განზრახ მკვლელობა).

6. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ე. ს-ის – ინტერესების დამცველი ადვოკატი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 ივლისის განჩინების გაუქმებასა და ექსტრადიციის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

6.1. საკასაციო საჩივრის მიხედვით, ე. ს-ის მიმართ თავშესაფრის მინიჭების საკითხის განხილვა არ არის დასრულებული. ე. ს-ის თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, იგი დაექვემდებარება ნამებასა და არაადამიანურ მოპყრობას, რადგან წარმოშობით არის ქურთი. ასევე, მის მიმართ დაცული არ იქნება სამართლიანი სასამართლოს უფლება.

7. დაცვის მხარის საკასაციო საჩივარზე 2024 წლის 10 ივლისს, საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა, თემურ ცინდელიანმა, წარმოადგინა გენერალური პროკურატურის პოზიცია და მოითხოვა ე. ს-ის მიმართ გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 ივლისის განჩინების უცვლელად დატოვება.

7.1. პოზიციის ავტორი აღნიშნავს, რომ არ არსებობს „არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის,“ რომ თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, ე. ს-ი დაექვემდებარება ნამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან/და არსებობს მისი სიცოცხლის ხელყოფის ან/და დევნის რისკი. თ-ის რესპუბლიკის შესაბამისი ორგანოების მიერ წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, ე. ს-ის საქმეში არ არის რაიმე სახის ამკარა და უხეში პროცედურული დარღვევა, რომელიც წარმოშობდა ვარაუდს, რომ თ-ის რესპუბლიკაში იგი დაექვემდებარა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას ან ექ-

სტრადიციის შემთხვევაში, არსებობს ასეთი დარღვევის საფრთხე. ე. ს-ი ესწრებოდა საქმის არსებით განხილვას და სასამართლოს ჩვენება მისცა მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის მონაწილეობით გამართულ სასამართლო სხდომაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვისა და ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპები, ხანდაზმულობის ვადა, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

3. თ-ის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ე. ს-ი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა დააკავეს 2024 წლის 6 თებერვალს. წარმოდგენილი საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ როგორც დაკავებისას, ისე საქსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები არ დარღვეულა.

4. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 თავი დეტალურად განსაზღვრავს პირის მიმართ ექსტრადიციის დასაშვებობის საფუძვლებს; საკასაციო სასამართლო თითოეულ მათგანს მიმოიხილავს ცალ-ცალკე და შეაფასებს, არსებობს თუ არა ე. ს-ის თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შესახებ განჩინების შეცვლის რაიმე სახის საფუძველი.

5. ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაული:

5.1. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, იმისათვის, რომ დანაშაული ექვემდებარებოდეს ექსტრადიციას, მნიშვნელოვანია ორი კომპონენტის დაკმაყოფილება:

1) მოცემული დანაშაული როგორც საქართველოს, ისე შესაბამისი უცხო ქვეყნის კანონმდებლობით იყოს დასჯადი, 2) ამ დანაშაულის

ჩადენა, სულ მცირე, 1 წლით თავისუფლების აღკვეთით, ან უფრო მკაცრი სასჯელით უნდა ისჯებოდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი უკვე მსჯავრდებულია, აუცილებელია, რომ მას მისჯილი ჰქონდეს, სულ მცირე, ოთხი თვით თავისუფლების აღკვეთა.

5.2. საქართველოს გენერალური პროკურატურის შუამდგომლობის 20-21-ე პუნქტებში აღწერილი ქმედებების (რომლებიც ისჯება თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსით და აკმაყოფილების სასჯელის მინიმალურ წესს) საქართველოს იურისდიქციის ქვეშ ჩადენის შემთხვევაში, დაისჯებოდა, სულ მცირე:

საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ჩადენილი ჯგუფურად), რისთვისაც მაქსიმალური სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრულია 13 წლით თავისუფლების აღკვეთა და იმავე კოდექსის 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ჯგუფურად), რისთვისაც მაქსიმალური სასჯელის სახედ და ზომად განსაზღვრულია უვადო თავისუფლების აღკვეთა.

5.3. ამდენად, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ე. ს-ის მიერ ჩადენილი ზემოხსენებული ქმედებები დანაშაულად ითვლება და ისჯება, როგორც საქართველოს, ისე – თ-ის რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით და ორივე შემთხვევაში, სასჯელის სახით გათვალისწინებულია, სულ მცირე, ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. საქართველოს მოქალაქის ექსტრადიცია:

6.1. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, დაუშვებელია საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული მონაცემებით დასტურდება, რომ ე. ს-ი (დაბადებული ... წლის ... აგვისტოს), არ ითვლება საქართველოს მოქალაქედ. ამასთან, იგი თ-ის რესპუბლიკის მოქალაქეა.

7. სამართლიანი სასამართლოს უფლება:

7.1. წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალები ცხადყოფს, რომ ე. ს-ის საქმეში არ არის რაიმე სახის აშკარა/უხეში პროცედურული დარღვევა, რომელიც გამოკვეთდა იმ გარემოებას, რომ თ-ის რესპუბლიკაში იგი დაექვემდებარა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას ან, ექსტრადიციის შემთხვევაში, იარსებებს ასეთი დარღვევის საფრთხე. თ-ის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალის თანახმად, ე. ს-ი ესწრებოდა საქმის

არსებით განხილვას, რა დროსაც სასამართლოს მისცა ჩვენება.

8. ხანდაზმულობის ვადა:

8.1. საქართველოს გენერალური პროკურორის შუამდგომლობის ??-20-21-ე პუნქტებში აღწერილი ქმედებები საქართველოს კანონმდებლობით შეესაბამება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი თავისუფლდება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა 30 წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან; ამავე კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა 15 წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს.

8.2. ამასთან, თ-ის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და თ-ის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ექსტრადიციის ქვემდებარე დანაშაულთან დაკავშირებით, განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადა არ არის გასული.

9. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის სტატუსი, ამნისტია, შეწყალება:

9.1. სტატუსი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად (28/03/2024), „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ე. ს-ს უარი ეთქვა როგორც ლტოლვილის, ასევე ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე, ხოლო გადაწყვეტილება №8 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩაბარდა 2024 წლის 26 მარტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ ექსტრადიციისადმი დაქვემდებარებულ პირს საქართველოში თავშესაფარი აქვს მიცემული ან იგი საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის ექსტრადიციას მესამე, უსაფრთხო სახელმწიფო მოითხოვს.“ ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო დაცვის შესახებ საქართველოს კანონის“ 56-ე მუხლის „ა“ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, თავშესაფრის მაძიებელს უფლება აქვს: „არ იქნეს ექსტრადირებული ან საქართველოდან გაძევებული, ვიდრე მისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით სამინისტრო არ მიიღებს გადაწყვეტილებას ან სასამართლო გადაწყვეტილება

არ შეევა კანონიერ ძალაში.“

9.2. ამნისტია:

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, საქართველოს კანონმდებლობით ამნისტირებულია და საქართველოს აქვს იურისდიქცია ამ დანაშაულთან დაკავშირებით.“

ამასთან, ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი კუმულაციურად მოითხოვს ორი წინაპირობის (საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულის ამნისტირება და მასზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელება) არსებობას, რაც განსაზღვრულ საქმეში არ არის დაცული, ვინაიდან საქართველოს არ გააჩნია იურისდიქცია ზემოხსენებულ, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულებთან დაკავშირებით.

9.3. შეწყალება:

„სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ პირის მიმართ იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება მისი გადაცემა, გამოცემულია შეწყალების აქტი.“

წარმოდგენილ საქმის მასალებში არ იკვეთება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ გამოცემულია შეწყალების აქტი იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც მისი გადაცემა მოითხოვება.

10. პრინციპი „Non bis in idem“:

10.1. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, პირის ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის ექსტრადიცია, არსებობს საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ან საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა მასზე მიიღეს საბოლოო გადანყვებილება სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

10.2. ე. ს-ის მიმართ ექსტრადიციის ქვემდებარე დანაშაულებისათვის არ მიმდინარეობდა და არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის პროცესი საქართველოში. ამდენად, ექსტრადიციის შემთხვევაში, არ დაირღვევა პარალელური წარმოების აკრძალვისა და „Non bis in idem“ პრინციპი.

11. ექსტრადიციის გამომრიცხავი სხვა გარემოებები:

11.1. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი რამდენიმე პუნქტად

მიმოიხილავს ექსტრადიციის გამომრიცხავ სხვა გარემოებებს, რომელთა არსებობა წარმოდგენილი საქმის მასალებით არ არის გამოკვეთილი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მათგან დამატებით გამოყოფს მე-3 პუნქტს, რომლის თანახმადაც, „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში პირი დაექვემდებარება წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს, რომელიც დაკავშირებული იქნება ამ პირის წამებასთან, მისდამი სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასთან.“

11.2. ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ განცხადება არ არის საკმარისი. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (იხ. *Mamatkulov and Askarov v. Turkey*, no46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/2005, *K. v. Russia*, no 69235/11, §58, ECtHR, 23/05/2013), რომლებიც ადასტურებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე (იხ. *Shamayev and Others v. Georgia and Russia*, no36378/02, §352, ECtHR, 12/04/2005).

11.3. პირის ექსტრადიციამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით დადგენილი უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს, როდესაც არსებობს არსებითი საფუძვლები ვარაუდისათვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება ან/და იგი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან დევნას. კონკრეტულ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემა არ შეიძლება გახდეს ექსტრადიციაზე უარის თქმის საფუძველი (*K. v. Russia*, ECtHR, no 69235/11, §66, 23/05/2011).

11.4. განსახილველი საქმის საექსტრადიციო მასალებში არ მოიპოვება რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც შეიძლება, საფუძვლიანად მიუთითებდეს, რომ ე. ს-ის თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში, იგი დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას დაექვემდებარება. ადვოკატი მოცემულ პოზიციას აყალიბებს მხოლოდ ჰიპოთეტური ფორმით და მას აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე უტყუარი სახის მასალა სასამართლოსათვის არ წარმოდგენია. შესა-

ბამისად, ამ ნაწილში საჩივრის ავტორის არგუმენტი არის დაუსაბუთებელი.

13. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება:

13.1. რაც შეეხება წინამდებარე ექსტრადიციის შესაბამისობას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან, განსახილველ შემთხვევაში, იმ დანაშაულებრივი ქმედებების ხასიათის, სიმძიმის და საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით (მათ შორის განზრახ მკვლელობა), რომლებისთვისაც მოითხოვება ე. ს-ის ექსტრადიცია, თავად ექსტრადიციის ლეგიტიმური მიზანი გადასწონის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაში ჩაურევლობის ინტერესს, ასეთი ჩარევა რომც ხორციელდებოდეს.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 ივლისის განჩინება კანონიერია, რის გამოც, მისი შეცვლის რაიმე სახის საფუძველი არ არსებობს და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ე. ს-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ო. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ექსტრადიციზა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№28-24

15 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),

შ. თადუმაძე,

ნ. სანდოძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ექსტრადიციზას დაქვემდებარებული პირის – ი. ჩ. ჩ-ს – ადვოკატ დ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 27 ივნისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ი. ჩ. ჩ-ს მიმართ ჩატარებული სისხლისსამართლებრივი პროცედურები თ-ის რესპუბლიკაში:

თ-ის რესპუბლიკის ა-ის საქალაქო პირველი მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2016 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით ი. ჩ. ჩ-ს მიმართ 2012 წლამდე გამოტანილი განაჩენებით შეფარდებული სასჯელები შეიკრიბა და განესაზღვრა 7 წლით, 30 თვითა და 10 დღით თ-ის უფლების აღკვეთა;

წინა განაჩენებით დამამძიმებელ გარემოებებში ჯანმრთელობის დაზიანებისათვის ნასამართლევი ი. ჩ. ჩ. სასჯელს შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში იხდიდა 2014 წლის 20 აპრილიდან;

თ-ის რესპუბლიკის ა-ის აღმასრულებელი სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. ჩ. ჩ-ს პირობით ვადამდე გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან;

2017 წლის 16 აგვისტოდან ი. ჩ. ჩ-მ დაარღვია პირობითი მსჯავრის პირობები და ა-ის აღმასრულებელი სასამართლოს 2017 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მის მიმართ განსაზღვრული პირობითი მსჯავრი გაუქმდა და დარჩენილი სასჯელის (25 დღე) მოხდა განესაზღვრა დახურული ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში;

2017 წლის 5 დეკემბერს თ-ის რესპუბლიკის ა-ის საქალაქო რესპუბლიკურმა მთავარმა პროკურატურამ გასცა ი. ჩ. ჩ-ს დაკავების ბრძანება აღნიშნული სასჯელის მოხდასთან დაკავშირებით;

თ-ის რესპუბლიკის ა-ის საქალაქო მე-3 მძიმე სისხლის სამართლის

სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის განაჩენით ი. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ თ-ის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე, 58-ე და 62-ე მუხლებთან ერთობლიობით 86/1-3-ე და 87/1-დ მუხლებით (დამამძიმებელ გარემოებებში ჯანმრთელობის დაზიანება) და მისაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი თ-ის რესპუბლიკის საკასაციო სასამართლოს მე-3 სისხლის სამართლის პალატის 2018 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა და გახდა საბოლოო;

2018 წლის 8 მარტს თ-ის რესპუბლიკის ა-ის საქალაქო რესპუბლიკურმა მთავარმა პროკურატურამ გასცა ი. ჩ. ჩ-ს დაკავების ბრძანება აღნიშნული სასჯელის მოხდასთან დაკავშირებით;

ექსტრადიციის თაობაზე თ-ის რესპუბლიკის ა-ის საქალაქო რესპუბლიკური მთავარი პროკურატურის შუამდგომლობისა და თ-ის რესპუბლიკის ა-ის სახელმწიფო მთავარი პროკურატურის მძიმე სასჯელთა აღსრულების ბიუროს მიერ მომზადებული 2018 წლის პირველი ნოემბრის საინფორმაციო ბარათის შესაბამისად, ი. ჩ. ჩ-ს ექსტრადიცია მოთხოვნილია თ-ის რესპუბლიკის ა-ის საქალაქო მე-3 მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის განაჩენით შეფარდებული სასჯელისა (5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომელიც უცვლელად დარჩა თ-ის რესპუბლიკის საკასაციო სასამართლოს მე-3 სისხლის სამართლის პალატის 2018 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით) და თ-ის რესპუბლიკის ა-ის პირველი მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2016 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილის (25 დღით თავისუფლების აღკვეთა) მოხდის მიზნით, მსჯავრდებულის მიერ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ჯანმრთელობის დაზიანების დანაშაულებთან დაკავშირებით;

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ი. ჩ. ჩ-ს მიმართ შეფარდებული სასჯელიდან უნდა აღსრულდეს 3 წლით, 9 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა.

2. საქმის მასალების მიხედვით, ი. ჩ. ჩ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგით:

თ-ის რესპუბლიკის ა-ის საქალაქო პირველი მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2016 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებასთან მიმართებით: 2005 წლის 13 მაისს, თ-ის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ი. ჩ. ჩ-მ დაზარალებულს, პირადი უთანხმოების გამო, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მიაყენა ჯანმრთელობის დაზიანება;

თ-ის რესპუბლიკის ა-ის საქალაქო მე-3 მძიმე სისხლის სამართლის სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის განაჩენით (რომელიც უცვლელად დარჩა თ-ის რესპუბლიკის საკასაციო სასამართლოს მე-3 სისხლის სამართლის პალატის 2018 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით)

მსჯავრდებასთან მიმართებით: 2012 წლის 17 ნოემბერს, თ-ის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ი. ჩ. ჩ-მ დაზარალებულს, პირადი უთანხმოების გამო, დანით მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის დაზიანება.

3. ი. ჩ. ჩ-ს მიმართ საქართველოში მიმდინარე საექსტრადიციო პროცედურები:

2018 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ი. ჩ. ჩ-ს ექსტრადიციის თაობაზე მიიღო თ-ის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობა და შესაბამისი დოკუმენტები;

2018 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თ-ის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებიდან გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია ი. ჩ. ჩ-ს თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიციასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წარადგინეს 2018 წლის 14 დეკემბერს;

2023 წლის 13 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს თ-ის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ი. ჩ. ჩ;

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 14 დეკემბრის განჩინებით ი. ჩ. ჩ-ს შეეფარდა 3 თვით საექსტრადიციო პატიმრობა, რომელიც აეთვალია დაკავებიდან – 2023 წლის 13 დეკემბრიდან;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2023 წლის 22 დეკემბრის განჩინებით ი. ჩ. ჩ-ს ადვოკატის საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 14 დეკემბრის განჩინებაზე არ იქნა დაშვებული განსახილველად;

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 მარტის განჩინებით ი. ჩ. ჩ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 6 თვემდე – 2024 წლის 13 ივნისამდე;

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 11 ივნისის განჩინებით ი. ჩ. ჩ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობა გაგრძელდა 3 თვით, 9 თვემდე – 2024 წლის 13 სექტემბრამდე.

4. 2024 წლის 17 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა ნანიკო ზაზუნაშვილმა და მოითხოვა თ-ის რესპუბლიკის მოქალაქე ი. ჩ. ჩ-ს თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 27 ივნისის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და დასაშვებად იქნა ცნობილი თ-ის რესპუბლიკის მოქალაქე ი. ჩ. ჩ-ს, დაბადებულის 19.. წლის .. ივლისს, თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიცია მის მიმართ თ-ის რესპუბლიკის ა-ის საქალაქო რესპუბლიკური მთავარი პროკურატურის მიერ 2017 წლის 5 დეკემბერსა და 2018 წლის 8 მარტს გაცემულ ი. ჩ. ჩ-ს დაკავების ბრძანებებში მითითებული სასჯელების მოხდის მიზნით.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 27 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ი. ჩ. ჩ-ს ადვოკატმა – დ. ჯ-ემ, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და თ-ის რესპუბლიკაში ი. ჩ. ჩ-ს ექსტრადიციის დაუშვებლად ცნობას შემდეგი საფუძვლებით: თ-ის რესპუბლიკამ ი. ჩ. ჩ-ს ექსტრადიცია მოითხოვა 2018 წელს, ხოლო ექვსი წლის შემდეგ გაურკვეველია, მეზობელი ქვეყანა ისევ ითხოვს თუ არა მის გადაცემას. ამასთან, თ-ის რესპუბლიკაში გაიცა ამნისტიები და ქვეყნის იუსტიციის მინისტრების ბრძანებებით შემცირდა თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელები. ადვოკატი ასევე უთითებს, რომ საქმის მასალებით არ დგინდება, ი. ჩ. ჩ-სთვის ბრალის წარდგენის თარიღი, რის გამოც, შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა და, შესაბამისად, დაუშვებელია მისი ექსტრადიცია. გარდა ამისა, ადვოკატის მოსაზრებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებაში ურთიერთგამომრიცხავია ი. ჩ. ჩ-ს თ-ის რესპუბლიკაში დაკავების ბრძანების გაცემის თარიღი – განჩინებაში მითითებულია 2017 და 2018 წლები.

7. საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორი ნანიკო ზაზუნაშვილი ითხოვს, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილოს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ადვოკატ დ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი და უცვლელად დატოვოს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 27 ივნისის განჩინება, იმ საფუძველზე, რომ არ არსებობს ი. ჩ. ჩ-ს თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის დამაბრკოლებელი რაიმე გარემოება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძველიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას, რომ წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება ორმაგი დანაშაულებრიობის, ხანდაზმულობის, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესებს და ორმაგი დასჯის აკრძალვის (Non bis in idem) პრინციპებს, ასევე, საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს, არის დაცული.

3. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალების მიხედვით, ძეგნილი ი. რ. ჩ-ს საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებისა და საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ არ დარღვეულა არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და არც საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

4. გარდა ამისა, საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ ი. რ. ჩ- არის თ-ის რესპუბლიკის მოქალაქე, იგი არ არის საქართველოს მოქალაქე და არ ითვლება საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირად. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის 2024 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით თ-ის რესპუბლიკის მოქალაქე ი. რ. ჩ-ს უარი ეთქვა, როგორც ლტოლვილის, ასევე ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭებაზე, ხოლო აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 23 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა. ამავე დროს, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ მიმდინარე სამართალწარმოება ვერ მიიჩნევა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის დამაბრკოლებელ გარემოებად.

5. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ადვოკატის მოსაზრებას, რომ შესაძლებელია თ-ის რესპუბლიკა აღარ ითხოვს ი. რ. ჩ-ს ექსტრადიციას და აღნიშნავს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 26 დეკემბრის წერილით თურქულ მხარეს ეცნობა ი. რ. ჩ-ს ექსტრადიციის მიზნით დაკავებისა და ექსტრადიციის საკითხის განხილვის შესახებ; ხოლო 2024 წლის 13 იანვარს, ინტერპოლის არხებით, თ-მა მხარემ დაადასტურა ი. რ. ჩ-ს ექსტრადიციის მოთხოვნა.

6. რაც შეეხება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ადვოკატის არგუმენტს, რომ, ვინაიდან საქმის მასალებით არ დგინდება, ი. რ. ჩ-სთვის ბრალის წარდგენის თარიღი, შეუძლებელია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გამოთვლა და შესაბამისად

დაუშვებელია მისი ექსტრადიცია, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილია შესაბამისი სახელმწიფოს შუამდგომლობა მსჯავრდებულ ი. ჩ. ჩ-ს ექსტრადიციის შესახებ, ხოლო ექსტრადიციის შესახებ საერთაშორისო და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ექსტრადიციის დასაშვებობის გადანაცვებისას, სასამართლო არ იხილავს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მსჯავრდების კანონიერებას. ამასთან, ი. ჩ. ჩ-ს მიმართ მიღებული განაჩენების აღსრულების ხანდაზმულობის ვადები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ არის გასული და შეჩერებულია, ხოლო თ-ის რესპუბლიკის კანონმდებლობის მიხედვით – იწურება 2028 წელს.

7. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს ადვოკატის მოსაზრებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებაში ურთიერთგამომრიცხავია ი. ჩ. ჩ-ს თ-ის რესპუბლიკაში დაკავების ბრძანების გაცემის თარიღი და აღნიშნავს, რომ თ-ის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებისგან მიღებული შუამდგომლობისა და შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით, გაცემულია დაკავების ორი ბრძანება, კერძოდ: თ-ის რესპუბლიკის ა-ის საქალაქო რესპუბლიკურმა მთავარმა პროკურატურამ ი. ჩ. ჩ-ს დაკავების ბრძანება, ორ სხვადასხვა მსჯავრდებულთან დაკავშირებით, გასცა 2017 წლის 5 დეკემბერსა და 2018 წლის 8 მარტს.

8. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ი. ჩ. ჩ-ს ექსტრადიცია არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და საერთაშორისო ნორმებს. ამასთან, არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც მის მიმართ თ-ის რესპუბლიკაში რაიმე ნიშნით დევნის ვარაუდს დაადასტურებდა. ამავდროს, ვერც საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ იქნა მოპოვებული თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ი. ჩ. ჩ-ს მიმართ სიცოცხლის ხელყოფის ან უფლებების სხვაგვარი, მათ შორის, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფრთხის დამადასტურებელი მტკიცებულება.

9. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დაუშვებელია პირის ექსტრადიცია, თუ არსებობს არსებითი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში პირი დაექვემდებარება წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ან/და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება რეალური საფრთხე. ამასთან, კასატორმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არსებობს მისი უფლებების შელახვის რისკი. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განზოგადებული ხასიათის ცნობები, სხვა სპეციფიკური სამხილის გარეშე, არ წარმოადგენს საკმარის გარემოებას (ECtHR, №36378/02, შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსე-

თის წინააღმდეგ (*Shamayev and Others v. Georgia and Russia*), 12/04/2005, §352). უკანონო მოპყრობის შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებით (ECtHR, #46827/99, 46951/99, მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ (*Mamatkulov and Askarov v. Turkey*) 04/02/2005, §70).

10. ამავე დროს, საკასაციო პალატა ითვალისწინებს თ-ის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილ გარანტიებს, რომელთა თანახმად: თ-ის რესპუბლიკა წარმოადგენს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მონაწილე მხარეს; თ-ის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევაში ი. ჩ. ჩ-ს უფლებები დაცული იქნება საერთაშორისო კონვენციებისა და შიდა კანონმდებლობის შესაბამისად; მას მიეცემა დაცვის ყველანაირი კანონიერი შესაძლებლობა. ამასთან, მისთვის წარდგენილი მსჯავრი არ არის პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 27 ივნისის განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ი. ჩ. ჩ-ს – ადვოკატ დ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 27 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ექსტრადიციის
განჩინება
საქართველოს სახელმწიფო

№29/-24

18 ივლისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
შ. თადემაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ექსტრადიციის დაქვემდებარებული პირის – ე. (E-n) ბ-ს (B-k) ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჟ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ე. ბ-ს მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში განხორციელებული სისხლის სამართლებრივი პროცედურები და ფაქტობრივი გარემოებები:

1.1. თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ მონოდეზიგნირებული მასალების თანახმად, ექსტრადიციის ქვემდებარე დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებები არის შემდეგი: 2023 წლის 3 აგვისტოსა და 11 აგვისტოს თურქეთის რესპუბლიკის ბაქირქოის რაიონის მე-4 მაგისტრატის სასამართლოს მიერ გაცემულ იქნა ე. ბ-ს დაკავების ბრძანებები, რომელთა თანახმად ე. ბ-ი ბრალდებულია თურქეთის რესპუბლიკის №5237 სისხლის სამართლის კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (წინასწარი დაგეგმვით განზრახ მკვლელობა) და იმავე კოდექსის 149-ე მუხლის პირველი ნაწილის „ც“ და „დ“ ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით), რაც გამოიხატა შემდეგით:

ე. ბ-მა და მისმა თანამზრახველებმა განიზრახეს დაზარალებულის მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ე. ბ-ს მიერ გაცემული მითითების შესაბამისად, 2023 წლის 27 ივლისს ჯგუფის წევრებმა დაზარალებული მიიყვანეს ნაქირავებ ბინაში. ადგილზე მისვლის შემდგომ, ისინი თავს დაესხნენ დაზარალებულს, შეუკრეს ხელ-ფეხი და ორგანიზმში შეუყვანეს გარკვეული სითხე, რამაც დაზარალებულის გარდაცვალება გამოიწვია.

მკვლევლობის შემდგომ ე. ბ-ი მივიდა დაზარალებულის მიერ ნაქირავებ სახლში იმ მიზნით, რომ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა აღნიშნულ სახლში შენახულ ფულად თანხას, თუმცა, ვერ იპოვა ფულადი თანხა, რის გამოც ვერ შეძლო დანაშაულებრივი განზრახვის ბოლომდე მიყვანა.

1.2. 2023 წლის 16 ოქტომბრიდან ე. ბ-ი თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნება ინტერპოლის წითელი ცირკულარით.

2. ე. ბ-ს მიმართ საქართველოში განხორციელებული პროცედურები:

2.1. 2024 წლის 31 იანვარს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი ე. ბ-ი.

2.2. 2024 წლის 2 თებერვალს, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებით ე. ბ-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა საექსტრადიციო პატიმრობა 3 თვით.

2.3. 2024 წლის 14 თებერვალს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი დაცვის მხარის საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 2 თებერვლის განჩინების გაუქმების თაობაზე.

2.4. 2024 წლის 16 თებერვალს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიღებულ იქნა ე. ბ-ს ექსტრადიციის თაობაზე თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების შუამდგომლობა და შესაბამისი მასალები.

2.5. 2024 წლის 25 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინებით ე. ბ-ს მიმართ შეფარდებული საექსტრადიციო პატიმრობის ვადა გაგრძელდა 3 თვით, 6 თვემდე – 2024 წლის 30 ივლისამდე.

2.6. 2024 წლის 5 ივნისს, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებიდან გამოთხოვილ იქნა დამატებითი ინფორმაცია ე. ბ-ს ექსტრადიციის თაობაზე.

2.7. ე. ბ-ი მოთავსებულია სპეციალური პენიტენციური სამსახურის №... პენიტენციურ დაწესებულებაში.

2.8. 2024 წლის 10 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა თემურ ცინდელიანმა და მოითხოვა დასაშვებად იქნეს ცნობილი ე. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკა-

ში ექსტრადიცია მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით.

2.9. სასამართლო სხდომაზე პროკურორმა თემურ ცინდელიანმა მხარი დაუჭირა შუამდგომლობას და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი – ე. ბ-ი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები – მ. ჟ-ი და ა. გ-ი არ დაეთანხმნენ პროკურორის შუამდგომლობას.

2.10. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 ივლისის განჩინებით საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორის – თემურ ცინდელიანის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. დასაშვებად იქნა ცნობილი ე. ბ-ის თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, იმ დანაშაულებრივი ქმედებებისთვის რომლებიც აღწერილია ე. ბ-ს ექსტრადიციის შესახებ თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების 2023 წლის 4 სექტემბრის შუამდგომლობაში და 2024 წლის 22 აპრილს მომზადებულ საქმის შესწავლის ოქმში და დასჯადია თურქეთის რესპუბლიკის №5237 სისხლის სამართლის კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (წინასწარ დაგეგმვით განზრახ მკვლელობა) და იმავე კოდექსის 149-ე მუხლის პირველი ნაწილის „ც“ და „d“ ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით).

2.11. 2024 წლის 11 ივლისის ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ე. ბ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ჟ-მა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 ივლისის განჩინების გაუქმება.

3. კასატორის პოზიცია:

3.1. კასატორის პოზიციით, სასამართლოს გადაწყვეტილება ე. ბ-სის თ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის თაობაზე უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ე. ბ-ი ეთნიკურად ქ-ა, არის თ-სი მოქმედი ქ-ი პარტია ...-ს მხარდამჭერი, ს-სი კონფლიქტის დროს, ქ-ი დასახლებების დასაცავად მებრძოლი ე. ბ-ს ბიძა – ჰ. ბ-ი დაიღუპა, რასაც თურქული სახელმწიფო ვერ პატიობს მის ნათესავებს. ძმა ს. ბ-ს მიმართ 14.12.16 წელს ტერორიზმის ბრალდებით გაიცა დაპატიმრების ორდერი და ის უკანონოდ გასამართლდა. დაცვის მხარის განმარტებით, თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ გამოგზავნილი ყველა დოკუმენტი არათავსებადი, ურთიერთგამომრიცხავი და აბსურდულია, რასაც აქვს მხოლოდ ერთი ახსნა, რომ ე. ბ-ი იძებნება ე.წ. ტერორიზმის ბრალდებით,

ეთნიკური და პოლიტიკური ნიშნით, რასაც ადასტურებს დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, სადაც აღნიშნულია: 20.01.2023 ბ-ის რესპუბლიკის პროკურატურის ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს № საბრალდებო დასკვნით დადგინდა, რომ ეჭვმიტანილის სოციალურ ქსელ-ის ანგარიშზე გაკეთდა პოსტები, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ტერორისტული ორგანიზაციების – „.....“-ის პროპაგანდის დანაშაულს. აღნიშნულთან დაკავშირებით, თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს 2024 წლის 28 ივნისის პასუხში აღნიშნულია, რომ ე. ბ-ს მიმართ გაცემულმა ბრალის დადგენილებამ, რომელიც ტერორიზმს უკავშირდებოდა, არსებითი (სასამართლო) განხილვის ეტაპამდე ვერ მიაღწია. დაცვის მხარის პოზიციით, აღნიშნული წარმოადგენს სიცრუეს, რადგან ბ-ის მე-7 უმაღლესი სისხლის სამართლის სასამართლოს 13.03.2024 წლის ოქმის თანახმად, სხდომა გადაიდო და შემდეგ თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 4 ოქტომბერი. შესაბამისად, ნათლად ჩანს, რომ თურქეთის რესპუბლიკის მიერ ე. ბ-სის ექსტრადიცია მოთხოვნილია ტერორიზმის მხარდაჭერის და ტერორიზმის პროპაგანდის ბრალდებით, სადაც ე. ბ-ი იდევნება ეთნიკური და პოლიტიკური ნიშნით. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ არსებობს სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც ე. ბ-ი არ უნდა იქნეს ექსტრადირებული თურქეთის რესპუბლიკაში.

4. პოზიცია საკასაციო საჩივარზე:

4.1. დაცვის მხარის საკასაციო საჩივარზე საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს პროკურორმა თემურ ცინდელიანმა წარმოადგინა პოზიცია და მოითხოვა ე. ბ-ს მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების უცვლელად დატოვება. ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 4 ივლისის ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის შესახებ განჩინებით სასამართლოს მიერ შესწავლილ იქნა ექსტრადიციის სამართლებრივი საფუძვლები, ორმაგი დანაშაულებრიობის პრინციპი, ხანდაზმულობის ვადები, შეფასებულ იქნა ექსტრადიციის შემთხვევაში ე. ბ-ს უფლებების დარღვევის რისკები, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით თურქეთის რესპუბლიკაში არსებული ზოგადი მდგომარეობა და უფლებების დაცვის გარანტიები. სასამართლომ, ასევე, შეამოწმა ე. ბ-სთან დაკავშირებული ინდივიდუალური გარემოებები და სხვა ყველა გარემოების გათვალისწინებით, დასაშვებად სცნო ე. ბ-ს თ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიცია. ყოველივე აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, კი არ არსებობს ე. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის დამაბრკოლებელი რაიმე გარემოება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო სრულად იზიარებს გასაჩივრებული განჩინების მოტივაციას, რომ ე. ბ-ს თ-ს რესპუბლიკაში ექსტრადიციის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის ევროპული კონვენცია, რომლის 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ამ კონვენციის დებულებებს უპირატესი ძალა აქვს კონვენციის მხარეებს შორის არსებულ სხვა ხელშეკრულებებთან მიმართებით.

3. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ: დაცულია ორმაგი დანაშაულებრიობის, პარალელური წარმოების აკრძალვისა და ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპები, ხანდაზმულობის ვადა, მოქალაქეობისა და ლტოლვილობის შესახებ წესები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

4. თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიერ ძეხნილი ე. ბ-ი 2024 წლის 31 იანვარს, საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ როგორც დაკავებისას, ისე საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ე. ბ-ს მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები არ დარღვეულა.

5. ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის ევროპული კონვენცია და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს პირის მიმართ ექსტრადიციის დასაშვებობის საფუძვლებს. საკასაციო სასამართლო შეაფასებს, არსებობს თუ არა ე. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის შესახებ განჩინების შეცვლის რაიმე საფუძველი.

6. „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმისათვის, რომ დანაშაული დაექვემდებაროს ექსტრადიციას, მნიშვნელოვანია ორი კომპონენტის დაკმაყოფილება: 1) მოცემული ქმედება როგორც საქართველოს, ისე შესაბამისი უცხო ქვეყნის კანონმდებლობით უნდა იყოს დასჯადი; 2)

ამ დანაშაულის ჩადენა, სულ მცირე, 1 წლით თავისუფლების აღკვეთით ან უფრო მკაცრი სასჯელით უნდა ისჯებოდეს.

7. ექსტრადიციის დასაშვებობის შუამდგომლობაში მითითებული ქმედებების საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში ჩადენის შემთხვევაში იგი დასჯადი იქნებოდა შემდეგნაირად:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი (ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ორგანიზება), რაც მაქსიმალური სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – უვადო თავისუფლების აღკვეთას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი (ქურდობის მცდელობა, ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით), რაც მაქსიმალური სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთას.

8. ამდენად, მოცემულ საქმეში ე. ბ.-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია მოითხოვება ისეთი ქმედებების ჩადენისათვის, რომელიც დასჯადია როგორც საქართველოს, ისე თურქეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობით და ამავდროულად, მოცემული დანაშაულებისათვის სასჯელის სახით, სულ მცირე, 1 წლით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული.

9. გარდა ამისა, დაცულია ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-3-მე-4 მუხლებითა და სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-19 და მე-20 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნებიც, კერძოდ, მოცემულ საქმეში პოლიტიკური დანაშაულის/პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებული დანაშაულის ან სამხედრო დანაშაულის ნიშნები გამოკვეთილი არ არის.

10. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, ექსტრადიცია არ დაიშვება, თუ გასულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც პირს ათავისუფლებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ან სასჯელის მოხდისგან.

11. დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელთა ჩადენისთვისაც მოითხოვება ე. ბ.-ს ექსტრადიცია, საქართველოს კანონმდებლობით შეესაბამება, სულ მცირე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი და ამავდროულად კოდექსის 19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რაც ამავდროულად კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, განსაკუთრებით მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებია.

12. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, პირი თავისუფლდებ-

ბა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა: ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან და ოცდაათი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან. როგორც წარმოდგენილი მასალებით ირკვევა ე. ბ-მა დანაშაულებრივი ქმედებები ჩაიდინა 2023 წლის 27 ივლისს. ამდენად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები გასული არ არის. ასევე, თ-ს რესპუბლიკიდან მიღებული ინფორმაციით, არც თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით არის გასული ხანდაზმულობის ვადები. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის კრიტერიუმი დაცულია როგორც თხოვნის გამომგზავნი, ისე – მისი მიმღები მხარის კანონმდებლობით.

13. „ექსტრადიციის შესახებ“ 1957 წლის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ თხოვნის მიმღები მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება შესაბამისი პირის მიმართ იმ დანაშაულის ან დანაშაულების ჩადენისათვის, რომლებისთვისაც მოითხოვება ექსტრადიცია. ექსტრადიციაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ გადამცემი მხარის კომპეტენტური ორგანოები გადაწყვეტენ არ დაიწყონ ან შეწყვიტონ სამართალწარმოება იმავე დანაშაულის ან დანაშაულების წინააღმდეგ.“ ასევე, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის ექსტრადიცია, არსებობს საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ან საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა მასზე მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

14. მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობაში მითითებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით, ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან მიმართებით არ მიმდინარეობდა და არ მიმდინარეობს სამართალწარმოება, გარდა საექსტრადიციო პროცედურებისა. ამდენად, ექსტრადიციის შემთხვევაში არ დაირღვევა „Non bis in idem“-ის პრინციპი.

15. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის არგუმენტს, რომ ე. ბ-ი იღვენება მისი ეთნიკური კუთვნილების ან/და პოლიტიკური შეხედულებების გამო, ვინაიდან საექსტრადიციო მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ იგი რაიმე ნიშნით იღვენება თ-ს რესპუბლიკაში ან ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობს მისი უფლებების დარღვევის, არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის მოსპობის საფრთხე. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რაც მიუთითებდა, რომ იგი შესაძლოა დაექვემდებარ-

როს წამებას ან/და არაადამიანურ მოპყრობას ეთნიკური კუთვნილების ან/და პოლიტიკური შეხედულებების გამო. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს პროკურატურამ ე. ბ-ს შესახებ ინფორმაცია მოიძია ინტერნეტის ყველაზე მოხმარებად საძიებო სისტემებში (google.com, bing.com, yahoo.com), თუმცა ე. ბ-ს უფლებების დარღვევის ან/და დევნის მანიშნებელი რაიმე ინფორმაცია არ მოიძებნა. ინტერნეტის ღია წყაროებში ინფორმაციის მოძიება ერთ-ერთი მზარდად გამოყენებადი მეთოდია პირის მიმართ უცხო სახელმწიფოში დევნის დასადასტურებლად. როგორც წესი, დევნის დამადასტურებელი ფაქტების შესახებ ინფორმაციას ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები ავრცელებენ. ასევე გასათვალისწინებელია, თურქეთის რესპუბლიკის მიერ ადამიანის უფლებების სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებები ინდივიდუალური საჩივრისა და მონიტორინგის მექანიზმებში თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობის შესახებ. აღნიშნულ მექანიზმებს შორისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი, რაც მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარანტიას ქმნის თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან შეუსაბამო მოპყრობისა და ადამიანის უფლებების სხვა ტიპის დარღვევების პრევენციისა და აღკვეთის კუთხით.

16. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მითითებას, რომ წარმოდგენილი საბრალდებო აქტი, რომელიც გაცემულია თურქეთის რესპუბლიკის შესაბამისი პროკურატურის მიერ ასახავს ტერორისტულ დანაშაულთან დაკავშირებით ე. ბ-ს ბრალდების ფაქტს. ვინაიდან, ასეთი დანაშაულის თაობაზე ექსტრადიცია მოთხოვნილი არ ყოფილა. ამასთან, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საკითხის დაზუსტების მიზნით დამატებითი ინფორმაცია გამოითხოვა თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოებიდან და 2024 წლის 28 ივნისს მიღებული ინფორმაციის თანახმად დადგინდა, რომ ბ-ის მე-18 უმაღლესი სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ წარმოებულმა გამოძიებამ დაასკვნა, რომ მითითებულ წერილზე დართული დოკუმენტები ნამდვილია, თუმცა, ე. ბ-ს მიმართ გაცემულმა ბრალის დადგენილებამ, რომელიც ტერორიზმს უკავშირდებოდა, არსებითი (სასამართლო) განხილვის ეტაპამდე ვერ მიაღწია. გარდა ამისა, საელჩო ადასტურებს, რომ მითითებულ წერილში (დანართში) აღნიშნული შეზღუდვის გადაწყვეტილება გამოიცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის შესაბამისად, ბ-ის მე-3 სისხლის სამართლის მაგისტრაცი სასამართლოს განაჩენით, 153-ე მუხლის თანახმად, დასაშვებია შეიზღუდოს საქმის შინაარსის შესწავლის ან ნიმუშების აღების უფ-

ლებამოსილება, თუ გამოძიების დროს გამოტანილია შეზღუდვის გა-
დანყვეტილება. თუმცა, აღნიშნული შეზღუდვა მოიხსნა 2024 წლის 9
მაისს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 153.4 მუხლის შესა-
ბამისად. ამასთანავე, საელჩომ დაადასტურა, რომ ე. ბ-ს მიმართ, მიმ-
დინარე საქმეში არ არსებობს აქტიური გამოძიების ან სისხლის სამარ-
თლის პროცესის ჩანაწერი ტერორისტულ ქმედებებთან დაკავშირებით
ან რაიმე მასალა, რომელიც მიანიშნებდა ეჭვზე ტერორიზმის შესახებ
და რომ ექსტრადიცია მოითხოვება მხოლოდ უკვე წარდგენილ საქე-
სტრადიციო მასალებში მითითებული დანაშაულების გამო. თუ ექსტრა-
დიციის შემდეგ საჭირო იქნება ძებნილისთვის დამატებითი ბრალის წა-
ყენება, საელჩო ადასტურებს, რომ თურქეთის კომპეტენტური ორგა-
ნოები მოითხოვენ საქართველოს ხელისუფლების თანხმობას ექსტრა-
დიციის შესახებ ევროპული კონვენციის შესაბამისად და იმოქმედებენ
მხოლოდ თანხმობის საფუძველზე.

17. ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ თურ-
ქეთის კომპეტენტური ორგანოებიდან გამოთხოვილ იქნა გარანტია იმის
თაობაზე, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში საერთაშორისო და შიდა კა-
ნონმდებლობით უზრუნველყოფილი ე. ბ-ს უფლებები სრულად იქნება
დაცული. საგულისხმოა, რომ გარანტიები არის კომპეტენტური ორგა-
ნოს მიერ წარმოდგენილი და ამასთანავე არის საკმარისად კონკრეტუ-
ლი და არა ზოგადი/ზუნდოვანი. მათ შორის მოიცავს გარანტიას იმის თა-
ობაზე, რომ დანაშაული არ არის პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნე-
ლობის. ამასთან, საერთაშორისო კონვენციების და შიდა კანონმდებლო-
ბის შესაბამისად დაცული იქნება ეჭმიტანილი პირის უფლებები.

18. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ ევროპული სასა-
მართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, ექსტრადიციას
დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე
დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით (იხ.:
Mamatkulov and Askarov Turkey, no46827/99, 46951/99, §72-73, ECtHR, 04/02/
2005, K. v. Russia, no 69235/11, §58, ECtH 23/05/2013), რომლებიც ადასტუ-
რებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებუ-
ლი კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის
შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების
დარღვევის საფრთხე (Shamayev and Others v. Georgia and Russia, no36378/
02, §352, ECtHR, 12/04/2005).

19. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლო-
ბის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის
თანახმად, „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ ექსტრადიციისად-
მი დაქვემდებარებულ პირს საქართველოში თავშესაფარი აქვს მიცე-
მული ან იგი საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირია, გარ-

და იმ შემთხვევისა, როდესაც მის ექსტრადიციას მესამე, უსაფრთხო სახელმწიფო მოითხოვს.“

20. ე. ბ-ი არსარგებლობს საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირის სტატუსით. გარდა ამისა, იგი არის ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს მოქალაქე. ამდენად, არ არსებობს ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოება. ამასთან, არ იკვეთება არც „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული გარემოებები.

21. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი განსაზღვრავს ექსტრადიციის გამოძრევას სხვა გარემოებებს, რომელთა არსებობა წარმოდგენილი საქმის მასალებით არ არის გამოკვეთილი და მათზე არც დაცვის მხარე მიუთითებს.

22. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში დაცვის მხარეს არ მიუთითებია წონადი არგუმენტები თურქეთის რესპუბლიკაში ე. ბ-ს მიმართ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 ან/და მე-3 მუხლებით გარანტირებული უფლებების დარღვევის რეალური საფრთხის არსებობის შესახებ, ამასთან მსგავსი ინფორმაცია არც საქართველოს გენერალურ პროკურატურას გააჩნია.

23. საექსტრადიციო მასალებში არ იკვეთება, რომ ე. ბ-ის საქმის განხილვისას პროცედურები აშკარად და უხეშად დაირღვა, რაც წარმოშობდა საფუძველს ვარაუდისა, რომ თურქეთის რესპუბლიკაში მას შეეზღუდა სამართლიანი სასამართლოს უფლება, ან ექსტრადიციის შემთხვევაში არსებობს ამ უფლების დარღვევის საფრთხე.

24. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს საქართველოს პროკურატურისთვის არ მიუწოდებია რაიმე ინფორმაცია, რაც მის მიმართ თურქეთის რესპუბლიკაში არსებული სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას სამართლიანი სასამართლოს უფლების „შკარა“ დარღვევის დასაბუთებულ ვარაუდს წარმოქმნიდა. თავის მხრივ, საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული კომპლექსური საექსტრადიციო პროცედურების შედეგადაც ვერ იქნა მოპოვებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფრთხის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამდენად, ყოველივე აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, ე. ბ-ს თურქეთის რესპუბლიკაში ექსტრადიცია შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

25. „სასამართლო არ ივიწყებს არც ექსტრადიციის ფუნდამენტური მიზნის მნიშვნელობას, რაც გულისხმობს გაქცეული დამნაშავეების მი-

ერ მართლმსაჯულებისგან თავის არიდების პრევენციას“ (Trabelsi v Belgium, no. 140/10, §11, ECtHR, 04/09/2014; Soering v UK, §86 ECtHR, 07/07/1989).

26. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის საფრთხეს, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, ექსტრადიციის შეშუაბამო კონვენციის მე-8 მუხლთან, თუ პირს ექსტრადიციის შემთხვევაში შესაძლებლობა არ მიეცემა, ოჯახური ცხოვრების უფლების რეალიზება მოახდინოს და უფლების ამგვარი შეზღუდვა არათანაზომიერია ექსტრადიციით დასახულ ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით (King v. The United Kingdom, no.9742/07, §29, ECtHR, 26/01/2010). თუმცა, ექსტრადიციის ლეგიტიმური მიზნები იმდენად ღირებულია, რომ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ გადაწონის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის ინტერესი ექსტრადიციის განხორციელების ინტერესს (Lauder v. the United Kingdom, no.27279/95, ECtHR, 8/12/1997). ამდენად, კონვენციის მე-8 მუხლი ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოება შესაძლოა, მხოლოდ საგამონაკლისო (განსაკუთრებულ) შემთხვევაში გახდეს.

27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ე. ბ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჟ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 ივლისის განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის – ე. (E-n) ბ-ს (B-k) ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჟ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2024 წლის 4 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge